



9

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

180
1966/3

180/3

70
СОВЕТСКОЕ

ИСКУССТВО

1966

180
1966/3



საქართველო საბავშვო ჟურნალი

10.001

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
ქინო
კვანძოთქუჩა
ქოჯობაზონა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, თეორიული
უნივერსიტეტიდან გამოსული

9 • 1966





ლადო გუდიაშვილი

იერუსალიმის გაგზავნება





„ვეფხისტყაოსნის“

კათი

გაომთავის

გაომ

იოსებ მეგრელიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



ენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ უკვე 72-ჯერაა გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ენებზე, მიღრონ სამას ორმოცდაათი ათას ტირაჟით.

შ. რუსთაველის ეს უკვლავი ქმნილება გამოცემულია აგრეთვე საბჭოეთის საზღვრებს გარეთ, ევროპისა და აზიის ხალხთა ენებზეც.

„ვეფხისტყაოსნის“ დღემდე არსებულ გამოცემათა შორის, ტექნიკურად გაფორმების მხრივ, ულამაზესი და უმდიდრესია პოემის 1955 წლის გამო-

ცემ და მას თავისი ისტორია აქვს და ამ მას-
ვს ვილაპარაკებო.
ამ შერანშავი გამოცემის თაობაზე ქარ-
თველ მწერალსა და სხვა მოწინავე პირთა
პირველი თაობის 1880 წლის კომპილემენტის
შემდგარა, გადაწყვეტილება კომისიის ხელ-
მძღვანელი იუსტ გრაგოლ ორბელიანი, შერ-
აროლდს, ავეფხისტკაოსნის ხელნაწერები და
და შემდეგ დაიწყო სიგის ტექსტის დაღ-
ვენა.

გრ. ორბელიანს ოცოდე პირისთვის მი-
უძერია მანუერა: ამა და ამ მონის გვირგვინ-
მა და ხელნაწერი „ავეფხისტკაოსანი“ გა-
თხოვით.

პირველი ოცოდელური ცნობა „ავეფხის-
ტკაოსნის“ ახალი გამოცემის განწარმავისა
და მისი ტექსტის დამუშავებ კომისიის შედ-
გენის საქმიანებაზე გამოცხადება რაფ. ერის-
თავის, ი. გუგაბიშვილისა და ი. შერანშა-
ვის ხელმოწერული ვრცელი კორესპონდენ-
ციული „ავეფხისტკაოსნის“ რედაქცია, თბი-
ლისი, 11 ნოემბერი (გაზ. „დროება“ 1880,
16 ნოემბერი, № 241).

წერული მოწოდებები ხასიათისა, განს-
ნაოქმობა: ავეფხისტკაოსანი“ იგივეა მანუ-
ერის, რაც ომბერსის ბერძენულ ენაში. პო-
მერისთვის მოწოდება ტექსტის შესწავლის,
დადგენის და ისე გამოცემის, „ავეფხისტკა-
ოსნის“ ტექსტის შეცვლის წლის განმავლო-
ბაში და მანუერა, საქორა მისი გაწვევა და
დაწვება და ისე გამოცემა, ამისთვის კი
აუცილებელი პომის უძველესი ხელნაწერ-
ები. ვისაც ასეთი ვაგანიათ, გიხოვთ წარ-
მოადგინოთ და გადმოწავთ ქართველთა
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოებაში. ვფიქრობ, რომ ამ საღამოს
სხვათა განმავლობაში, ხელნაწერისა შე-
წავლის, წყაროთაზე „ავეფხისტკაოსანს“
და შემდეგ ხელნაწერის პატრონებს დაუბ-
რუნებ უნებლად და უშეკავალად. იმ
ცდობების, რომლებსაც გამოცემა ტექსტ-
ის შეცვლაში, მანუერა გაზ. „დროებაში“
გამოქვეყნებთ.

რ. ერისთავის, ი. გუგაბიშვილისა და
ი. შერანშავის ამ მიმართულება დასაბე-
ლებელია სი პირები, რომლებსაც სიხივით
ცილილ მანუერაზე ტექსტის დადგენაში.
15 ნოემბერს წერის 27 ნოემბერს ინ-
ფორმაცია მოგვცა კომისიის უმძღვანელობისა
და პირველი სხვათა ჩატარების თაობა-
ზე. (დროება“ 1880, № 250).

როგორც ჩანს, კომისიის ხელნაწერები სა-
სუფიერო რაოდენობით მანც ვერ მიიღია და
ამიტომ, პირველი განცხადებები ერთი
თვის შემდეგ, გრაგოლ ორბელიანი აცხა-
დებენ: მე თვითონ ვინაწახივით „ავეფხის-
ტკაოსნის“ ახალი გამოცემის კომისიაში,
„არის სურვილი შევიხმნებს დაბეჭდვით
„ავეფხისტკაოსანს“ სხვა და სხვა ხელთ-
ნაწერი „ავეფხისტკაოსნისა“, ინცხე ასეთი
ხელნაწერი ვაქვით, გიხოვთ ახოვით იამ
კეთილი საქმის მოსურნეთა“.

გრ. ორბელიანი მიმართავს ამ ათვარებს:
„უჩინებლად გიხოვთ, თუ გქმნებთ, ან
თუ თხოვნა შეგემძღვოსა, დროებით გამო-
კვეთავარს ქვემოთ მოყვანილი აბრტისი
ხელთ-ნაწერი „ავეფხისტკაოსანი“, დარწმუნ-
ებულ ბრძანდებლით, რომ გამოცემაში
ტექსტის შესწორების შემდეგ, თქვენს წინა
უნაღონო მოგვარების“ (დროება“ 1880
წ., 17 დეკემბერი, № 266).

კომისია ტექსტის დადგენას 1881 წლის მ
თებერვალს შედგამდა. კომისიის წევრები
ყოფნენ: გ. ვოგაბიშვილი, ი. გუგაბიშვი-
ლი, ნ. იოსელიანი, დ. დავითიანი, დ. ვო-
გაბიშვილი, რაფ. ერისთავი, გ. ოსლოსელი,
ი. მანუერა, მ. მუსხიშვილი, ი. შერანშავი, ვ. მ-
ქვალაძე, უ. შერანშავი, გრ. ორბელიანი, ნი-
ნო ორბელიანისა, თ. ვორდახია, დ. ყიფი-

ანი, აკაკი წერეთელი, ი. წინამძღვარიშვილი,
ი. ქავთავაძე, დ. ქოჩიაძე და ზოგერ სხვებიც
(გაზ. „დროება“, 1881 წ., 12 თებერვალი,
№ 81; შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთაველი-
ლოგოპედი, ლტერატურა, 1937, № 165,
166, 168, 173).

გამოქვეყნებულია ცნობებიც, რომ კომი-
სიის სხვებში იმართებოდა სასადგომო-
ლო ბაქის შენობაში 1881 წ. თებერვლის,
მარტისა და აპრილის განმავლობაში: შემდეგ
კი ამ ბაქის შენობაში ასეთი სხდომები აუ-
რჩავალი.

კომისიის მანიც განუგრძობა მუშაობა, ალ-
ბათ, სხვა ადგილზე.
მარათალი მოვონებით ხასიათისა, მაგრამ
კონტრატულია და გასათვლიწინებელია მი-
ცე ქანაშვილის ცნობებიც.

ჩვენ რომ ხაშურელი ასპარეზელ გამოცე-
მით (1876 წ. 17 აგვისტო). — წერს მ. ქა-
ნაშვილი, — ქართველ „მწერალთა შორის
„ავეფხისტკაოსნის“ მილიანად მიცოდენის
რეცხვები იმდენად მცირე იყო, რომ ხელი თით-
ო საქაი იყო მათ ჩამოსაღებლად. 1880
წელში იამ მანუერაგამ ამ თვის მიუ-
ყარა ქართველ მწერლებს „ავეფხისტკაოს-
ნი“ შესწავლად, მრავალ თავერდზე
მწერლებს შორის ნაწილად მცოდნელ გამო-
მლოდებრ ბოლდ ნიყო და იანი, ილია ქა-
ვაძე, აკაკი, გრ. ორბელიანი, რ. ერისთა-
ვი და თითო-როგო სხვა. ამავე კრებაზე
გამოიქცა აზრი, გამოცემულიყო უცვლად
ქმნილად დასურათებულად, ხოლო კ წა-
დგენა რჩებოდა განუზორციტებულად უსა-
სრისის გამო“.

„იმ ხაზენაში, — განაგრძობს მ. ქანაშ-
ვილი, — ვიროგი ქართველიშვილმა გამარა
დღი გამოცემა და დაიბეჭდა ყველა მილი-
ანდელ მწერლებს. პურობას ჩამოვარდა
დასაყარა შოთას შესახებ. ილიამ ბრძანა:
„ებრთ თავი შოთას შოთას ოხოვლების
ცდინით, მაგრამ ვეძუ, თუ ვისმე მოვან
წიუთისთვის თვიდან ბოლომდე და შექმლის
მისი შინაარსის გადმოცემა“.

ამ ხაზენაში შენიშნა: „ჩამოვარდა
სიხივით. ყველა ერთმანეთის გადახედ-გადმო-
ხედვანი იყო, რომ მანამინდელ ქართველი-
შვილში“ თამადა (ილიას) მიმართა სიტყვ-
ებით: „ჩემმა ხათისებმა ქანაშვილმა უკ-
ნაშვილმა მაგ დიდებულ და ქართველთა სა-
საიო ოხოვლების შინაარსი და ამასთანავე
გადმოცემა საზოგადოების სურვილი, დაიბეჭ-
დეს დასურათებულად. მანუერა მე გადა-
წყვეტე ვაგილო მაგისთვის ფული. მე დი-
აშუებოთ ჩემს ქონებას, ოღონდ დიასხულად
გამოვიტო იმ მართლად მარკადელი იო-
ლი“ განცხადებ სურვილი ადგენენ და ტა-
ვი გამოიწვი, იქვე შეუდგენენ კომიტეტი
კეთილი საქმის სურვილს მოსაყვანად. კო-
მიტეტს მე გადავიტე ჩემი საყურად „ავე-
ფხისტკაოსანი“, რომელიც დიდხან გაუხდა
1888 წელს დასურათებულად გამოცემულ
ძვირთვის ოხოვლებს“ (გაზ. „ტრბუნას“,
1928, № 469, გვ. 2-3).

ასეთი საქმიანი იყო ჩვენი წინარების
სურვა.

საკითხს რომ შემდეგ აღარ დაუბრუნდით,
აკვი ვეკითხო: ვიროგი დათვისი ძე ქართველი-
ნიშვილს (1827—1901) დაპირდა მუხრან-
ლები, — ამ საქმისათვის მას 10,000 იან-
ტი გაუღია და რომ ამ თანხაზე აპარ იმე-
და, შეცვალეს კიდევ 2 ათასი ლუბადები.
ამგვარად „ავეფხისტკაოსნის“ 1888 წლის
გამოცემა გ. დ. ქართველიშვილის დაქმნილი
აპარ ორასი თომანი, ე. ი. 12 ათასი მანე-
ტი, მანუერადელ ფულის ურტისი და ეს იმ
დღის, რომელსაც კომისიის წევრები უწინ-
არაოდ ხაზინდებენ, უნგრელმა მიხია (1906-
ელი) აუღუსწარების ძე ზინცმა (1827—1906)
ქართველი ხალხის სიყვარულის აღსანიშნა-



ვა, ილესტრაციები უსასილედო შეას-
რალია.

მამ, რატომ დაქდა ეს გამოცემა ასეთი
საზნაბრო ფასზე იმბორო, რომ იგი სურათ-
ბინისა, შესანიშნავადა ილუსტრირებული,
ტექსტი დახმადებულია მსხვილი შრიფტითა
და უმაღლესი ხარისხის კალმებით, აქვს
ძვირისფერი და სურათების ქაღალდზე მზად-
დებურზე; ისინი ჩამოქონილია და თბილისში
შეცადნენ.

წევრის დასასრულის ცნობაში ვკითხ-
ვლობთ:

„ვამ ამ ცემ ვ ი ს ა ვ ა ნ
„პირველი აზრი სურათებთან „ავეფხის-ტკა-
ოსნის“ დაბეჭდვის დაიბეჭდა მანში, რომელსაც
გ. იონა შეუდარების დასწრებით შე-
დგინა კომისიამ შეიპოვნა ამ პომის ტექსტ-
ის ძველ ვარიანტებში. თემცე ძველის-
ძვილი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა, — კო-
მისისათვის მოაოვებული უძველესი გადმოცე-
მისათვის 1646 წელი, — მანც კომისიამ სხვა-
და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთის შედარ-
ებით რამდენიმე ძველი აზრი გამოარკვი,
ძველებური მართლ-წერა, შეცვალეს კალიბრ,
დადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც
ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიხედ-
ნითადაც უშლიდა, ტექსტს გამოაღო.“
სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იესი-
რა უსასილედო გამოჩინილმა მხატვრებმა
ჩინი, რომელსაც ამ დავალებისათვის უსა-
ხლო მალდობს ფურცელი. ჩინის ხელთ
დახატულად ვტო-ცინტოგრაფიანი ვენა-
ში აბეგრება გადღობ; ხოლო ვერადღიანი
სურათი ვაგეთებულა პეტერბურგის,
ბრეტეს ქიმიო-ლოთიოგრაფიაში.

არბები, სათაური, ასობი და საბოლო-
ში შეადგინა გრაგოლ ვაგებულმა და ამო-
ქცეს პეტერბურგში ღებინება და მემ. მხატ-
ვრობა ამ შიროვლებისათვის გამოცემულთა
ძველი მწერლობები და საქართველოს
ცინტოგრაფებისა, მხოლოდ ზოგიერთი ამ
მხატვრობათაგანი ფურცლი დაიბეჭდებოდა და
დასწრებულა. თითქმის ყველა მინას-
ხლო და ციხეს, — მცხეთის, ყაჯარ-ციხის,
გოთისა, ქუთაისის, დავლის, ალავესა, ვა-
ნის, ახალციხის, დიდტორის, საპირის,
აბეს — თავისი წილი უღებს ამ წიგნის.
თავისი ვალიც აქვს აღებული.

გეგმის დროს ვკითხვამ: თვის იღვთა
ი. ივანე ვიროვის ძე მანამხელა, რომელსაც
ვეფხისტკაოსნის უცანსელო რედაქცია.

მარტის 20, 1888 წ. (ავეფხისტკაოსნის“ 1888 წლის გამოცემა, გ. 359).

გასათვლიწინებელია ის ფაქტიც, რომ
გ. ქართველიშვილს არც გაუაღდო ეგზე-
მოარტის ფასი არ მიიღია, რაც სასურველ
დაიარა, ის იყო ის. სხვა, თითქმის ში-
თელი ტრავი, ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
სურვილი.



მინაი ზირი

ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნისათვის“

შევეხოთ ტექსტის სკიპოსს. გეგმით, ეს გამოცემა ხელნაწერების მიხედვით დადგენილი კრიტიკული ტექსტის შეცვლილი უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ კომისიამ 22 ხელნაწერი შეურთავებია. მათ შორის ყოფილა 1646 წ. და 1671 წ. ვაღაწეროლი ნუსხებიც. იმავე კომისიის გამოუყენებელი ნუსხე-არსებული გამოცემები — ვახტანგ მეექვსის 1712 წლის, ბრისეთ-დასავლეთ-შვილი-ჩემბინაშვილის 1841—1860 წ. თბილისის 1867, 1875 წ. და პ. კარბელაშვილის მიერ 1888 წ. № 3 „ივერიაში“ გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებიც.

როგორც ხოლ, ორიდანაიყო წერის, კომისიის წევრებს შორის გამოცემის ტიპით არ იყო თანხმობა. მაგ., ი. მეგრულია მოითხოვდა ტექსტის ხელნაწერთა ვარიანტების მიხედვით შესწორების (აღდგენას); ზ. ოსტე-ლიანს „საქიროდ მიაჩნდა, რომ ტექსტთან მოყვანილი ყოფილიყო ის ადგილებიც, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში არ შევიდა. მისი აზრით, ეს გამოსაადგი-ენებელია ლიტერატურის მიხედვით; პ. უშიანაშვილი კი საჭიროდ ცნობდა, წიგნს დათოვდა ლექსიკონი და კომენტარები“ („ნარკვევები“, 1964, გვ. 68).

კომისიის ზუსტი სახელმძღვანელო პრინციპი, — პ რ ა გ რ ა მ ა — არ ჰქონია. ეს იქიდანაც სჩანს, რომ თუ თავმჯდომარე გრ. ორბელიანი ურჩევდა კომისიას: უპირატესობა ვახტანგის გამოცემას მიეცეთ, რადგან ვახტანგს, შეიძლება უფიქსი ხელნაწერები ჰქონებოდაო, კომისიის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა: „პირდაპირ კითხვას შეუვადებთ და თვითონ კითხვა დაგვანახებენ, თუ რა ფასი რომელ გამოცემას ექნებაო (იქვე, გვ. 68).

კომისია, თუმცა, ასე შეუშობდა: სხდომებს დასაწყისში გრ. ორბელიანი ხელმძღვანელობდა; შემდეგ მას კომისიის რომელიმე წევრი ცვლიდა, მაგ. ნიკო დადიანი, რაფ. ერისთავი ან ზ. კომისიის ერთ-ერთი წევრი (ჩრდულია ერისთავი ან ილია ჭავჭავაძე) კითხულობდა ხმაშემა ბრისეთ-დასავლეთ-შვილი-ჩემბინაშვილის (1841) გამოცემას და სხვები ხელნაწერებს აღუყვებდნენ თავს“ („საქიბები, ამა თუ იმ სტროფის ამოღება-დატოვებას და ამა თუ იმ სიტყვის ასე თუ ისე დაწერლობას, „ესტრუტურ გამრეზობა და ლოგიკურ მოსაზრებების კომისიის წყალობა“ (ივ. ჭავჭავაძე, 1965).

კომისიამ ვერ დაიკვა ბრისეთ-ჩრდილოეთი გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული

შედგენილობა. მეტიც, ამოავლო ტექსტიდან არა მხოლოდ 1941 წლის გამოცემის 47 სტროფი, არამედ მას 1712 წლის გამოცემის 16 სტროფიც მიაყოლა.

დასახლებული 16 სტროფი პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით შემდეგია: 191, 193, 222, 253, 259, 304, 305, 339, 400, 655, 771, 835, ვახტ. შ ნ ც (956), 1048, 1275, 1810.

ვახტანგ მეექვსის გამოცემას კომისიამ ხელნაწერების მიხედვით დაუმატა შემდეგი ხუთი სტროფი: 118 (დ. კარიკაშვილის მიხედვით), — „თუ ყოფილა იგი მოკმე ხორცილი“ 152 (1957 წ. გამოც.), 553, 556, 1614.

ამგვარად, — წერს ს. ორბელიანი, — კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი შეიცავს 11 სტროფი ნაკლებს, ვიდრე ვახტანგის გამოცემა (ამოიღეს 16, დაუმატეს 5). საწყუხაროდ, კომისიამ თავის გამოცემას არ დაურთო არც ლექსიკონი, არც კომენტარები და არც ვარიანტები, თუმცა ეს გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა“ (ცტ. „ნარკვევები“, გვ. 70). კომისიამ „ვერ ჩაატანა ის დიდი კრიტიკული მუშაობა (როგორც ხელნაწერებზე, ისე ტექსტზე), რომელიც საჭირო იყო „ვეფხისტყაოსნის“ ნაშედი ტექსტის აღდგენისათვის“; მუშაობა არ ეწერებოდა მკაცრ მენეიერულ პრინციპებს.

ნ. შარის დასკვნით, ამ კომისიის ნაშუშვერის ზ. კარიკაშვილის ხაზზე გამოცემა იყო უფრო პოლიტიკური ფაქტი და არა მეცნიერული. კომისიის შემადგენლობაში არ შედიოდა არც ერთი ორიენტალისტი, არც ერთი საფუძვლიანი მცოდნე არაბულ-სპარსული ენებისა და ლიტერატურის. მეტიც, კომისიის წევრი შორის არ იყო არც ერთი მცოდნე არც ქართულენოვან, შემოხლდა ხალხებს (მაგ. სიმბახი) რომლებმაც ენისა და მწერლობისათვის, ზუსტად იგივე საკითხები თავის მასწავლებლობას.

ნ. შარის ამ სიტყვებს ემხრობა და თავის მხრივ უმატებს: მაშინ ახელი საქმე მოსკოვისა და პეტერბურგის ქართველოლოგი-ორიენტალისტების მოწვევით უნდა შესწავლებულიყო; ასრულებდნენ კი მხოლოდ ადგილობრივები.

კომისიას წიგნის გამოცემისათვის უსაყვედურებდნენ „ივერიაში“ ფურცლებზე, რომ ბევრი დაკვირდა და ცოცხა გაანადგავა; „კომისია—წერს კორესპონდენტი, — ვალდებული იყო აღდგენილი ტექსტის ქვეყნულად ვარიანტები მოეყვანა, როგორც საზოგადოდ ამგვარ შემთხვევაში მიხდებოდა“. გამოცემის სტროფთა ნუმერაცია არა აქვს, რაც აუბრუნებს სტროფის ნუმეროს (ახლაც მისი ორიგენალი ტექსტის — დ. კარიკაშვილის 1908 წლის გამოცემის მიხედვით ვიძებო სტროფები 1888 წ. გამოცემაში).

პ. კანაშვილის აზრით, ვიდრე მხატვარ ზირის ვერ გაუწიეს მთელ საჭირო კონსულტაციები, 1888 წლის გამოცემის დაბეჭდვით სურათები რომ გადასწიწენ, — ამბობს მ. კანაშვილი, — მხოლოდ მაშინ შეიძლება ილიას სიტყვები „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანად მოცდენათა შესახებ ტარდობა მათში წარმოდგენილია ვეფხის გამოქვეყნელ ტუა-ნაშაბასხლელს შიშის გარეშე უკუილა, მკრანაფილია და მასრ კმულებით მზინ, როდესაც თვითონვე ტარდობა ამბობს, რომ მას ხამო ტუაჟი არ ჰქონდა ტანს წამბარაბელი, არამედ იგი ნაშედი ყაბად იყო მიხედვის შეტეობით ამბობს მიერ (ზ. 689), დღესაც არ გვეჩვენა, რომ მხატვრულ გამოცემის რედაქტორებსაც „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა არ გადაეცემებოდა 85 ხანისთვის (იხ.) მაშინ, როდესაც კახს ახადებდნენ ზირის ვეფხის გამოქვეყნელ ტუაჟი“ (გაზ. „ტრიბუნა“, 1928, № 469, გვ. 2—3).

მოკლედ ეს გამოცემა, ტექსტის დადგენის
თვალსაზრისით, არ არის საგრძობად წინ
წაღმგული ნაბიჯი. მისი „შინაგანი ღირებუ-
ლება გარეგნულ სილამაზესა და წესს ოდ-
ნავადაც ვერ შეეუბრება“.

აღნიშნულ ნაყოფანებთა მიუხედავად,
ამ გამოცემის ტექსტის მმართვე-
ლმა აქვე თავისი მნიშვნე-
ლოვანი მსოფლიო პირველი გარკვევა ზოგირე-
თი სხვი ტექსტორიკე შეუხამა და
მათი შემკვეთელი ადგილები გამოართა.

ეს გამოცემა შესანიშნავია მხატ-
ვრობითა და ქართული შრიფტით.
ახტანე VI სურათის, ბაგრატიონთა ღვთისა
და რიგი დიკონიკების მიხედვით მხატვრულ-
თა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი — 1712
წლის — გამოცემა, მაგრამ მასში პირველი
ენოლოგიის ილუსტრაციები არა გვაქვს (სხე-
თები გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნა-
წერებში). როგორც ეს სწორადაა აღნიშნუ-
ლი, ზიჩი არის ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“
პირველი ილუსტრატორი; ამ პირველი 1888
წლის გამოცემა პირველი დასურათებული,
ანუ სურათებიანი პუბლიცაცია. ყოველი
გვერდის ტექსტს აქვს დეკორაციული ჩარ-
ჩები და ქვესათურების ნაწილებს — თავ-
სართ-ბოლოსართები.

ენობილია ისიც, რომ მ. ზიჩი ქართველ
მოდერნულ ქალთა დახმარებით მართავედ
ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყა-
ოსნის“ ენოლოგია მიხედვით. ამისათვის მან
შეარჩია სურათების ტიპათა პროტოტიპები
და ქართველი გარდა, ამ პირობით ბევრი უც-
ხოელიც დაინტერესა. მაგ., 1882 წ. 6 თე-
ბერვალს მ. ა. ზიჩის „ვეფხისტყაოსანი“
წარმოადგინა 10 ცოცხალ სურათად (იხ.
გვ. „დროება“, 1882 წ. 9 თებერვალი, გვ.
„KABKAZ“ ამავე რიცხვისა, № 86), იმავე
თვეშიც გაუმეორებია აგი (იხ. ქვემოთ), უფრო
გვიანვე წარმოადგინა (იხ. „დროება“,
1882, 2 ივნისი, № 116), ქუთაისშიც მოუწ-
ყვია ასეთი სახასიაზო და სხვა (იხ. მ. გორ-
ჯიანი წერილი — თურნ., „საბჭოთა ხელფე-
ნება“, 1959, № 9, გვ. 63-64; ს. ბლაქუაძის
და თ. ფერაძის წერილი, იქვე, 1960 წ. № 11,
გვ. 87-88 და სხვ.).

სხვადასხვა დროს მას გამოუყვანია: თამარ
მეფედ — ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა,
მ. იოსელიანი; შოთა რუსთაველად — დ. ზ.
სარაჯიშვილი, პეტრი მ. გურიელი; ფარსა-
დან მეფედ — ჭამბაქურა გურიელი; როს-
ტოვან ლეფედ — რ. ერისთავი, ქ. ქაჭიათა თი-
ნათიანად — ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვი-
ლისა; ტარიელი — პიოტი გ. შერვაშიანი;
ნესტან-დარეჯანად — დემს. ფლავიანი ფორდო-
ნიად — ჯანა გურიელი და სხვები...

თბილისში მერვედ დასაბრუნო ცოცხალი
სურათების შესახებ „დროება“ (1882 წ. 28
თებერვალი, № 89) გვამცნობს: სახასიაზო მო-
ხილბა არა მხოლოდ ქართველებს, არამედ
უცხოელებსაც „იპოვებოდა ბევრი“ ამა-
ხელა. წინაშე 10 სურათი კიდევ ერთი
სურათი მივხვდებით: შოთა რუსთაველი დაზო-
ქული მიაბრუნებს: თათარ სარაბას, თავის ქ-
ვევ კომის „ვეფხისტყაოსანს“ თამარ ლე-
ფოვოსს. თამარი წარმოგვადგინა მ. იოსე-
ლიანის ქალმა და შ. რუსთაველმა დ. ზ. სარა-
ჯიშვილმა. იოზეფ ისე შეგონდა ისე უხვე-
ბოდაო, ისე დაზოხიანი იყენებდა, რომ კაცის
გული წატრიადა ფარდის ჩამოშვების დავა-
დასთან და არა ფარდა ხრიალთი წამოადგა,
მოქვედნარა ტანის ცემა, როგორც მოწა-
ვლებს, იოსელიანმა, რომ კიდევ რამდენიმე წუ-
თი დეტალებს მუყურებელი თვალი“. ფარსა-
დან, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი, ტარი-
ელი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწარმოები იყენებ კაცის
თვალისათვის“.

ასეთი „წარმოადგენები“ იმართებოდა არა
მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში, არამედ



„სერგი ქობულაძე

ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნისათვის“

სხვა ქალაქებსა და დაბებშიც, და არა მხო-
ლოდ ივეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამო-
ცემაზე, არამედ შემდეგაც. ამ სტრიქონების
დამწერს ახსოვს, მაგალითად, 1915, 1916 და
სხვა წლებში, მ. ზიჩის ნაბეჭდი სურათების
მიხედვით, როგორ აღადგინენ „ვეფხისტყა-
ოსნის“ ცოცხალ სურათებს აგრეთვე ხანმოკ-
ლე და დიბუში, ბახუა და ხილისთავი.
ამ ახლა სიტყვებს „ვეფხისტყაოსნის“ მ. ზი-
ჩისგან ილუსტრაციებისა და ამავე სურათ-
თა პროტოტიპებზე აღარ გვაქვს დეტალები. აქ
დავამყარებდებოდა იმის აღნიშვნა, რომ
ახსიბობს წიგნები: მ. გორდელაძის „ზიჩი
სურათები“ (თბ., 1960), მ. ქვეციანის
„ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორი-
ისათვის“ (თბ., 1960) და რიგი წერილები.

ჩვენ არ ვაბნობ, რომ რუსთაველის მი-
ემის ზიჩისგან ყოველი ილუსტრაცია ერთი-
ნაირად მოხდენილი იყოს. მეტიც, გვახსოვს
მათადმი მწერალ-მუხბობის ქოლა ლომ-
თაობისა და ნაწილობრივ ზოგირით სხვათა
წვდებური დაყოფილებულბები. მაგრამ მა-
ინც უნდათქვამდებოდა, რომ მ. ზიჩიმ ახა-
ლი მიმართულება მისცა „ვეფხისტყაოსნის“
დასურათებას. თუ მანამდე ეს სომეხ ხელ-
ნაწერებში უშთაბრუნებდა ე. წ. სასსულთ

სტილით სურათებოდა, მ. ზიჩის შემდეგ
ის უშთაბრუნებდა ე. წ. ვეროპული სტილით
სურათებსა.

„ვეფხისტყაოსანი“ 1888 წლის გამოცემა
ტექსტის შედარებულად დადგენის თვალსა-
ზრისით არასაკმარის ქართველთა და ეს კო-
მისის მუშაობის ნაყოფია. თვით გიორგი და-
ვისთის ძე ქართველთაგან კი ვუღიბებოდა
ფილიამ გამოცემის მიმართ. მას უკვლავ-
ერი გავეუბრებოდა იმისათვის, რომ ეს გამოცემა
საქართველო ყოფილიყო. ამიტომ მოხსენიება
და ქართველთა მისათვის, რომ ეს გამოცემა
ფალოლოგის ისტორიაში, მისი სახსრებით
გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ტექნიკურ
გადვილებების მხრივ, მართლაც უტო-
ლოა დღემდე დაწარმოებული გამოცე-
მების შორის. ამ მხრივ მასთან მხოლოდ
„ვეფხისტყაოსანი“ კ. ბაღმონაძის (პარიზი,
1938 წ.), ქართველების მხარდაჭერით გამოცე-
მა და ნაწილობრივ მ. პეტრენოს (მოს-
კოვ-ვლინგრადი, 1938) რუსული თარგმანე-
ბის გამოცემების გამოჩენა თუ შეიძლება.
ამიტომ დღემდე მას შემდგომელ პატარა-
ლთა მშობებში და იყენებდნენ საერთოდ და
განსაკუთრებით უცხოელ სტუმართა არმა-
ნად.



ზელიმან გიგოლაშვილი

მშვილობით ჩემო სამშობლოვ

ბალატი „შოთა რუსთაველი“

უცხოეთში

დავით მეღუბა



ხოლოდ რამდენიმე წლის წინათ გაზდა ჩვეთვის ცნობილი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს, მონტე-კარლოში დაიდგა ბალეტი... „შოთა რუსთაველი“! ქართული ბალეტი უცხოეთში და ისიც ჩვენს სათაყვანებელ შოთაზე! ეს იმდენადვე სასიხარულო ამბავი იყო, რამდენადაც დაუჩერებელი, მაგრამ მანც ფაქტი, რომელიც ფართო საზოგადოებას გააცნო აღიქვანადრე პეტრიაშვილმა — დადგმის უშუალო მონაწილემ და დამდგმელის პირველმა ასისტენტმა. ომის პარტახილმა იგი საღრანგეთში

გადაისროლა და როცა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის ბალეტის სოლისტის, დავით ჯავრიშვილის აღზრდილს წარმოადგენს შემადგენში ჩაბმა შესთავაზეს, ცხადია, სიამოვნებით დათანხმდა. ჩვენ საშუალება მოგვეცა უკვე ცნობილი ფაქტები უფრო შეგვეცნო ა. პეტრიაშვილთან საუბრით, აგრეთვე გამოჩინულ ფრანგ მოცეკვავე ივეტ შვირესთან შეხვედრის დროს, როცა იგი წლებულს იენისის დამღვას თბილისის საგანტროლოდ ეწვია. ი. შვირეს ბალეტში ნეტანის პარტიას ასრულებდა და თუმცა დიდი დროის გასვლის გამო ყველაფერი ვერ



ლი მიმართულების პოეტებმა იწყეს კარგი საქმეების დასეთების ჩამდენ ადამიანთა ასახვა; იმათ კი, ვინც უფრო სადა მიმართულების იყო, იწყეს მდარე ადამიანთა საქმეების ასახვა... „პირველები ჰქმნიდნენ ჰინძებსა და სასოტბო ლექსებს... ძველ პოეტთაგან ზოგიერთი იქცა საგმირო თხზულებათა პოეტად, ზოგი კი — იამბების. ჰომეროსი მაღალი მიმართულების თხზულებათა უდიდესი შემოქმედი იყო, ვინაიდან მან, ერთადერთმა, შექმნა სახეები არა მარტო მშვენიერი, არამედ დრამატულიც“. („პოეტიკა“, 54).

არისტოტელეს ეს ზოგადი დებულება საფუძველია შოთა რუსთაველის შემოქმედების. შოთა რუსთაველის გმირები წარმოდგენილი არიან როგორც ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესები, ასეთებია: თინათინი, ნესტანი, ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი. ზნეობრივი, ფიზიკური და ინტელექტური მონაცემებით, მოქმედების ზეგუნებრივი ასპარეზით ისინი ზღაპრულ პერსონაჟებს უახლოვდებიან. თვით შოთა რუსთაველი, მსგავსად ჰომეროსისა, მაღალი ზნეობის პოეტი იყო. შოთას იდეები, სხარტ აფორიზმებად ჩამოყალიბებული, მაღალი მორალისა და ჰუმანურობის სხივით არიან გასხივონებული. არისტოტელეს მიხედვით ასეთი პოეტები ჰქმნიან ჰინძებს და სასოტბო ლექსებს. „ვეფხისტყაოსანი“ ეს არის, — როგორც თვით შოთა რუსთაველი აღნიშნავს „პროლოგში“, — თამარის შთაგონებით შექმნილი ქება, და რომელიც ტარიელის საგმირო საქმეებია აღწერილი:

„მო, დაგხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“ (სტროფი 7). შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი სახეები, მსგავსად ჰომეროსისა, უდიდესი შემოქმედების ნაყოფია, რადგანაც ისინი არა მარტო მშვენიერი არიან, არამედ დრამატულად განვითარებულნიც. სახეთა მშვენიერება რუსთაველის გმირებში არა მარტო ფიზიკურ მონაცემებში აისახება, არამედ მაღალ სულიერ განწყობილებებში, მგებობაბასა და თავადებაში. ყოველივე ეს კი, წარმოდგენილია ტარიელის მძაფრ დრამატულ მოქმედებაში, რომელიც პოემის სიუჟეტური განვითარების ძირითადი ეპიზოდია.

პოეზიის ბუნებრივი თვისებებია — ბაძაძე, ჰარმონია და რიტმი. პოეზიის ზოგიერთი დარგი, მაგალითად დიტირამბული და ნომების პოეზია, ტრაგედია და კომედია სარგებლობენ რიტმით, მელოდიით და მეტრით („პოეტიკა“, 2).

„ვეფხისტყაოსნის“ რიტმის და მეტრის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ ეს გამოკვლევები ცხადია მხოლოდ სიტყვიერი ტექსტების ანალიზით იფარგლებიან და ამდენად ცალმხრივ საუკუნეების ტრადიციებზე დაფუძნებულ გამოკვლევებს წარმოადგენენ. ძველ საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, პოეტური ტექსტები წარმოადგენენ „ხმითა სასწავლი სწავლას“, რაც გულისხმობს ხმით, ანუ პანკით შესრულებას, რადგანაც ხმა ითვება საეროში, რაც საავლობებში: იგი წარმოადგენს ჩამოყალიბებულ მელოდიურ ფორმულას. სწორი პოეზიაში ასეთ „ხმაზე“ ან ერთ კანონიკურ მელოდიასზე წრიული-ციკლური განვითარების საშუალებით შეიძლება ვრცელი საკითხავების კითხვა, ისევე როგორც დღესაც ქართულ ეკლესიებში სახარების რეჟიტატიული შესრულება. ერთ კანონიკურ „ხმაზე“ ხალხში სრულდება აგრეთვე გან-

„ვეფხისტყაოსანი“ და ქარული საერო პოეზიის კვაკვაკოს ხანა

ვაჟა გვახარია

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



არისტოტელე ხელოვანის მიერ წარმოდგენილ მოქმედ პირებს ჰყოფს სამ კატეგორიად: 1. ხელოვანი წარმოადგენს მათ როგორც უკეთესებს, ასეთია მაგალითად ჰომეროსის გმირები; მხატვრობაში — პოლიგონტი. 2. როგორც უარესებს, მაგალითად, ჰეგემონ თაზოსელი — პაროდები; მხატვრობაში — პავსონი. 3. ან ისეთებს, როგორც ვართ ჩვენ, ასე ხატავდა დიონისე, წერდა ნაწარმოები — კლეოფონი („პოეტიკა“, 52).

არისტოტელეს აზრით, პოეზია განაწილდა იმის მიხედვით, თუ როგორი ზნე ჰქონდათ მოხსენებლებს. „უფრო მაღ-



სხვაგვებუი სიუჟეტის ნაწარმოებები, ეს დღესაც შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს მთის პოეზიაში.

„ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს „ხოტბას“. „ხოტბა“ ტერმინი, ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენაზე, სივვე როგორც „პოეზია“, მოიცავს მუსიკის და ლექსის ერთიანობას, რომელიც ძიშნური ხასიათის ნაწარმოებთა კატეგორიას განეკუთვნება. „ხოტბას“ შესატყვისი ქართული ტერმინია „ქება“. „ქებას“ სინონიმიზია „შესხმა“ და „ძნობა“. „შესხმა“ — განადიდება, გამწვევება გულისხმობს, ხოლო „ძნობა“ — სიმღერას უკავშირდება. „ძნობა“ და „მძნობარი“, როგორც პროფ. ილ. აბულაძე ფიქრობს, სიტყვა „ძალიდან“ მომდინარეობს. „ძალი“ — ძველ ქართულში აღნიშნავს სიძს. „ძალი“ ტერმინი გვხვდება, როგორც სახარებაში: „ათაძალა“ (ოთანეს აპოკალიფსში V ტ, იოანეს I ეპისტოლეში XIV), „ამე-სათოლა“ (იოანეს აპოკალიფსში VII, XIV), აგრეთვე საერო ხასიათის ძეგლებში: „ათაძალი“, „სიმძალი“, „ორძალი“, „ხუთძალი“. „ვეფხისტყაოსნის“ „კითხვა“ მუსიკალური თანხლების გარეშე წარმოდგენილი იყო. როგორც შოთა რუსთაველი განმარტავს — „ვეფხისტყაოსნის“ საუძველბა „შაირი“. „შაირი“, რომელიც ძველ ქართულში „მაღალის“ და „დაბალის“ ფორმით იყო ცნობილი, თანამედროვე ქართულში სრულდება, როგორც ციკლური-წრიული სიმღერა, რომელშიც ნებისმიერი სივრცის ტექსტი ერისა და იმავე მთელბდაზე იმღერება, მეტწილად სიმთბიანის აკომპანემენტით.

თანამედროვე „შაირი“ არის სხარტად თქმული ლექსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გრძელი სიტყვის მოკლედ, მოსწრებულად თქმას „გრძელი სიტყვა მოკლე ითქმის შაირია აზად კარგე“ (სტრფ. 12);

თანამედროვე შაირი იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც შოთა რუსთაველის „მესამე ლექსის“ ფორმით აქვს წარმოდგენილი: „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ სამღერელად, სასაიოდ, სალაღობოდ, ამხანავთა სათრეველად“ (სტრფ. 17). მაგრამ როგორც შოთას პოეტის ტრაქტატიდან ჩანს, სიტყვა „შაირმა“ თანამედროვე ქართულში დაკარგა თავისი პირველი, ფართო მნიშვნელობა, რადგანაც შაირი, თანაც „სიბიძრის დარგის“ უმაღლესი კატეგორიის შაირი, — ეს არის „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (სტრფ. 13), რომლისაგან განსხვავდება მცირე ფორმის, მორე ხახის და უფრო დაბალი ღირსების მოკლე მოცულობის ლექსები. ამ კატეგორიაც შოთა წერს: „დღესა ვერ მოკლევნ, ხელად აქვს ხორცა ნადირთა მირეთა“ (სტრფ. 16). „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის საფუძველზე, ჩვენ გვაქვს არა მარტო ლექსის სახეობებზე მითითება, არამედ, რამდენადაც „შაირი“ მუსიკალურ შესრულებას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მითითება შაირის სამგვერდო სახის მუსიკალურ ფორმასზეც, ისინი ერთიმეორისაგან განირჩევიან ემოციურად, მოცულობით და ისტატობის ტექნიკით.

მუსიკის ფოლკლორისტების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური ჩანაწერების ნიმუშების შესწავლა პირველყოფილ მდგომარეობაშია, მოგვეპოვება მხოლოდ რამდენიმე ერთმნიანი ნიმუში. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ვინაიდან

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი ტექსტი სამზიან, გუნდურ შესრულებას გამოირცხავს, სამაგიეროდ ქართულ ხალხურ ფოლკლორში საკმაოდაა ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებზე აგებული, ან მისი ზეგავლენით შექმნილი მაღალმხატვრული სავანდო სიმღერები, რომლებიც სრულდებიან ან აკაველით, ან კიდევ საკრავთა (მეტწილად მისასხიდ-სიმებიანების) თანხლებით. ასეთებია „ვა სოფელი“, „ბიძის ფერია სოფელი“, „ზამთარი“, „ავთანდილ გადინადრას“, „ნახეს უცხო მოყვ ვინმე“, დ. არამიშვილის კართლში ჩაწერილი და გამოქვეყნებული „სუფრული“ ცნობილი ტექსტით: „ვერ დიპირავს სიკვილას“, აგრეთვე „ვარდას კითხეს“, „მე რუსთველი“... ამავე ეპოქას განეკუთვნებიან თამარის ციკლის სიმღერებიც, დღემდე არსებობენ ხალხში პოემის მთქმელები, მაგრამ ისინი ვერ მიხვდნენ ფოლკლორისტთა კურადღების ცენტრში. სიკვირები ტექსტის მეტრი და რიტმი მუსიკალურისაგან განსხვავდება, ანტიომ მათი ერთმანეთისაგან იზოლირებული შესწავლა არ იძლევა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილი ანალიზის საშუალებას, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი სახეობის მეტრისა და რიტმის საკითხების შესწავლა, მუსიკალური მასლის სიმცირის გამო, მოკლებულია დამაჯერებლობას, ამასთან იგი არ ითვალისწინებს ნაწარმოების შესრულების უძველეს ტრადიციას.

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც „ქება“, ანტიკური ტრადიციების მიხედვით შესაძლებელია საკრავის აკომპანემენტით შესრულებულიყო, ეს საკრავი, როგორც ამ ეპოქის მოღწეულ ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა, უნდა ყოფილიყო სიმებიანი: მაგალითად შაუთელი „აბრულმესიაში“ წერს:

„გიძღვენ ქებანი
მწადს აქ ებანი
და ვით ის დავით
ესავდებ მუსიკობად“.

„ებანი“ ამ კონტექსტში შეესატყვისება „საფსალმუნეს“, რომელიც ხელთ ეყვარა „ფსალმუნთა მთქმელს“ დავით წინასწარმეტყველს. „საფსალმუნეს“ ქართული შესატყვისი ტერმინია „ათაძალი“, რომელიც აოსიმიან საკრავს გულისხმობს და ქნარი, რომელიც აღმოსავლური ქვეყნებიდან შემოსულ ტერმინებად გვხვდება: ებანი, ქნარი, საფსალმუნე, ათაძალი, კითარა.

შოთას პროლოგის ლექსის ტრაქტატში წარმოდგენილი ლექსის სამ სახეობას, — ფორმის გარდა, ჟანრობრივი დიფერენცირებაც უდევს საუფკვლად, რომელთაგან ერთი ფხვლ საკითხავებში იგულისხმება ეპიური ხასიათის რაული ცეკულის ნაწარმოებები. რთული ფაბულის ერთ-ერთი ბრწყინვალე და თვალსაჩინო ნიმუშია თვით „ვეფხისტყაოსანი“. „ქებითი“ პოეზის ნიმუშებად ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, პოემის ეპილოგის მიხედვით, შოთას მიაჩნდა შემდგომი ნიმუშები:

„ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია-შავთელსა, ლექმი მას უქეს რომელსა,
დიღარავთ-სარკის თმოგველსა, მას ენა-დაუფრომელსა,
და ტარიელ-მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-
შეუფრომელსა“.

მეორე და მესამე ხასიათის ლექსებში მოცემული სახეობა შეესატყვისება მცირე ფორმის ლირიკული პოეზიის ნიმუშებს, რომელიც თემატიკურ განირჩევიან ერთმანეთისაგან. არისტოტელეს მიხედვით ეპიური ნაწარმოები განირჩევა თავისი შედგენილების სიგრძით და მეტრით. ეპოსში, იმის გამო, რომ იგი თხრობაა, შესაძლებელია მრავალი ნაწილი იქნას წარმოდგენილი, როგორც ამ ნაწილებისაგან, ერთად წარმოებული, რომლებიც პოემის არსებას შეადგენენ. იზრდება პოემის მოცულობა. ეპოსის საფუძველი საგმირო ლექსია, შესაბამის მეტრზე დამყარებული (პოეტიკა, E 24). შოთას ეპოსის საფუძველია მაღალი და დაბალი შაირი, რომელიც გვხვდება აგრეთვე შავთელის და ჩახრუხაძის შემოქმედების ტექნიკურ არსნაღში. ამ ზომით იწერებოდა სასოტო და საგმირო პოეზიის ნამუშები. „შაირი“ რამდენადაც ამაღლებული ხასიათის სასოტო-საგმირო პოეზიის ძირითადი საზომი იყო, მას იყენებდნენ სასველიო ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებებშიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ანტონი I კათალიკოსის მიერ „წყობილ-სიტყვაობაში“ შოთას თანამედროვის, სასველიო ჰიმნოგრაფიის წარმომადგენლის ბულმაისიძე არსენის დასახატება:

„ბულმაისიძე არსენი მწყემსთ-მთავარი
ბრძენ-მეტყუელი, წმინდა ფილოსოფოსი,
მაღალ მჭვირი, საღმრთო პიტიკოსი
ღამაზ მუსიკი მეშაირ მუჭინერი,

ან კიდევ:

„ღირს არს ჰსენებათ სხვათა მამათათანა
შენ მეტაფრასნი მამაჲ აშაირენი.“

ტერმინი „შაირი“ და „მოშაირი“, ძველი ტრადიციისა-მებრ, აქაც და „წყობილ-სიტყვაობის“ სხვა მონაკვეთებშიც, ანტონის ცნობს ფართო მნიშვნელობით და მას იყენებს როგორც საერო, ასევე სასულიერო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებებისათვის. საგმირო-სასოტო პოეზიის ნიმუშების ძირითადი ფორმა სამწაწკანაობაა, ეს სიმეტრიულობა, რომელიც ანტიკური ნაწარმოებების არქიტექტონიკიდან მომდინარეობს, ამ ეპოქისათვის არ არის შემთხვევითი. სამი ერთარსებობის გამოვლენა ძირითადია იმდროინდელ ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპის კულტურის კერებში წარმოდგენილ ჰიმნოგრაფიაში: „სამი-ერთარსებობას“ ემყარება კვადრიეუმის ოთხივე მეცნიერება: „ღღისი მეტყველება, გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა“.

პოემის დრამატურგიის ანალიზისას არისტოტელეს მოძღვრების ზეგავლენა კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს მოქმედ პერსონაჟთა სახეების ასახვისას, ჭალის რაობის განსაზღვრებაში, მონის ფუნქციების აღწერაში, მშვენიერების პრობლემაში... მაგრამ ეს უკვე ძალზე შორს წავიყვანს, ჩემთვის კი, პოემის თუნდაც ასეთი სახის ანალიზის, ნათელი ხდება შოთა რუსთაველის პოემის გენეზისის მთელი რიგი საკითხები.

საერთაშორისო ურთიერთობით უნდა აიხსნას შოთა რუსთაველის გენიალური სამოქმედო ასპარეზი, ამ ურთიერთობის ზეგავლენა იმერნავა შავთელის და ჩახრუხაძის ოღბეს, სადაც აღმოსავლეთის სიბრძნე შედგენილია ძველი ეპოქისა და ბიზანტიის ფილოსოფოსთა მოძღვრებებისა. „ვეფხისტყაო-

სანში“ ეს ურთიერთობა იმ დროინდელი ქართული წარმართობის და იდურო მიმართულების პოზიციებიდან არის ასახული; შოთა რუსთაველი მშვენიერად განარჩევს ერთმანეთისაგან საერო და სასულიერო პოეზიის ზღვარს, რომელმაც ამ ეპოქაში გადალახა ვიწრო ქრისტიანული კარნაკტილობა. მიაქცევით თუნდაც იმ ფაქტს ყურადგება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არსად არ ვხვდებით ისეთი დავალებული ტერმინი, როგორც „გალობა“. თვით ავიანდილის ლოცვა-საგალობელშიც იგი შეგნებულად ხმარობს ტერმინ „მღერას“, ან კიდევ შეადარეთ თავი აწასევა ავიანდილისაგან ფრიდონისასა, სადაც იგი მნათობებს მოუხმობს, შოთა წერს: „იმღერს ლექსთა საზარალოთა, ღვარისაებრ ცრემლინი სდიან“ (სტროფი 967).

„სიმღერა“ და „მღერა“ კი, წმინდა საერო ტერმინია, მის განსაზღვრება დამატარებლად იძლევა თეიმურაზ ბაგრატიონი „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებებში.

აკად. კ. კეკელიძე „ძველი ქართული მწერლობის“ — პირველ ტომში, „პოეზიაში“ გამოჰყოფს ორ მიმართულებას: 1. ლიტურგიკული პოეზია. 2. სამოქმედო-მოთხრობითი.

ეს ანალიზი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ შინაარსს და ლიტურგიკულ კანონმდებლობას, მაგრამ ქართული „საგალობლები“, როგორც „პოეზიის“ ნიმუშები, ხომ მართო შინაარსით და ლიტურგიკული წესით და განსაზღვრებიან? მუსიკის საკითხები აქ ძალზე უსუსტადაა მოცემული. როდესაც ვაკალიბებთ თეზისს — „ვეფხისტყაოსანს“ საფუძველი ჩაუყარა ქართულმა ჰიმნოგრაფიამო — რით ვასაბუთებთ ამ არსებით დებულებას? რეალურად მხოლოდ და მხოლოდ ბერი ფილიპეს „მეთუმების საგალობლების“ მეტრით, რომელიც საერო პოეზიის აშკარა ზეგავლენით არის შექმნილი? ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურაში დაიწერა, მაგრამ სამკოდ არსდამატარებლად. მუსიკალში, ისევე როგორც წერილობით ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, განირჩევა კანონიკური საგალობლები და მისგან განვითარებული არაკანონიკური გალობა. ამ არაკანონიკურ წამაბეთ-საგალობლებში უნდა ვეძებთ უპირველეს ყოვლისა გზა საერო პოეზიის განვითარებისაკენ. ეს პროცესი თანამედროვე ნოტებზე ფიქსირებული საგალობლებით ანალიზის საფუძველზე, ძველი X-XIII სს ჰიმნოგრაფიულ ძეგლებთან შეპირისპირებით, — იწყება იმ დროიდან, როდესაც ქართველებს მსოფლიო ჰიმნოგრაფიულ კალენდარში შეჰყავთ ქართული საგალობლებით შემოსილი თავიანთი წმინდანები და ისტორიული პირები. ეს კალენდარი XIX საუკუნემდე თანდათან იცვება, ნაციონალური მოღვაწეებით: ცნობილია: 1. დღესასწაული წმიდა მამათა ათონელთა ეფფთიმისა და გიორგის, 12/VII (ხელნაწ. Q 682 გვ. 1); ტროპარი გაბრიელ მთაწმიდის 12/VIII (Q 682 გვ. 56); ანტონი მარტყოფლის 19/I (გვ. 82); სვეტიც ცოცხლის და უფლის კვათის — 26/IX (გვ. 23); ილარიონ ქართველის ტროპარი 19/IX (გვ. 65); გიორგი მთაწმიდის ტროპარი — 27/VII (გვ. 112); იოანე ზეგაზნელის ტროპარი — 7/VI (გვ. 91); გრიგოლ ხანძთელის ტროპარი 5/IX (გვ. 41); ექვთიმე ქართულის ტროპარი 13/VI (გვ. 98); რაველის — 3/VIII (გვ. 134); შუშანიის ტროპარი 28/VIII (გვ. 144); დღესასწაული ქეთევან დედოფლის და ტროპარი — 13/IX

(გვ. 6); დავით და კონსტანტინეს — 2/X (გვ. 37); ნიკოლოზ გულაბერიძის — 6/VI (გვ. 46); ნიფოტე ურბნისის ეპისკოპოსის — 8/X (გვ. 51); აბიბოს ნეკრესელის — 9/XI (გვ. 71); მოციქული ანდრია პირველწოდებულის 30/XI (გვ. 86); წმიდა ნინოს 14/I (გვ. 79); დავით აღმაშენებლის 26/I (გვ. 220); შიო მღვიმელის 9/IV (გვ. 194); ამაღლების სწორს დავით გარეჯელის ტროპარი (გვ. 194). ქართველი წმინდანების საგალობლები კანონიკურისაგან გამომწვევან ერთნეულ კოლორიტში. მათი უმეტესობა აღმოცენებულია ქართველ კომპოზიტორ-კომპოზიტორთა შემოქმედებაზე, რამაც ერთ-ერთი დასაბამოაგანი მისცა ერთნეული კომპოზიტორული სკოლის განვითარებას.

გარდა ერთნეული წმინდანების საგალობლებისა, ქართველ კომპოზიტორ-კომპოზიტორთა შემოქმედება რელიეფურად მისჩანს საგალობელთა „ჭრელი“მ. „ჭრელი“ ეს არის დაკანონებული საგალობლის ვარიანტი. „ჭრელების“ სახესხვაობა სხვადასხვა საუკუნეთა მოღვაწეების შესახებ დაცული ცნობებით განსაზღვრულია, ქართულ კომპოზიციებში შემონახულია ცნობები ისეთ მოღვაწეებზე, რომელთაც ათსზე მეტი ჭრელი იცოდნენ ზეპირად. ჭრელებს გააჩნიათ „ჭრელის ნიმუში“, რომელთა კანონიკური რიცხვი უდრის ოცდაოთხს და ემთხვევა როგორც X საუკუნის ხელნაწერებში დაცულ ნიმუშსა რაოდენობას, ასევე ბიზანტიურიდან ნასესხებ ოცდაოთხს ნიმუშთან რაოდენობას. ქართველი კომპოზიტორების შემოქმედება, რომელიც ვლინდება სავლესთა-მუსიკალურ-პოეტურ ფორმებში: სტიქარარი, ტროპარი, დასდებულ... შემსაძლია შესრულდეს: წართქითი, დამუხლებით, ავაჯით, ჭრელით და შეკავებით — ეს ნიუანსები და სახეობები იძლეოდნენ საშუალებას შეეცნნათ კანონიკურისაგან განსხვავებით შედარებით თავისუფალი ფორმის საგალობლებს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ „ჭრელები“ ხელნაწერ Q 671-დან „მზისა შემოქმედი“ (გვ. 103), „ალილო არწივი“ (გვ. 114). ხელნაწერ Q 672-დან: „უფალო ღაღადგავე შენდამი“, (გვ. 35, 43, 46, 55); „ღვთისმშობელს ლობიოვარად შეუვრდეთ“ (გვ. 646); ხელნაწერ Q 673-დან „ყოველი სული აქებდი: უფალს“ (გვ. 635), რომელიცაა სასარგებო ჭრელი. ხელნაწერ Q 674-დან „უღბინე“ ჭრელი (გვ. 9); „აქებდი უფალს“, „ალილო არწივი“ (გვ. 164); „შენ გიგათობი, შენ გაკურთხევი, შენ გმადლობი“ (გვ. 332); „გმეწიერებასა ქალწულებისა შენისას“ (გვ. 355); „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ (გვ. 590) და სხვა მრ... ერთი და იგივე საგალობელი შეიძლება რამდენიმე განსხვავებული სახით შესრულდეს, მაგალითად ხელნაწერ Q 672-ში „ნათელი მიწარული“ მოცემულია წართქითი (გვ. 192), წართქმა-დამუხლებით (გვ. 195); გამწვენებული ჭრელით (გვ. 199) და ჭრელით (გვ. 205). გამწვენებული ჭრელის საპირისპიროდ არსებობს „სადა კილო“, მაგალითად, ხელნაწერ Q 673-ში მოცემულია „ყოველი სული აქებდი უფალს“ სასარგებო ჭრელით და სადა კილით (გვ. 635); გარდა მოზრდილი მრევლებებისა, საგალობლები იწერებოდა ბავშვებისათვისაც. საბავშვო, სადა კილოს წირვის ქვის ნიმუშია ხელნაწერ Q 674-ში „მხოლოდ შობილი ძეს და სიტყვა ღვთისა“ (გვ. 245) ვარდისით შესრულების ნიმუშია „ქრისტე აღსდგა“

ხელნაწერ Q 692-დან (გვ. 61); ანტიფონურის — ფსალმუნთა წელი წართქითი საგალობელი — ხელნაწ. Q 674 (გვ. 462);

ყოველ გალობას შესაძლებელია დამატებოდა შესავალი: „შესვლადის“ ნიმუშია „აღამაღლებდი უფალს ღმერთსა“ (გვ. 361 Q 674); ან ჩასართავი გალობის შუაში: „აღდგ სული ჩემო, უპატიოსნისი“ (IX გალობის ჩასართავი, Q 674, გვ. 444); საგალობლები, რომლებიც ფესზე დგომით სრულდებოდა, იყოფებოდა „დაუკდომელად“. საერო მუსიკის ზეგავლენა ეტყობა ქართულ საგალობლებს „მრავალგანიერ“ (მღვდელმთავრის წირვის წესი, ხელნაწერი Q 674, გვ. 51) და „ულხინე“ (ჭრელი, შემოსვლის საგალობელი, ხელნაწ. Q 674, გვ. 9). გარდა ამ ორი ძირითადი სახეობისა, ქართველი კომპოზიტორების მოღვაწეობა ყველაზე ნათლად ჩანს იმ სტრუქტურულ სხვაობაში, რითაც ოქტოხების სისტემით ნასესხებ საგალობლებთან — ქართული კანონიკური განირჩევა ბიზანტიურთან, ესაა ქართული ხალხური მუსიკის ბუნება — სამხმანობა, რომელიც X-XIII საუკუნეებში რელურად არსებული ჩანს. თუკი პირველ ხმამ — „აჲს ტუს ფირმუსში“ (განსხვავებით ხალხურისაგან, სადაც ძირითადი მეორე ხმა) წარმოდგენილია დაკანონებული საგალობლის ფორმულა, მეორე და მესამე ხმებში პარმონიზაცია და მგლოღური განვითარება გამოყვანა ქართული ხალხური მუსიკის კანონზომიერებას. სამხმან საგალობლებზე ნასესხები ერთხმანი კანონიკური საგალობლებს დამკნობაც ცხადია ქართული პროფესიონალური კომპოზიტორული-საკომპოზიტორო სკოლის დამსახურება, რომელთაც ამ ეპოქებში გააჩნდა უდიდესი ღვაწლმოსილი წარმომადგენლები. ამ დროს განკუთვნილება თუნდაც დემეტრეს ისეთი ცნობილი ბრწყინვალე ღვთისმშობლის საგალობელი, როგორცაა „შენ ხარ ვენახი“, რომელიც გარდა დღესდღეობით შემონახული, გურული და კახური ვარიანტებისა, მოღწეულია ჩვენამდის, კიდევ რამდენიმე სახეობით: ხელნაწერი Q 674: „ღვთისმშობელი ქალწულ შენ ხარ ვენახი“ (გვ. 272), იქვე შენ ხარ ვენახი ალყვარებული (გვ. 347, 349) და ხელნაწერი Q 691 (გვ. 124) — „ღვთისმშობელი ქალწული შენ ხარ ვენახი“.

შოთა რუსთაველის გმირების ზნეობრივი მწარასი არც წმინდა ამბისავლერბია, ვისრამიანის გმირებს რომ ახასიათებთ, არც წმინდა ქრისტიალური, როგორც წმინდარბეყველთა ცხოვრებაშია წარმოდგენილი, ისინი ისეთივე მოკვდავნი, დაიღნი და სულიერად ამაღლებულნი არიან, როგორც ელენილი მითების გმირები, ოღონდ მათი მოქმედების სფერო რაინდობის ეპოქითაა შემოფარგლული.

შოთა რუსთაველი დიდი თვითნობით ეკიდება სასულიერო პოეზიაში ხმარებულ საკრავთა მოხსენებას. მუსიკალური ტერმინოლოგიიდან აქ, არა მარტო გალობას არ ვხვდებით, არამედ ისეთ გავრცელებულ მუსიკალურ საკრავთა ტერმინებსაც, როგორებიცაა: ნესტვი, საყვირი, ორღანი, საფსალმუნე, კითარა, ერთხალი, ოთხხალი, ხუთხალი, ათხალი...

ყოველი საკრავი ზუსტად არის საყოფაცხოვრებო სიტუაციებში დასახელებული, მათი ხსენება არსად შემოხვევითი ხასიათის არ არის.

რანდულ ეპოქაში მუსიკა დიდ როლს თამაშობს. მუსიკა აღმავალი ღვინის, ჭირის, ოხის, ნადირობის განუწყურელი თანაზგავრია. თუ რამდენად კარგადაა „ვეფხისტყაოსანში“ მუსიკალური საკრავები წარმოდგენილი, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან სათანადო კონტექსტებს პარალელური მასალებით: მაგალითად, ღვინის დროს, როდესაც ავთანდილი ტარიელის საძებნელად წავიდა, იგი მწყურბრებით ამბობს: „მოვშორდი ღვინისა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“ (179). ჩანგი და ბარბითი სიმებიანი საკრავებია, ნაჲ — არაბული სიტყვაა და ლერწამს ნიშნავს, ამ შემთხვევაში იგი სალამურის მნიშვნელობით გაიგება. ღვინის დროს აქტიურად მონაწილეობდნენ მომღერლები და მუტრიბები:

„შინა დაესხედით ნადიმად მას დღესა
მინდორის რებულნი,
მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნენ
სულ-დაღებულნი (368)

ან: „მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით ისმოდა ხმა წინწოლისა ბინდით-ცისკრამდე ხმა იყო, გარდახდა ჟამი დღისა.“ (1552)

მომღერალი — აქ თანამედროვე გაგებით იგულისხმება, მუტრიბი-არაბული მიმღებობის ფორმა და ნიშნავს მომღერალ-მგოსანს, წინწილი — თანამედროვე ლითონის დასარტყელი საკრავია, რომელიც ცნობილია „თუფშების“ სახელწოდებით. „ღვინისთვის“ „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი ტერმინია გამოყენებული „სალხინო“ (341), „სადარბაზოლად“ (1647), „სადარბაზოდ“ (141), „სმა“ (1552), „ნადიმო“ (562, 386, 466, 1189), „ნადიმობა“ (488), „ნიშატი“ (334). „ვეფხისტყაოსანის“ ანალოგიური სურათია წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრებაში“, როდესაც შუტაფარდინ დასუსის-ქე „სურვილითა და სმენა-სატურფითა სახეთაგან ძმეული მოვიდა წინაშე თეთთფლობელი-სა, ყოველთა მფეთთა უზესთაესისა ამის თამარისა... იქნა სისარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგურთა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა, ნიჭთა და საბოძურთა და შემოსათა ვინაცა იქნა უპამრავი“ (ტ. II გვ. 43).

I „ვეფხისტყაოსანი“ (სტრფ. 386). „შვეე დაკვდე ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს მხიარულმან საბოძარი გავეე, ზარი გაადიდეს.“ „ვისრამიანი“ — „მუტრიბთა მღერა და კმა ცად გაიწვეს“.

II ქორწილის დროს: „მგოსანი მოდგეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტკბილისა ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვნობა ღვინისა ლბილისა“ (სტრფ. 1464).

„მგოსანი“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ჩანგზე დამკვრელ მომღერალ — იმპროვიზატორს. ქორწილის და ღვინის დროს გამოიყენებოდა აგრეთვე „ნიშატი ჩა-ჩანგ-და-ფენი“.

ნიშანის სახეობა ჩემთვის უნებოდა, დაფი ნიშნავს ცალმხრივ დოლს, დაფადფი — ორმხრივს.

ან კიდევ: „დამითარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ღამის სტლობასა, ჩემთვის ბუკსა და ტაბლასსა ცუდად, გლან იცემს ნობას“

„ამირან-დარეჯანი“: „დაესხენ დიდებულნი, იმღერდეს მგოსანი“, თამარის ქორწილზე: „იყო სიმრავლენი სახიობათანი, ძღვნობანი და ნიჭებანი მრავალნი“.

მეორე ქორწილზე: „იყო ხმა მგოსანთა და მუშაითთა და სახიობათა მტურეტელნი რაზმთა სიმრავლე“, ან რუსუდანის საგანგებოდ მოწყობილს ქორწილზე: „იყო სისარული და ზმა მგოსანთა და მოშათათა“.

III გამეფების დროს: „ვეფხისტყაოსანი“ — თინათინის გამეფება:

„უკუდგეს და თაყვანი სცეს მფეჟან და მისთა სპათა, დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა, ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა, ქალი ტრის და ცრემლსა აფრქვევს, ჰმრის ყორნთა ბოლო-ფრთათა“

თამარის გამეფება: „აღმყვანელთა საყდართა და საკვდომთა (მამა) პაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელგარება და მზეებრ მამუჭებელი სხუთა, და მოიღეს გურგუნი, და აღიღეს კმა მგალობელთა და ძღვე ვით გურგუნისნობისა და მძღვე — მფლობელობისა... ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზამიმი კალაქსა შინა, სისარული და მუჭება და იმედი უიმედო-ქმნილთა. თაყვანისცეს, დალოცეს და აღიდევს სპათა შუდისვე საფეხოსათა“.

IV განდიდება და ქება: „ვეფხისტყაოსანი“: „თამარს ვაქებდეთ მფეჟსა სისხლისა ცრემლ-დათხუელი, ვითქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამოჩრეულთა“.

(სტრფ. 4). „მიზრძანეს მათად საქებრად თქმა ლეჭებისა ტკბილისა ქება წარბათა და წამწამთა, თმათა და ბაგე-ტბილისა“ (სტრფ. 5).

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიჭია... მისი სახელი შეფარვით ქვემოთი მიოქვამს, მიჭია“.

(სტრფ. 19). შუადარეთ ბასილი ეუსომოდვარის მიერ თამარის ქება მის მიერ დაწერილ თამარის ცხოვრებაზე.

V მუსიკა თავის შექცევით: „ვეფხისტყაოსანი“ — ავთანდილის შესახებ: „იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“

ან კიდევ: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მცენენ მოვიდანი მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანთა გამოხსნიდან“

„იქს რამიანი“ — რამინის შესახებ:
„რამინ ჩანგი აღის და ცემა დაუწყის, სიამოვნითა
ფრწველითაც სულნი დაიღიან“.

VI მუსიკა ლაშქრობის დროს:

„ეფუხის ტყაოსანი“:
„ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი,
რანახეს კარნი განახუნეს, ჭალაქით გახდა ზრიალი,
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი
და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა
ტარციალი“ (სტრფ. 1414).

ან ტარიელის ხატაელებთან ომის დროს:
„დილას შევევ და ვუბრძანე: „ჰკარით ბუკსა და
ნობსა“

ან კიდევ:
„გამორწინეს სცემდეს ტაბალკასა, ბუკმან ხმა გაიზიარა“
(სტრფ. 450).

„ქართლის ცხოვრებაში“ ასეა აღწერილი შამქორის
ბრძოლა: „ჰკრეს სპერმურთა და ბუკთა საომართა და დასცეს
ზარა“.

**VII ლაშქრობაში გამარჯვების შემდეგ,
ან ზაგის დროს:**

„ეფუხის ტყაოსანი“:
ტარიელის მოსვლა ინდოეთს:
„ერთი კაცი მახარობლად მათ ლაშქართა მოუვიდა:
„არ დაბოცო, შეგიწყლან“, — ყველაკაბ დალოცვიდა;
ბუკსა ჰკრეს და იხარებდეს, ყველა ამას მოზრახვიდა:
და მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სრვიდა“
(სტრფ. 1618).

ქართლის ცხოვრება: თავრიზის ლაშქრობიდან
დაბრუნებისას იყო:

„ჰმა ბუკთა და დუმბლთა“.
VIII ზემოთის დროს:
„ეფუხის ტყაოსანი“:
„ათ დღემდე ისმის ყოველგან ხმა წინწილისა ებნისა,
მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა“
(სტრფ. 1192).

„ქართლის ცხოვრება“:
„ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და
წინწილთა“.

IX მუსიკა ნადირობის დროს:

„ეფუხის ტყაოსანი“:
„მეფე მინდროს ეკაზმობდა, მოემზადა დაბადანობი“
(სტრფ. 720).

„მეფე შეჯდა, მამინდელი ზარი აწმცა ვით ითქმობდა!
ქოს-დაბადობა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა;
და მას დღე მაივან დანადვარი სისხლი ველთა მოესხმობდა“
(სტრფ. 721).

ანალოგიური ნადირობის სურათია მოცემული „ქართლის
ცხოვრებაში“ ლაშას დაბადებაზე.

**X მუსიკა გლოვის, ან მწუხარების
დროს:**

„მეფე გაშმაგდა მათისა უღონო-ქმნილი ძებნისა
ვად შევიცვლა ინდოეთს ხმა წინწილისა, ებნისა“
(სტრფ. 1587).

ან კიდევ:
„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა
ქმნა გაუტყვლად ფარსადანს ნიშატისა და ნიშოსა,
მათ გაუხარნეს, ვის ზარი დალევდის მისგან შოშისა“
(სტრფ. 334)

**XI მუსიკა გლოვის და მთავრების შემე-
დგე:**
„უბრძანა: „გლოვა გახსენით, ქოს-წინწილასა
ჰკარითო,
დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენის კართო“
(სტრფ. 1633)

XII მუსიკა ნუგეშის დროს: როდესაც ავ-
თანდელი ტარიელს ანუგეშებს:
„ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იაღონი, მგოსანი“
(სტრფ. 1655)

„ეფუხის ტყაოსანში“ ყველა საკრავი შერჩეულნი და
დაჯგუფებულნი არიან ტემბრისა მიხედვით, საკრავები წარ-
მოდგენილნი არიან ანსამბლად.
მასობრივი ზეიმის დროს, ღია ცის ქვეშ ვხვდებით საკრავ-
თა ანსამბლს:
ბუკი-წინწილა (თინათინის გამეფებისას), ქორწილის
დროს, ღია ბუკი-ტაბალკა-ნობა.
წინწილა-ეზანი (119, 2, 1587 სტრფ.); ქოს-წინწილა
(სტრფ. 1633);
ნიშატი და ნიში (სტრფ. 334).
ოთახში ზეიმისას: ჩანგი-ბარბითი-ნა (სტრფ. 179.);
წინწილი (სტრფ. 1552),
პირადი სიამოვნების დროს იხსენიება მხოლოდ ჩანგი,
რომელიც აკომპანეშტის ფუნქციით იყო წარმოდგენილი:
„იმღერდა და იხარებდა წინა ედგა ერთი ჩანგი“.

ბრძოლის დროს გამოიყენებოდა მკვეთრი და ხმაშიაღლი
ტემბრის საკრავები: „იკრეს ნობსა და დაბადბსა, შეიქმნა
ბუკთა ტარციალი“ (სტრფ. 1414). ბუკი და ნობა (სტრფ.
1414). ნადირობის დაბადბ-ნობი (სტრფ. 720), ქოს-დაბ-
დაბი (სტრფ. 721).

ჩვენ განვიხილეთ შოთა რუსთაველის უკუდავი თქმულება,
როგორც ქართული პოეზიის საუნჯე, სადაც ლექსის ხე-
ლოვნება, არისტოტელის თქმით, შერწყმულია პარმიანიას-
თან ე. ი. მუსიკასთან და რიტმთან, შევხვებთ, როგორც „ქე-
ბანს“, საგმირო, მაღალ იდეური და ჰუმანიური ნაწარმოები-
სა, რომელიც მხოლოდ მაღალი ზნეობის მგოსნებს მოსდგამთ
ბუნებით. განვიხილეთ თვით მუსიკის, სასოტო პოეზიის —
არსის აშახველი საკითხები, გავანალიზებთ დიდი პოეტის
მეორე მუსიკისა და ყოფის ურთიერთობის საკითხები, ჩვენს
თვალწინ წარმოსდგა ქართული საერო მუსიკალური კულტურ-
ის მიდგარი სანა, რომელიც ერთ-ერთი ცივილიზებული
მძლავრი კერა იყო იმდროინდელ სამყაროში.

„ვეფხისტყაოსნის“ აკაკი შალვაძის იმედი

გივი ბარამიძე



для кукол. Только в одном случае такие пьесы стоить брать: если кукольная интерпретация совершенно их меняет, если режиссер сумеет доказать, что только куклами, а вовсе не людьми, можно по настоящему „вскрыть“, например: „Горе от ума“. Я лично в необходимости таких „вскрытий“ очень сомневаюсь, если, конечно это не пародия, но пародия для ребят совсем ни к чему“.

თუ ჩვენ ვიუტად დავიცავთ იმ აზრს, რომ თოჯინების თეატრის დრამატურგიასა და „ცოცხალი თეატრის“ დრამატურგიას შორის არავითარი ზღვარი არ არსებობს, რომ თოჯინების თეატრში შეიძლება დაიდგას ერთი საერთო დრამატურგიული კანონებით დაწერილი ყველა პიესა, მაშინ რაღა საჭიროა თოჯინების თეატრი? განა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ცუნად განახორციელა თავის სცენაზე „იომლი“? განა იქ არ შეძლია უფროსი ამ წარმოდგენას უმცროსი ასაკის მაყურებელმა? აი, სწორედ აქ არის პასუხი იმაზე, რომ თუ არსებობს თოჯინების თეატრი, როგორც განისაზღვრის, მაშასადამე, უნდა იქმნებოდეს მისთვის სპეციალური რეპერტუარი.

„Нам хочется доказать, что кукольный театр — искусство важное, нужное, что он абсолютно современен и не может быть заменен никаким другим видом театра. Но его необходимо строить так, чтобы то содержание, которое он несет в своих спектаклях, было абсолютно оправдано формой, чтобы у зрителя ни разу не было вопроса: „почему играет кукла“ — ამბობს ს. გ. ობრადაცოვი.

თოჯინების დრამატურგიამ არსებულ ნაკლოვანებებს ხელს უწყობს აგრეთვე ის, რომ არ არსებობს პრინციპული თეატრალური კრიტიკა. კრიტიკოსებად ხშირად გვევლინებიან ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც კი არ აქვთ თოჯინურ სამყაროზე. პიესების შეფასების დროს ისინი გამომდინარეობენ არა თეატრისა და პატარა მაყურებლის ინტერესებიდან, არამედ პირადულიდან და ამიტომაც სუბიექტურ შეფასებებს აძლევენ მას.

მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა დრამატურგიაში, ხელოვნების ეს განსაკუთრებული დამკვიდრდა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ჩვენი თეატრების აფორემული კლასიკოსთა და მრავალ სხვა ავტორთა გვერდით ხშირად ამოიკითხავთ ქართველი მწერლების, ახალგაზრდა ავტორთა სახელებს.

თუ საერთოდ თეატრალური ხელოვნება რთულია, თოჯინების თეატრი ორჯერ უფრო რთულია. სწორედ ეს არის მიზეზი რეპერტუარის ნელი ზრდისა, რომელიც არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ამჟამად არაჩვეულებრივად დიდი შემოქმედებითი ამოცანების წინაშე დგას ჩვენი თეატრალური ხელოვნება. ამ ამოცანებს თეატრის ერთეული მუშაკები ვერ გადაწყვეტენ, ამის გადაჭრა მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შეიძლება და ამასში მთავარი როლი აქვთ მწერლებს, იმათ ვისაც სულითა და გულით უყვარს თავისი პროფესია, ვინც სრულყოფილად იცნობს ამ ხელოვნების ყოველ კუნჭულს.

Милин А.М. Сочинения

„Расстались мы“
Романс

ალონი მიხანდარი
უხმოი რომანსი

ზინიდა კოლინაშვილი

CANTO

Meno



ლოიზ მიხანდარს ჩვენი საზოგადოებრიბა იცნობს როგორც პირველ ქართულ პოეტს, გამოჩენილ ჰედავთესს და მის არც კომპოზიცია ვიდრე უცხო. მის შემქმნელი ჰქონია „მარტვილი-ფანტაზია“, აღმოსავლური მელოდია, თანხმითი გუნდი. საწუხაროდ, არც ერთი მთავანი არ შემორჩენილა. ა. მიხანდარის შემოქმედების შესწავლით დახმარებას გაავრცევს ჩვენს მიერ ლინინგრადის სალტოკო-მხედრობის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიხედული ა. მიხანდარის ღრმად უყნობი რომანსი „Расстались мы“.

Расстались мы

Расстались мы на миг очарованием
На краткий миг была мне жизнь моя
Словам любви внимать не буду я
Не буду я дышать любви дыханьем
Не буду я, не буду я

Линия начал см исчезло сновиденье
Я все имен лишился вдруг всего
Осталось мне от счастья моего
Одно теперь унылое смущенье
Осталось мне, осталось мне.

ნოტებს ავლია თავდურცელი, ამიტომ არ ვცდი რომანსი დამოუკიდებლად დაბეჭდილი, თუ რომელიმე კრებულის ნაწილია. სამაგიეროდ რომანსის ბოლოში გარკვევითაა მითითებული მისი გამოქვეყნების თარიღი: „Одобрено цензурою С.П.Б. 23 января 1863 г.“. უთუოდ რომანსის პოეტობაზე მიზეზითაა პეტერბურგში მისი ხელახალი გამოცემის ფაქტი 1875 წ. (ცნობილი გამოცემების ურეგულარის მიერ).

როგორც ცნობილია, პირველი ქართული რომანსები ვახუშტი მთავრის 90-იან წლებში შეიქმნა, ჩვენს მიერ მიხედული ნიმუში სამუდამოდ გავალეს ვიდრე იმით, რომ ა. მიხანდარის რომანსი ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნაწარმოებებია, ამასთან, წინ გადაიწია ქართული საზოგადოებრიბის თანამედროვე ცენტრს. 1871 წელს დ. გრისთაის მიერ პეტერბურგში გამოცემული „ქართული სიმღერების პოეზია“ პირველ დაბეჭდილ ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებად ითვლებოდა.

ჩვენი აზრით, ა. მიხანდარის რომანსი ქართული გადართვი სიმღერის საფუძველზეა შექმნილი. ტექსტის ავტორის ვინაობა არ არის მითითებული:

მიხანდარი გაცნობილი იყო ქართული ხალხური მუსიკის შესწავლით, რისთვისაც სერიოზული ნაბიჯი გადავიტანა: „იმ დღეს უფალმა, ლოიზ მიხანდარმა, — წერს „დროება“ 1870 წელს, — გაავადოდა ჩვენ ზოგიერთი ჩვენებური სიმღერის „ტანგები“, რომელიც იმას პირადად დასაყრად ვაღვივებებოდა. ჩვენ დიდი სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ მის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამიტომ მის ხელში პირამდ შევეჩვიე რად მამბაბა ჩვენებურ მუსიკას და მისი ხასიათი მსმენელების უცბოდ გადმოგვაცა. უმეტეს ნაწილში, უფ. მიხანდარის მუსიკა მუდრო დატოვბობას უჭრავს მსმენელს ველში, მაგრამ ხანდახან მამში ერთი წუთის ატრეცებაც, „ეკცელსი მოვლამ“ და ხელახალი დატრეცვა გამოისმის. ჩვენი აზრით დიდ ღირსებად უნდა ჩაევალოს უფ. მიხანდარს, რომ ასე სწორედ გადაუვლია პირანსათვის ეს თვისებები, რომელიც ჩვენებური მუსიკის, ჩვენი ხალხის და საზოგადოების ხასიათითაა ვაღვივებულია.

უფ. მიხანდარი და საქმეს თავს რომ არ დაანებებეს, და ამროულამდე მოვიყვანოს, სწორედ დიდად დაავადებულს ჩვენ საზოგადოებას, განსაკუთრებით თუ ქალაქური სიმღერების ვარდა, ეს სახალხე ხმებასაც უჭრავს. მართალია ის ადვილად საქმე არ არის, მაგრამ სასახლოდაც იმით რომ იქნება, რომ ძნელია“. („დროება“ 1870 წ. VI 12 № 23).

ვფიქრობ, ა. მიხანდარის რომანსი უყრადღებამ იმსახურებს.



ნიჭიერი

ბალერინა

თეიმურაზ ქურდოვანიძე



სახიობისათვის დაუვიწყარია შემოქმედებითი ნათლობის დღე. იგი ცხოვრება იჭრება მის არსებაში და სიცოცხლის ბოლომდე ამაღლებულ მოგონებად რჩება. ასეთი დღე ირინე ჯანდიერისათვის ამ შვიდი წლის წინათ დადგა, როცა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო გაიმართა.

ამ საღამოს 18 წლის ი. ჯანდიერი შოპენის მუსიკაზე ცეკვავდა. მაღალი ნახტომები ჰაერში ფრენას გავდა, მიწაზე დამეშვებოდა და სხეულის ძალა იგრძნობოდა. იმავე საღამოს

პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავის“ მეოთხე აქტიც წარმოადგინეს. აგრორას პარტიას გამართულად, მოხდენილად ცეკვავდა, თუმცა აკლდა დახვეწილობა და ოსტატობა.

ამ სპექტაკლზე ჯანდიერმა ნათლად გამოავლინა პერსპექტიული მოცეკვავის მონაცემები. იგი მაშინვე საოპერო თეატრში სოლისტად ჩარიცხეს.

ვახტანგ ჭაბუკიანიმა პატარა, უმნიშვნელო პარტიებით დააწვევინა შემოქმედებითი გზა. თავდაპირველად ი. ჯანდიერი კორდობალეტში ცეკვავდა, შემდეგ კი პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავში“ სეფე ქალს, ფერისა და პრინცესა ფლორინას პარტიებს ასრულებდა.

მალე ი. ჯანდიერს დ. თორაძის ბალეტ „გორდაში“ ერთ-ერთი მთავარი გმირის, მეფის ასულის ირემას პარტია შესთავაზეს. აქ მსახიობს დიდად დაეხმარა უშუალობა და სტენური მომზიბელებლობა, მან დამაჯერებლად და ემოციურად ჩაატარა ირემას სცენები, თუმცა ბოლო აქტის დრამატული სცენის შესრულებისას აკლდა აქტიურილი გამოცდილება, რაც შემდგომ დაოსტატებას უნდა მოეტანა.

რამდენიმე თვის შემდეგ ირინე ჯანდიერი თავისი მასწავლებლის ვახტანგ ჭაბუკიანის წინაშე აგრორას პარტიით წარსდგა ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავში“. ბალეტმანისტერს უთქვამს: „ტექნიკურად ძლიერია, ხშირად სრულყოფილიც, მაგრამ ჯერ ვერ ასერხებს ცეკვის სულის შერწყმას პარტიის ჩანაფიქრთან“. შემდეგ ირინეს მიუბრუნდა და ანა პავლოვას ცნობილი სიტყვები გაუმეორა: „დაეუფლე ტექნიკას, შემდეგ აღარ იფიქრო მასზე და ბუნებრივად გეჭიროს თავი“.

ვ. ჭაბუკიანის დახმარებით ირინე დაქინებით ცდილობდა ხარვეზის აღმოფხვრას. მან ბალეტმანისტერისაგან შეითვისა ცეკვის კლასიკური ტრადიციები, ისწავლა მუსიკის აღქმა-გააზ-



ირინე ჯანდიერი — სილფიდი („ნოველები“)

რება. მალე მოცეკვავე დამოუკიდებელი ნამუშევრით წარსდება მაცურებლის წინაშე. ჯანდიერის აგრორა ნამდვილი მეფის ასული იყო. ვათამამებული და ქედმაღალი, რჩეულთა შორის გამორჩეული, რომელსაც თავყანისმცემელთა ტრფილი თვემუსაქცევე თამაშად გაუხდია. ირინე მალატკენიკურად ასრულებდა პარტიას. ხოლო ბალეტის ფინალურ „pas de deux“-სა და ვარიაციებში მოძალებულად იმსოდა სიცოცხლისა და ხილამაზისადმი მიძღვნილი სიმღერა.

აგრორას პარტიით ბალერინას შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ეს იყო კლასიკური ცეკვის სირთულეთა დამლევისა და პროფესიული წრთობის დასაწყისი.

ირინე ჯანდიერს თავიდანვე გამოაჩნდა ერთი შესანიშნავი თვისება, რომელსაც „პროფესიული სისარბე“ შეიძლება ვუწოდოთ. იგი დიდი გატაცებით სწავლობს სხვადასხვა პარტიებს ერთსა და იგივე ბალეტებში. ეს პროფესიული ღონის ამალღებთან ერთად მოცეკვავებს ზრდის და ხვეწავს.

ლ. მინკუსის „დონ-კისოტიში“ ირინე ერთდროულად ცეკვავს დრიადების მბრძანებელს, მესამე აქტის კლასიკურ ვარიაციასა და ამასთან ჩელტის პარტიასვე მუშაობს.

„დონ-კისოტის“ მთავარი პარტიების შემსრულებელთა შემდეგ პირველ რიგში ირინე ჯანდიერი დგას. მის მიერ დრიადების მბრძანებლის შესრულება ხასიათდება მფრინავი ნახტომებითა და ცეკვის ილეთების დახვეწილობით, კლასიკურ ვარიაციაში მოძრაობათა აკადემიურობით. მისი გამოსახველი ცეკვა ხიბლავს მაცურებელს.

განსაკუთრებული წარმატება ირინე ჯანდიერს ხვდა ა. ადანის „ჟიზელში“. მისი მირტა დაუნდობელი და მაცურია. გავისენოთ პირველი გამოჩენა სცენაზე. იგი მარმარილოს ქანდაკებასავით ცივი და მიუკარებელი იწყებს ცეკვას და გრძობთ მის სიძულვილს ადამიანებისადმი. ვილისების მბრძანებელი სასტიკია ყველას მიმართ, ვინც კი მისი ძალაუფლების შერყევას შეეცდება. მხოლოდ ალბერმა შესძრა, ააღელვა გულქვა მირტა. იგი თანდათანობით თანაუგრძობს

ჟიზელს, თუმცა ემინია ადამიანურმა სისუტემ არ დასძლიოს, გაურბის ჟიზელს და ჩვეული მბრძანებლობით მოითხოვს თავისი სამეფოს არაადამიანური კანონების შესრულებას. მოცეკვავემ მარიუს პეტეპას ბრწყინვალე ქორეოგრაფიული კონტრასტების საშუალებებით ჩამოქნა ეს საინტერესო სახე. აქ ერთმანეთს ენაცვლება მაღალი ნახტომები, ელვისებური ტრიალი წრეზე, სტატიკური სკულპტურული პოზები, ხატოვანი არაბესკები, როცა მირტა ჯერ ქვადებოდა, შემდეგ კი იწყებდა მოძრაობას, ირინე ჯანდიერმა დიდი გამომსახველობით გადმოგვცა მირტას რთული ემოციურ-ფსიქოლოგიური სამყარო. მოპოვებულმა წარმატებამ იგი თეატრის საუკეთესო მოცეკვავეთა რიგებში დააყენა.

თეატრის ცხოვრებაში ახალი ძიებანი იწყება და ირინე ჯანდიერიც ამ ძიებათა ცენტრში დგას, ზედმიზეძ ცეკვავს მთავარ პარტიებს ახალ საბალეტო სპექტაკლებში.

ვახტანგ ჭაბუკიანის „პოემა — ბალეტში“ ფ. ლისტის სიმფონიური პოემა „პრელუდებიც“ იყო წარმოდგენილი. ირინე ჯანდიერის მიერ შექმნილი მხატვრული სახე სიცოცხლის გამოღვიძების სიმბოლოა, მისი ცეკვა გამოირჩევა სილადით, ნათელი ფერების სისუვეთ.

სურაფიტა. საუკუნეებში ლეგენდად ქვეული ასული დიდინანია პოეტურ მუზად იქცა. არც ყალმის ოსტატები დატოვა გულგრილად პიტიახმის ზვიადმა ქალწულმა. შემოქმედთა ფანტაზია მრავალგვარად წარმოსახავდა მას. უკანასკნელ ხანს კომპოზიტორმა ბ. კვერნაძემ სურაფიტას მუსიკალური სახე შექმნა „ქორეოგრაფიულ ნოველებში“. სამუხა-

ირინე ჯანდიერი — ალბეტა („გელის ტბა“)



როდ, ბალეტში სერაფიტას პარტია აგებულია ნაკლებად გამომსახველ მოძრაობებზე, რასაც ი. ჯანდიერის დახვეწილმა ცეკვამ ვერაფერი შემატა.

ასევე ნაკლებ საინტერესო იყო მსახიობისათვის მეორე ნამუშევარი — ქალიშვილი ა. ბალანჩივას ბალეტში „წიწილი“.

გრ. კილაძის ბალეტ „სინათლის“ განახლებულ დადგმაში ჯანდიერი ფერის ცვლავს. ზღაპრული ფერია ბალეტში სიკეთის სიმბოლოდაა გამოყვანილი. მისი პარტია აგებულია რთულ ქორეოგრაფიულ მასალაზე ადაქთო, ვარიაცია, კოდა, რომლის დაძლევა ირინე ჯანდიერისათვის უკვე სიმძნელს აღარ წარმოადგენდა. ჯანდიერის ფერია აღსავსეა პაეროვნებით, სიწმინდით და გამჭვირვალე გამათა მრავალფეროვნებით.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ახალგაზრდა მოცეკვავეს დიდი წარმატება ხვდა პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“. ეს იყო ექვსი წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამება, მოცეკვავის ზრდისა და დასტატების გამოხატულება.

მსახიობმა დრამატულად აღიქვა „გედის ტბის“ რომანტიკული ზღაპარი. ოდეტა—ჯანდიერის სვედიანი სახე, მომხიბვლელი სცენური გარეგნობა (ძლიერი ტანი, გრძელი და ლამაზი კისერი, დახრილი მხრები, გამომსახველი ხელები). ოდნავ შენელებული, ტალღისებური მოძრაობები და სკულპტურული არაბესებები მეორე აქტის ცნობილ „pas de deux“-ში წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მესამე აქტში, უფლისწულის სასახლეში გამართულ ზეიმზე ქარიშხალივით შემოიჭრება ამაყი და გულზედაი შავი გედი — ირინე ჯანდიერი. მისი გამორჩენა აფერმკრთალებს ყველაფერს. იგი ატყვევებს უფლისწულს, მაყურებელს კი ხიბლავს გამართული და ცვეცხოვანი ცეკვით.

პარტიის მაღალტექნიკურად შესრულება, გმირის სულიერ სამყაროში მომხდარი ძვრების გადმოცემა და მაყურებელამდე მისი მიტანა, ი. ჯანდიერის მდიდარი არტისტული ბუნების მაჩვენებელია.

დიდ ინტერესს იწვევს ირინე ჯანდიერის უკანასკნელი ნამუშევარი — ფრანჩესკას პარტია პ. ჩაიკოვსკის სიმფონიურ ფრანჩეზაში „ფრანჩესკა და რიმინი“ (დადგმა რსფსრ დამსახ. არტისტ ა. ჭიჭინაძისა).

ფრანჩესკას პარტია ბალეტში რთულ ქორეოგრაფიულ მასალაზეა აგებული. საერთოდ მთელ ბალეტში აქცენტები გადატანილია ფსიქოლოგიურ განცდებზე. ბალეტმისტიკური თავისი ჩანაფიქრის ხორცშესახსნელად მოცეკვავისაგან მოითხოვდა არა მარტო დახვეწილ საცეკვაო ტექნიკას, არამედ ძლიერ განცდასა და მაყურებელამდე მის მიტანას. უნდა ითქვას, რომ ირინე ჯანდიერი ღრმად ჩაწვდა ბალეტმისტიკის შთანაფიქრს და ფრანჩესკას შთამბეჭდავი სახე შექმნა. ირინე ჯანდიერის ფრანჩესკა მაყურებელს აგრძნობინებს დიდი სიყვარულის ძალასაც, და მოძალადეობით გამოწვეულ სასოწარკვეთილებასა და სიძულვილსაც.


ირინე ჯანდიერის ცეკვა გამომსახველობითად მრავალმხრივია. იგი ხან მარმარილოს ქანდაკებასავით ცივია (მირტა, დრიადების მბრძანებელი, სერაფიტა), ხან მთიდან გად-

მოვარდნილი ჩანჩქერივით მჩქეფარე. („ღონ-კიხოსისა“ და „გედის ტბის“ მესამე აქტი, ვაკანსა — „ვალტურის დამეშა“), ხან კიდევ სიცოცხლის სიყვარულით ანთებული (ლისტის „სიცოცხლისაკენ“, სილფიდა — „შოპენიანაში“, ფრანჩესკა — „ფრანჩესკა და რიმინი“).

ირინე ჯანდიერი დიდი მომავლის მოცეკვავეა, რომელსაც თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულყოფილად გამოხატვისათვის კიდევ აქვს აღმართი ასავლელი. ცნობილი მოცეკვავე ალ შელესტი ამბობს: „ემოციის გამოვლინება მოძრაობაში — ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება. ხელოვნება იქ იწყება, სადაც ვლინდება ადამიანის ინტელექტი, სადაც შეგნებულად აყენებენ იდეურ, სახეობრივსა და ფსიქოლოგიურ ამოცანებს“.

ირინე ჯანდიერი — სილფიდა





დიმიტრი ყიფშიძე

ვეფხისა და ლომის შეხვედრა

„ვეფხისტყაოსნის“ უპირობო კოლექცია

თეიმურაზ ბერიძე



სოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მწვანად მოძებნება მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ისეთი ეროვნული სუბიექტური აღმსახურების, როგორც შოთა რუსთაველის უკვადავ ქმნილება.

მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური წესით გამოცემიდან თითქმის 180 წელი გავიდა. საამბერატორო აკადემიის აკადემიკოსის თეიმურაზ ბატონიშვილის თაოსნობით, პეტერბურგში 1887 წელს, საშუაოდ ჩამოიდის ცნობილი დარბაჯი კავკასიოლოგი და ქართველოლოგი აკადემიკოსი შარი ბროსი. 1840 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სტომაზე იგი თხოვლობს უფლებას საუკუნო თანხით გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“. ამ დღი საქმის განხორციელებაში შარი ბროსის მხარში ამოუდგინენ რუსეთში მოღვაწე ქართველები ზაქარია ფალავანიშვილი და ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგადი და-

ვით ჩუბინაშვილი, რომლებმაც ასევე გაილეს თანხა.

1841 წელს შარი ბროსის წინასიტყვაობით გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც თავთურესვე ეწერა: „... შედრებულთა დავალითა უფალთა ბრისცე, ზაქარია ფალავანიშვილისა და დავით ჩუბინაშვილისა, სანქციონირებულს, სტამბაში სახელმწიფო აკადემიისა და მეცნიერებათა, 1841.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან „ვეფხისტყაოსანი“ იბეჭდება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბეჭდი. „ვეფხისტყაოსანი“ გასული საუკუნის დასასრულს ითარგმნა გერმანულად, ხოლო ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ინგლისურად. დღეს „ვეფხისტყაოსანი“ ეს გამოცემიანი ბიბლიოგრაფიულ იმ. ვითაობას წარმოადგენენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ძველ გამოცემებს აგრეგებენდენ ძმები სოსო და ვახტანგ ასლა-

ნიშვილები. მათ მიერ შეკრებილია „ვეფხისტყაოსანი“ დარი კოლექცია.

ასლანიშვილების ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში ყველაზე ადრეულია სწორედ შარი ბროსისეული „ვეფხისტყაოსანი“.

ურარდასაღებია, რომ ქართულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 18-ეჯერ, აქედან 48 გამოცემის ეგზემპლარი ასლანიშვილების წინსაყავში ინახება.

80-90-იან წლებში კუთაისში (1888 წ.), ბათუმში (1888 წ.), ოზურგეთში (1891 წ.) ახალ-სენაკში, ქართველიშვილის, წულუკიძისა და ძმების თავართქილაძეების სტამბებში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

1884 წელს თბილისში ჩამოიდის ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტკი, „შორეული თვისიანი“, როგორც მას დიდი ილია ეძახდა, ილიას, ივანე მაჩაბლისა და მეუნარეიას დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე შუამოახას, რამდენიმე წლის შემდეგ ლაისტკი გერმანულ ენაზე ლაიციკში თეთრ ლექსად აქვეყნებს „ვეფხისტყაოსანს“.

1891 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნა დიწყო მარკორი უორდრომი. მან, რომელსაც თავის მძახთან ოლივერთან ერთად ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის დიდი თუკანისმცემელი იყო.

18 წლის შარბის შემდეგ მარკორი უორდრომი დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა პროსა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო თავისი თარგმანის გამოკვეყნებას. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა მისმა ძმამ ოლივერმა ითავა. გამოცემა ლონდონში 1912 წელს.

ამავე წელს გემ „აოენაზე“ კანარის კუნძულებსაქენ მჯავრომისას ოლივერ უორდრომი შეხება რუს კოტეს ბაზშიმდგს. სწორედ აქ კაცის ბალმონტმა მარკორი უორდრომისეული ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და მისი რუსულად თარგმნის სურვილი აღძგრა.

ასლანიშვილების წინსაყავში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი, რომელიც გამოცემაში შარი ბროსი 1938 წელს ვინმე ხელაძის სტამბაში, აღსანიშნავია, რომ ასლანიშვილებთან დაცულია იმავე ხელაძის მიერ 1948 წელს ბერლინში ქართულ ენაზე გამოცემული მინიატურული ზომის (10x6 სანტ.) „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილი და გამოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე.

სოსო და ვახტანგ ასლანიშვილებს ყველა ეს გამოცემა შეეძინილი და შენახული აქვთ თავიანთ უნიკალურ ბიბლიოთეკაში. ჰქვამ დაცული ნიხტორ, უნჯარა, რუმინული, ინგლისური, ჩინური, გერმანული ენებზე სხვადასხვა დრის გამოცემებში ეს კოცია.

წიგნების გარდა ასლანიშვილებს „ვეფხისტყაოსნის“ სამი ხელნაწერი შეუძინია. ერთ-ერთი მათგანი საუკუნის სწავანებისაა. ხელნაწერი მინუნელიოვანია უფრო იმით, რომ იგი გადამწერი გადმოწერია რუსიელოლოგი მცენერისა და მ. სულდვარაოვის უნივერსიტეტისაგან. ეს ხელნაწერი თბილისის სემინარიის მოსწავლეს აღმოსავლეთის ენების, ნაშუაგური შესრულებულია მცენერის ქართული ხელნაწერით, 1860-სა წელსა გიორგიბოშა 16-სა დღესა.

ძმები ასლანიშვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფას კოლექციაში დაცულია სხვადასხვა დრის და სხვადასხვა ენაზე გამოცემული 80 ტომი. დღეს სუვაკოლმა, უნჯარა და პატრიარქალმა გრმანომ შეზღავრა ქართული არს მრავალ განსაცდელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

რა უნდა იცოდეს კინომოყვარულმა

ხეკ

ეკრანიდან

დავით ლომიძე



ნობილია, რომ პირველი კინოსეანსები ატრაციო-ნის სახაითისა იყო. მაგრამ მალე კინემატოგრაფი ხელოვნების ერთ-ერთ დარგად აღიარეს.

კინემატოგრაფი მუჩაი იყო. ფილმის მსვლელობის დროს კინოდარბაზებში ორკესტრი უკრავდა. ხშირად მუსიკას სპეციალურადაც კი წერდნენ ამა თუ იმ ფილმისათვის. უმეტეს შემთხვევაში კი ეკრანთან იჯდა ერთი პიანისტი და იმის მიხედვით, თუ როგორი სცენა თამაშდებოდა, ეკრანზე შესაფერ მუსიკალურ აკომპანემენტს აყოლებდა. თბილისში კავკასიური ფილმების ჩვენებისას ზოგჯერ ზურანსაც მიიწვევდნენ

ხოლმე. ზოგიერთი კინოთეატრის პატრონი მეტი ეფექტურობისათვის ეკრანის უკან ათასნაირ მოწყობილობას დგამდა, ვითომდა ბუნებრივი ხმაურის შესაქმნელად.

უხმოზა ფილმის ავტორებს აიძულებდა მიემართათ ტიტრებისათვის, რომლებიც დიალოგის მაგივრობას სწევდნენ. ეს კი ხელს უშლიდა მხატვრული ნაწარმოების მთლიან აღქმას. აი რას წერს დოვჟენკო თავისი უკანასკნელი მუნჯი ფილმის — „მიწას“ გამო: „როგორი საწყენია, რომ კინოში არ შეიძლება ლაპარაკი! მუნჯები ვართ, როგორც ძუძუმწოვარა ბავშვები. სადაც ვიწვდით ხელებს, ვიღებთ საპტირო და არასაჭირო ნივთებს, ვეცემით, ვტირით, მივრბივართ—ეს ხომ უსუსურობაა. დრო კი დადგა—ჩვენ ბევრი გვაქვს სათქმელი. ხალხი შეგვიტოხება, რისთვის ან ვინ მოკლა კომპაზირელი ვასილი? რა გაეწყობა... უნდა გავაკეთოთ წარწერა“.

უხმოზამ ბევრი გამომსახველობითი ხერხი წარმოშვა. გამოსახულებით ცდილობდნენ ფილმის „გახმოვანებას“. ხმა რომ ყოფილიყო, განა საჭირო გახდებოდა სანგარში მჯდომი ჯარისკაცის სახეზე მეორე ექსპოზიციით ქვემეხის გასროლის ჩვენება? საკმარისი იქნებოდა მარტო გასროლის ხმა და ისედაც მივხვდებოდით, რომ ჯარისკაცმა ქვემეხის გასროლის ხმა გაიგონა.

რეჟისორები იძულებული იყვნენ მიემართათ ასეთი ხერხებისათვის და შეუძლებელია აღფრთოვანება არ გამოთქვათ მათ მიერ მუნჯ ფილმებში გასაოცარი ხმოვანი ეფექტების შექმნის გამო.

ეიზენშტეინი წერდა: — „ჯერ კიდევ მუნჯ ფილმებში ხშირად ვეძებდი პლასტიკური ხერხების საშუალებით გადმომეცა სუფთა ხმოვანი ეფექტები.“

მაგონდება 27 წელი, როდესაც ვიღებდი ზამთრის სასახლის აღებას („ოქტომბერი“). ვცდილობდი პლასტიკური საშუალებით შეემქმნა „ავტორას“ ქვემეხის ხმის გუგუნის სასახლის ამფილადებში.

კარგად გამოვიდა და მაყურებელსაც კარგად დაამახსოვრდა ბროლის ჭაღების წკრიალი, ტყვიამფრქვევის რაკეტის საპასუხოდა“.

კინოფილმ „ელისოში“ ცეკვის ეპიზოდის დამონტაჟებისას, — იგონებს რეჟისორ-მონტაჟიორი ვასილ დოლენკო, — ნიკოლოზ შენგელია მაგიდაზე საცეკვაოს უკრავდა და ამ რიტმის მიხედვით დამონტაჟებდით“. ახლაც რომ უყურებთ ამ სცენას, მართალია ფილმი უხმოა, მაგრამ იგი ისე ოსტატურად არის დამონტაჟებული, რომ ჩვენ თითქოს ჩაგვესმის სათამაშოს „დაკერის“ ხმა.

ნათელი ხდება, რომ კინემატოგრაფში ხმის შემოტრა შემთხვევითი ამბავი კი არ არის, არამედ მისი განვითარების აუცილებელი შედეგი. ამით კინემატოგრაფი ახალ, უფრო მაღალ ხარისხში გადავიდა. დღეს უხმო კინო ჩვენთვის წარმოდგენილია. 1926 წელს კი მსოფლიოში არცერთი ხმოვანი კინოთეატრი არ არსებობდა.

1926-1927 წლებში მოსკოვში პროფესორმა ტაგერმა, ხოლო ლენინგრადში პროფესორმა შორინმა დაიწყეს ხმოვანი კინოტექნიკის შექმნაზე მუშაობა. ორივედ წლის შემდეგ კი— 1929 წლის 28 მარტს მათ ლენინგრადში ფართო სასოფა-

დღობას ურევებს პირველი ექსპერიმენტული ხმოვანი ფრაგმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ხმის ჩაწერის ტექნიკა დაბალ დონეზე იდგა, ხმამ, როგორც კინოხელოვნების ერთ-ერთმა ელემენტმა, საპატიო ადგილი დაიკირა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა რეჟისორმა ხმა უბრალოდ მიაკერა მუნჯ კინოს და იგი მხოლოდ დიალოგებისა და საინტელსტაციო მუსიკის გადმოსაცემად გამოიყენა. ბევრმა კი პირველი დღიდანვე შექმნა შესანიშნავი ხმოვანი ფილმები. შევიძლია გავიხსენოთ კინოწარმოებები, რომლებშიც ხმა ორგანულად არის ჩართული ფილმის მხატვრულ ქსოვილში. მაგალითად, რეჟისორ ეკის ერთ-ერთ პირველ ხმოვან ფილმში — „ცხოვრების საგზური“ არის ასეთი ეპიზოდი: მუსტაფა, რომელსაც საგზაოდ სანოვავე უნდა ეყიდა, მატარებელს ჩამორჩა. მატარებელი დაიძრა და თანდათან უმატებს სიჩქარეს. ჩვენ ვხედავთ ალგებრული აღმზრდელის სახეს, ჩაგვხმის ვაგონის თვლების ხმაური. აღმზრდელი ნერვიულობს. თვლების ხმაურის რიტმი კი თანდათან მატულობს. ჩვენ გვეხმის, რომ მატარებელი უკვე მიჰქრის და მუსტაფა ვეღარ დაეწვია მას. და, აი... ვაგონის კარებში გამოჩნდება გაღიმებული მუსტაფა.

ამ ეპიზოდის სიმახვილე იქმნება სანახაობისა და ხმის ერთდროული ეფექტით.

კიდევ ერთი მაგალითი: რეჟისორ დ. რონდელის ფილმში „დაკარგული სამოთხე“ ერთ-ერთი ეპიზოდი იწყება ბაგრატის ტაძრის საერთო ხედით. ამ დროს, მუსიკალური თანხლებებისა, ორგანოს მებად სერიოზულ თემას რიალი ასრულებს. რომელიც კი მოისმის „ნუსტაფონის“ მოტივი, რომელსაც საყვირები სურდინებით ასრულებენ. კადრი იცვლება და ამ ტაძარში ვხედავთ გაიძვრა აზნაურ მიქელასა და მღვდელს, რომლებიც ხალხს ფულს დასტყუებენ. ამ სცენის კომპილერობა კომპოზიტორ ა. ბალანაძისაა მუსიკალურ აქვს გადაწყვეტილი და ხმა მაცურებელს აზნადებს შემდეგი კადრისათვის.

კინოფილმის შექმნაში დიდი კოლექტივი მონაწილეობს, რომელსაც დამდგმელი რეჟისორი მეთაურობს. ჩვეულებრივ, პირველ რიგში ასახელებენ ოპერატორს, მხატვრებს, გრიმორს და სხვ. ხმოვანი კინოს შემოქმედისთანავე შეიქმნა კიდევ ერთი ახალი პროფესია — ხმის ოპერატორი. რეჟე კლერი თავის წიგნში წერს: „კინოფილმის დადგმის დროს უმთავრესი მომუშავენი არიან: რეჟისორი, დეკორატორი (მხატვარი), ოპერატორი და ხმის ოპერატორი“.

ამავე აზრისაა რეჟისორი სერგეი გერასიმოვი. სახლვარკართის ზოგიერთ კინოსტუდიაში კი ფილმის ხმის ოპერატორი ხელმძღვანელობს ვიწრო სპეციალობით მომუშავეებს მუსიკის ჩაწერაზე, ლაპარაკის ჩაწერაზე და სხვ. ჩვენში ერთი ხმის ოპერატორი ასრულებს ფილმის მთელ ხმოვან ნაწილს.

ხმის ოპერატორს კარგად უნდა ესმოდეს დრამატურგიისა და რეჟისურის საკითხები, მსახიობის ხელოვნება, ფილმის ხელოვნებისა და ხმის ურთიერთკავშირი, კარგად უნდა იცოდეს მანა, დაფუძნებული იყოს მუსიკალურ კულტურას, ჰქონდეს მახვილი სმენა, რიტმის შეგრძნება და რასაკვირველია, საერ-

თო მხატვრული გემოვნება, ხმის ოპერატორის ოსტატობა განუყოფელია არქიტექტურული აკუსტიკის, სხვადასხვა მიკროფონების თვისებების, ხმის გამაძლიერებლების, ინჟინრული და საერთოდ, ფილმის წარმოების ტექნოლოგიის მილიან ცოდნასთან.

ფილმის წარმოება, ანუ დადგმა 8-9 თვეს გრძელდება. მთელი ეს პერიოდი იყოფა რამდენიმე ეტაპად: მოსამზადებელი პერიოდი, ფილმის გადაღება, გამმოვება, მონტაჟი, გადაწერა. ფილმის ხმოვან ნაწილზე მუშაობა იწყება წარმოების პირველივე დღიდან. განვიხილოთ ეს ეტაპები ცალცალკე.

მოსამზადებელი პერიოდი

მომავალი ფილმის ხმაზე მუშაობა, სწორად, ჯერ კიდევ ლიტერატურული სცენარის შექმნისას იწყება ლეონიდ ლეონოვის „მისტერ მაკ-ელის გაქცევის“ ლიტერატურულ სცენარში ვკითხულობთ: „— ჯოჯოხეთური ზემოთის ქაოსში იმის შორეული საარტილერიო ბათქები, საპაერ განგავის ხმა, ნგრევის ხმაური, ყუმბარების წვილი, ბუკის ხმა, ჯარს რომ შეტევისკენ უხმობს, კენესა და ულაზათო გამოთქმები; საცერად სასიამოვნო, ადვილად დასამახსოვრებელი მელოდია, როგორც სამოთხის რადიო; სადგურის სანიშნეები ვეცხმობს საიდანაც, ერთი ხმა ნთქავს მეორეს“. იქვე: „დახვეწილი ლითონის ხმით ქანაობს ისარი“. ან კიდევ: „ფრინველის კივილი, თითქოს კაეი გაუსუეს მინაზეო“.

ავტორი მომავალი ფილმისათვის ლიტერატურულ სცენარშივე იღლება ხმოვან გაფორმების რეგანგებს მისი დრამატურგიის გასაღრმავებლად. მაგარამ, სამწუხაროდ, ეს არც ისე მხიარულ გვეხდება.

მომავალი ფილმის ხმოვანი გაფორმების სახაით ირყევა და დანდებდა საარეცხორ სცენარში. მასში უკვე აღინიშნება ყოველგვარი შინაარსიანი ხმაური და მუსიკალური გაფორმება. აი ერთ-ერთი კადრის აღწერისათვის კინოფილმ „ჯარისკაცის მამას“ საარეცხორ სცენარიდან:

„გიორგი ამობტება ორბოდან, გაირბენს ბეჭებს და დაწვება. ყურადღებით ათვალიერებს მიდამოს. უკნიდან ისმის დაჭრილის ხმამაღალი კენესა, სალდაც ახლო, ალბათ, მეორე ბეჭობიდან ატვობატის სროლის ხმა. ვახისის დაჭრილი ჯარისკაცის გულშეშარავი ყვირილი. კენესა წყდება. გიორგი შერეობა და დგება“.

ხმის ოპერატორმა მოსამზადებელ პერიოდში უნდა დაამუშაოს მთელი ფილმის ხმოვანი გაფორმება რეჟისორის მითითებით და კომპოზიტორის მუსიკალური ექსპლიკაციის მიხედვით. აგრეთვე, მსახიობის საერთო მონაცემებთან ერთად, უნდა თავისაზღვროს მისი ხმის ტემპრი, თვითონ გაამოვანება თავის როლს თუ დასჭირდება შემცველი. ისინჯება მიერთოფონები, ექსპლიციამი წასაღები ხმის ჩაწერი აპარატურა და სხვ. გამმარების კაბინეტს გადაეცემა სიგი, თუ რა სახაითის ხმაური უნდა მომზადდეს მომავალი ფილმისათვის.

ფილმის გადაღება

ყველაზე სრულყოფილია სინქრონული გადაღება, როდესაც ერთდროულად ხდება გამოსახულების გადაღება და

ხმის ჩაწერა. ამიტომაც ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი იყოს ფილმში სინქრონული ნაწილი როგორც პაკილიონში, ისე ნატურაზე შესრულებული. სინქრონული გადაღებისას ყველაფერი მუხნერძოვია — მსახიობის თამაში, ლაპარაკი, ხმაური. აქ ყოველი კადრი ცოცხლობს. აქ, პირველყოფილს, აუცილებელია შეინარჩუნოთ ყოველი შემხრულებლის ხმის ტემბრის ერთნაირი ფერადობა. ცნობილია, კინოში გადაღება მიმდინარეობს პატარა-პატარა ნაჭრებად და შეიძლება მოხდეს ისე, რომ რომელიმე სცენის დასაწყისი ან დაბოლოება გადაიღონ დღეს, დანარჩენი ნაწილი კი რამდენიმე დღის შემდეგ. ხმის ოპერატორმა ნათლად უნდა წარმოიდგინოს ფილმის მთელი კომპოზიცია და ჩაწერა ისე უნდა აწარმოოს, რომ შენარჩუნებული იქნას ყოველი პიროვნის გამოსახულებით და ხმის მთლიანობა. ჩანაწერის ხარისხი კი ყველაზე მეტად მიკროფონის დასაყენებელი ადგილის სწორად შერჩევას არის დამოკიდებული. ისეთი ადგილი უნდა მოიხსნას, რომ მიკროფონში კარგად ხვდებოდეს მსახიობთა ხმა, ამავე დროს, იგი კადრი არ უნდა ჩანდეს. ყურადღება უნდა მიექცეს მსახიობთა მოძრაობას და დეკორაციის — მეტადრე ჭერის, კიბეების, კედლების და სხვათა, აკუსტიკის გავლენას.

ბავშვთა მხარე

მართალია სინქრონული გადაღება ყველაზე რაციონალურია, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ ნატურაზე გადაღებული სცენების უმეტესი ნაწილი უნდა გახმოვანდეს.

გახმოვანებისათვის მოწყობილია სპეციალური ატელიე, რომლის აკუსტიკის შეცვლა შეიძლება იმისდა მიხედვით, თუ რას ახმოვანებთ (ნატურას, პაკილიონს).

გასახმოვანებელი გადაღებული ფირი 5-30 მეტრიან ნაჭრებად იჭრება. კედლება რგოლები, გახმოვანების ატელიეში მოწყობილია ეკრანი, დგას მიკროფონი, გადაღებული ფირის პატარა ნაჭრებს განუწყვეტლად უჩვენებენ ეკრანზე, ხოლო მიკროფონთან მდგომი მსახიობი გამოსახულებას შესცქერის და ეკრანზე პერსონაჟის ტუჩების მოძრაობის მიხედვით წარმოთქვამს სიტყვებს. ჩანაწერის შემდეგ ისინჯება გადაღებული მასალის სინქრონულობა.

ხმის ოპერატორი ჯერ კიდევ ფილმის გადაღების პერიოდში აგროვებს სხვადასხვა ხასიათის (რაც ფილმს სჭირდება) ხმას. ზოგს ნატურაზე იჭერს, ზოგსაც ფონოთეკიდან იღებს. გარდა ამისა, საჭირო ხდება ხმაურის ჩაწერა ეკრანის მიხედვით. თუკეთა, გასახმოვანებელია ადამიანის ნაბიჯები, ცხენის ფლოქვების ხმაური, კარის ჭრიალი, წიგნის გადაფურცევა და სხვ. ამა თუ იმ ხმაურის შესაქმნელად გახმოვანების ატელიეში არის სპეციალური მოწყობილობა. ზოგიერთი სხვა შეიძლება გადაწყვეტილი იყოს მარტო ნაბიჯების ხმის და შეიძლება დრამატურგიულად ამათ უფრო იმოქმედოს, ვიდრე მუსიკამ. რეჟისორი სერგეი იუტკევიჩი ფილმ „ოტლოში“ გამოყენებული ხმაურის შესახებ წერდა: „იმისათვის, რომ თქვენ კინოში იგრძნოთ სიჩუმე, ჩვენ ხაზი გაუვსეთ ნაბიჯების ხმას დუელის სცენის ფინალში, როდ-

ესე მიმავალი ოტლოს ფეხის ხმა ისმის, როგორც გაგდებულ კასისო განაჩენი“.

მულღაურების დასაჯის სცენაში კინოფილმ „ჩვენ კრონ-შტადტიდან ვართ“ ხმები ძალიან ცოტაა: თოლის ყვირილი, ორიოდ მოკლე ფრზა, ზღვის ტალღის ხმაური, როდესაც ვარდება დასკილი მულღაური და უფსკრულში გადვადებულ გიტარის კეითინი. შემდეგ კი სიჩუმე... სიჩუმე...

ტოლებს თუ არა ეს სცენა გატანაურებლის შთაბეჭდილებას? არა. აქ პაუზა შემთხვევითი არ არის. იგი უფრო აღრმავებს დრამატურგიას. კინოფილმ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მუსიკა ისეა ჩაესრულებილი, რომ თქვენ მას ვერც კი გრძნობთ. სწორედ ეს არის მისი სიკეთე.

მონტაჟი

სამწუხაროდ, ზოგჯერ მუსიკას იყენებენ, როგორც დამხმარე საშუალებას, გატანაურებულ სცენების შესარტილებლად, პაუზების შესავსებად და არასრულყოფილი მონტაჟის დასაფარავად. „რაც უფრო ნაკლები იქნება კინოფილმში მუსიკა, — წერს ლიპოზოდ სტაკოვსკი, — იმდენად ძლიერია მისი ზემოქმედება. თუ მუსიკის უმაღლესი დაბაბულობის მონტაჟი მიემართავთ, სწორედ მაშინ ახმინდება უფრო მეტი გამომსახველობით“.

მუსიკის ჩაწერა წარმოებს ფილმის მთლიანად დამონტაჟების შემდეგ (გარდა იმ მუსიკალური ნომრებისა, რომლებიც იჭრება წინასწარ, გადაღებისათვის). მუსიკას იჭერენ ატელიეში, ეკრანის მიხედვით. თუ სინქრონული გადაღებისა და გახმოვანების დროს ერთი-ორი მიკროფონი იხმარება, ორგესტრის ჩაწერისას თორმეტამდე მიკროფონს დგამენ. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ კინოში მუსიკა სრულიად ახალ სახეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მიზნისცნუნურ“ ხმოვანებას იქნეს. ზოგჯერ საჭირო ხდება ზოგიერთი ინსტრუმენტის, ან მთელი ჯგუფის წინა პლანზე წამოწევა.

მ ა ლ დ ე რ ა

გადაწერას აწარმოებს ხმის ოპერატორი რეჟისორთან ერთად. „ეს არის საშობლო ჯოგორი, მრავალხმოვანი, ბევრი დღისა და ხშირად თვეების შრომისა... ეს პროცესი მოითხოვს უდიდეს შემოქმედებით ყურადღებას რეჟისორისაგან, კომპოზიტორისაგან და ხმის ოპერატორისაგან. შემოქმედებითი კოლექტივის დაბაბულებას ფილმის გადაწერის დროს უმაღლეს წერტილს აღწევს“, — წერს სერგეი გერასიმოვი.

გადამწერი აპარატურა რთული დანადგარია. ფილმზე შემუშავების გამოსახულება ცალკე ფირზეა აღბეჭდილი, ხმა, ანუ ფონოგრამა კი ცალკე ზოგორი ფონოგრამათა რაოდენობაზეა და უფრო მეტიც არის. ცალკე ფირზეა ჩაწერილი ლაპარაკი, მუსიკა და ხმაური. მავალითად, გამოსახულებით ნაჩვენებია: ტანკი მიდის, ყუბნარები სკდება, ისმის თოფის სროლა. ეს ხმები ცალ-ცალკე ფირზეა ჩაწერილი. სხვანაირად მისი მონტაჟი შეუძლებელია. კინოფილმ „მამლუქში“ მამლუქთა ფრანგებთან ბრძოლის სცენის ხმაური ჩაწერილი იყო 10 სხვადასხვა ფირზე. საჭირო იყო მათი გაერთიანება გამოსახულების მონტაჟის მიხედვით. დადგმული რეჟისორის ხელმძღვანელობით ცალ-ცალკე ხმების შეერთება ხდება არა მექანიკურად, არამედ შემოქმედებითად.



გადაწყრის საშუალებით შესაძლებელი ხდება ერთ ეპიზოდში ისეთი ხმების კონცენტრირება, რომლებიც ბუნებაში იშვიათად შეგვეხდება. ხშირად ოსტატობით გადაწყრილ ფილმში ხმა განსაკუთრებულ გამომსახველობას იძენს. მაგალითად, როდესაც კერანზე ერთი ადამიანი ტელეფონით ელაპარაკება მეორეს, ზოგჯერ მოპასუხის ხმა ყურმილიდან ტელეფონისათვის დამასხასათებელი ტემპირით გვესმის. ან კიდევ, როცა მოქმედება დიდ სპორტულ დარბაზში ან ტაძარში მიმდინარეობს, ჩვენ ან ნაგებობისათვის დამასხასათებელი ხმოვანება ჩაგვესმის. ყოველივე ამის მიღწევა კი გადაწყრის აპარატურის საშუალებით ხერხდება. იმისათვის, რომ გასაგები გახდეს თუ რამდენად რთული პროცესია გადაწყრა, საკმარისია ითქვას: ერთ ცვლაში ორი ნაწილის გადაწყრის მეტი შეუძლებელია.



თუ კინოთეატრში ყურადღებით მოვესმენთ ხმას, შევატყობთ, რომ იგი ყოველთვის ერთი წერტილიდან ისმის. მისი წყაროა ხმამალა მოლაპარაკე. მსახიობი მოძრაობს ეკრანის გასწვრივ, მისი ხმა კი მაინც იმ წერტილიდან მოედინება, სადაც დაიწყო. ეს ერთობლივი ხმის ჩაწერის მეთოდის დიდი უარყოფითი მხარეა, რაც კიდევ უფრო საგრძნობი ხდება ფართოეკრანიანი ფილმების დემონსტრირებისას.

1936-1937 წლებში კონსოლიდებმა და ვისოკიმ დაამუშავეს ორახიანი სტერეოფონული ხმის ჩაწერის მეთოდი და ფრაგმენტები არჩვენეს ჩვეულებრივი ეკრანიანი კინოთეატრ

„მოსკოვში“, ხოლო 1945 წელს პოლიფუნის კინოსტუდიამ „ფოსტ X X საუკუნეში“ საზოგადოებას შეუნვა ფართოეკრანიანი სახეობის ფილმი სტერეოფონული ხმით. ამჟამად კი თითქმის ყველა ფართოეკრანიანი ფილმი სტერეოფონულ ხმით იწერება.

სტერეოფონულ ხმის ჩაწერას რთული ტექნიკა და ტექნოლოგია გააჩნია. გადაღების, ან გახმოვანების დროს ხმა იწერება რამდენიმე ფონოგრამაზე, სახელობრ, ფართო ეკრანისათვის — ოთხზე, ხოლო ფართოფორმატიანი ფილმებისათვის — ექვს ცალკევე ფონოგრამაზე. თუ ჩვეულებრივი ფილმის გადაღებისას მსახიობის მოძრაობას ერთ მიკროფონს ვაყვლობდით, რომ მისი ხმა ყოველთვის მაკფო ყოფილიყო, სტერეოფონული გახმოვანებისას გადასაღები ობიექტის ფრონტალზე სამი, ან ხუთი მიკროფონი დგას. მსახიობი რომელ ადგილასაც მივა, ხმაც იმ მიკროფონიდან იწერება ცალკე ფონოგრამაზე. ფილმის დემონსტრირებისას ეკრანის უკან განლაგებულია იმდენივე ხმამალა მოლაპარაკე, რამდენ ფონოგრამაზეც ჩაწერილია ხმა. ამიტომაც, იმისდა მიხედვით, თუ ეკრანზე რომელ ადგილას იმყოფება მსახიობი, ხმაც სწორედ იმ ადგილიდან გვესმის. ასევე ხდება მუსიკის და ხმაურის ჩაწერა. ზოგიერთ შემთხვევაში ხმა დარბაზიდანაც ისმის. ამისათვის ცალკე არხია (ფონოგრამა) გამოყოფილი, სტერეოფონული ხმოვანება კინემატოგრაფიის სრულყოფილი სახეა, აქ ხმას მოცულობა და პერსპექტივა ენიჭება. ყველაფერი ბუნებრივად ვლდრს.

მობონება ბიპარეზი

ირაკლი არაყიშვილი



იმიტრი არაყიშვილს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს როგორც შემოქმედ-კომპოზიტორს, მეცნიერს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს. ამ წერილის მიზანია გააცნოს მეოთხეელს იგი — თავმდაბალი, გულკეთილი ადამიანი და მოკვახე.

სიყმაწვილეში ორი წლის მანძილზე მის ოჯახში ვეცხოვრობდი, რამაც შესაძლებლობა მომცა დავეკვირვებოდი მის მუშაობასა თუ დასვენებას, ახლობლებთან დამოკიდებულებას. იგი იყო მზრუნველი, მოვგარული მამა და მუუღლე, ყურადღებიანი და ალერსიანი ბიძა. მეყურბობდა როგორც თანატოლს, შთამინერბავდა აბამიანებისადმი პატივისცემას, მოთხოვდა, რომ ყველგან და ყოველთვის ვყოფილიყავი პატიოსანი,

ზრდილობიანი, მყვარებოდა ბუნება.

ცამეტი წლის ვიყავი, და უკვე მოწონებას განვიცდიდი მისდამი. თუმცა ეს არც გასაკვირია, ვინაიდან მამაჩემი, გიორგი არაყიშვილის ოჯახში პატარაობიდანვე ვივლიდი, რომ სადაც შორს, მისოკვმი ცხოვრობს და მოღვაწეობს „მამა“ დიმიტრი, საოცარი ადამიანი.

მამაჩემი დონის როსტოვში მუშაობდა. იგი ზრუნავდა მისოკვმი მცხოვრებ მამაზე, წერილებში დაჰინებით სთხოვდა საქარველოში დაბრუნებას. სულ მალე გადაწყდა, რომ ბიძაჩემი თავისი ოჯახით ზრუნავდა, დონის როსტოვში გადმოვიდოდა საცხოვრებლად. დადა შეხედდრის მღელავი დღევ, ველოდი, რომ ენახავდი „გოლიათს“. შეგვიდნ საშუალო ტანის, მამაჩემივით მოკლეწვერიან, ჩვე-

ულებრივ კაცს, უკან გადავარცხნილი გრძელი თმით. მაკოცა, კეთილი, ალერსიანი თვალებით შემომხედა, მაშინ კი მივხედი, რომ ბიძაჩემი, მართლაც არაჩვეულებრივი იყო. მას ჩამოკყენენ მეუღლე მარია გერასიმეს ასული და შვილები: ნინო, სანდრო, კროა და პატარა თამარი.

მეხსიერებაში წარუშლელ მოგონებად ჩამყრა ის სადამოხტი, როდესაც ერთად მოვიყაროდი ხოლმე თავს, ახლობლების დაჰინებული თხოვნის შემდეგ ბიძაჩემი პიანინოს მიუკვდებოდა და გატაცებით უკრავდა თავის ნაწარმოებებს. მაშინ პირველად მოვისმინე შესავალი ოპერისა „ოქმულება შოთა რუსთაველზე“. მოკარდობული ვუსმენდი მომხიბლავ მელოდებს.

ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ბიძაჩემი თბილისში გადმოსახლდა. ახლა ის თბილისა ძმას სამშობლოში დაბრუნებას. მალე ჩვენც ჩამოვედით თბილისში. ბიძაჩემის სახლს მივაშურეთ, რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი მშობლები საქმეების მოსაგვარებლად როსტოვში

დაბრუნდნენ. მე კი ბიძასთან დავრჩი.

ეს ორი წელიწადი დაუწყვიტარი ჩემთვის. ოჯახი შეიდი სულისკაგან შედგებოდა, გაჭირვებაც დიდი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ბიძაჩემმა მაშინვე მიმპარა პედაგოგებს (ერთი ქართულენას მასწავლებლი, მეორე კი გიმნაზიაში შესასვლელად მამუადებდა). მუსიკის მასწავლებელთანაც მიმოიყვანა. ვგრძობდი ოჯახის მძიმე მდგომარეობას და ვცდილობდი კარგად მესწავლა.

ვესოფრობოდი საქართველოს კათალიკოსის სახლში, ანჩისხატის ქუჩაზე № 1, სამი ოთახი გვეკავა.

ბიძაჩემი დილით ადრე დგებოდა. ისაუბრებდა თუ არა, მაშინვე ჩაიცვამდა გაცურცილე, გახუნებულ, ოდესღაც მწვანე ხალათს, მიუჯდებოდა მაგიდას, გაშლიდა სანოტო ფურცლებს და გულმოდგინედ იწყებდა წერას. შემდეგ როიალზე უკრავდა დაწერილს, გატაცებით მიჰყვებოდა იმპროვიზაციას.

იგი თავაწეული, მშვიდი და შთაგონებული სახით იჯდა ინსტრუმენტთან, ერთსა და იგივე მელოდიას რამდენჯერმე იმეორებდა, ეძებდა ახალ-ახალ შეფერილობას, ამდიდრებდა მის გამომსახველობას, ბოლოს როდესაც იპოვებდა შთანაფიქრის ტოლფასოვან მუსიკალურ გამობატულებას ხელახლა გადაიტანდა სანოტო კეაღლდზე.

ბიძაჩემთან ხშირად იკრიბებოდნენ მისი მოწაფეები, მეგობრები, მომღერლები, მუსიკოსები, რომელთა შორის მახსოვს: ილიკო ქურხული, ლადო კავ-

საძე, სანდრო ინაშვილი, ვანო გოციელი, რომელმაც მას უძღვნა საფორტეპიანო პიესა „ფოთოლცეკვა“.

მალე ბიძაჩემმა გაიგო ჩემი გატაცება ლექსებით, დანატრესდა, მან პირველმა ამხსნა ლექსთაწყობის პრინციპები. დროდღღო მათარგმნინებდა მისთვის საჭირო პატარა ტექსტებს, რამდენიმე წლის შემდეგ კი რუსულად ვუთარგმნე თავისი კომიუგური ოპერა „დინარას“ ლიბრეტო. მან შემაყვარა მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების თარგმნა, რასაც დღემდე ვაგრძელებ.

ბიძაჩემი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალსურს ბავშვების სწავლას, საქმიანობას, გართობას. არასოდეს მინახავს იგი მთვრალი, დღესასწაულებზე ორ-სამ მცირე ჭიქას დალევდა ხოლმე, რაც ძალიან მიეყირდა, რადგან მამაჩემსა და პაპას უყვარდათ ღვინო.

დიდი კომპოზიტორი უაღრესად თავმდაბალი იყო, არასოდეს არ ლაპარაკობდა თავის თავზე, თავის კონცერტებზე, ან იმ ოფაციებზე, რომელსაც მას უმართავდნენ მისი მუსიკის თავყანის-მცემლები. ამიტომაც სრულიად მოულოდნელად მისი აღიარების მოწმენი გავხვდით ოპერის „თქმულესა შოთა რუსთაველზე“ პრემიერის დღეს.

მალე ოჯახს ორი წვერი შეემატა. არაყიშვილებს შეეძინათ ტყუპები: შოთა და მიტო. ცხოვრება დღითიდღე ძნელდებოდა. ტანსაცმელი ცვდებოდა. ჩვენც ვცდილობდით რაღაცით მაინც დავცხმარებოდით ოჯახს, სათევზაოდ დავდიო-

ოდით. ერთხელ თევზაობისას მე და სანდროს ახლად შეკერილი ტილოს შარვლები რომ არ გავგვჭუჭყიანებოდა, გავისადეთ და ხუჭე ჩამოვციდეთ. მხოლოდ თევზაობის შემდეგ შევნიშნეთ, რომ ვიღაცას ჩემი შარვალი მოეპარა. შევეწუხდით. დაჭერილი თევზი გავვივდეთ და ფული სახლში მივიტანეთ... როდესაც საღამოთი ბიძაჩემმა შეიტყო ჩემი თავგამასავალი, ბევრი იცინა, თევზაობის ამბავი გამოვგვიცხთა და ლაშათიანად გვაგაზმმა.

მახსოვს, იმ დამეს, მოწიწებით ვფიქრობდი ბიძაჩემზე, გამბოარი ვიყავი მისი ალერსითა და ხუმრობით.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, თვითული ჩვენთავანი დაოჯახდა. ბიძაჩემი შესაძრნევად მოხუცდა. ავადმყოფი მამა ნინომ ოქროყანაში წაიყვანა.

დამე ტელეფონის ხმამ გამაღვიძა. მიღლი ნინოს აღდგეველი ხმა გავიგოწენ: „მამა ცუდად არის, მიტოს, შოთას და თამარს შეატკობინე, წამოიყვანეთ ექიმი ნიკოლოზ გამრეკელი“.

ქუჩაში რომ გამოვფიდი, დამის ვ საათი იქნებოდა. რუსთაველის გამზირზე ბედზე საიდანლაც მანქანა მოჭქროდა, წინ გადავუდექე, მძღლი დაქანცული ჩანდა, უარზე იყო, მაგრამ როგორც კი გაიგონა, რომ მომაკვავდ დიმიტრი არაყიშვილთან მიმეჭქრებოდა, მაშინვე გამიღო კარი. მალე ყველანი ოქროყანაში ვიყავით.

სახლთან ატირებული ნინო შეგვხვდა. მიგხვდით რაც მოხდა. ყველანი ავტირდით. მძღლოც თვალცრემლიანი იჯდა.

ამასწინათ კომე მაკაჩანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩამინ ჩსპუბლიკის თეატრალურმა სახემაფიქორებომა ღამე პატრიმეამითა და სიტყარულით მოაწაო საპატრიოლო სსრ სახლში არისტის ბიოგრაფი მავვალიის ხეონის საღამო. სღამოუხ სიტყამითა და მოგონებათი გამოსულება აღწინა ზ. მავვალიის დიდი ღამსახრება მწოგლოური თეატრალური ხელონების რინაში.





ოქტომბრის რევოლუციის
50 წლისთავისათვის

ქობა მარჯანიშვილი და მასობრივი სანახაობანი

(კობა მარჯანიშვილის მუშაობა მა-
სობრივ სანახაობა-ინცენერაციაზე
სამოქალაქო ომის წლების რევოლუ-
ციურ პერიოდში)

ეთერ გუგუშვილი



ავიღანვე იგრძნობდა დადგმის საერთო ჩანაფიქრის თვით პრინციპი — კონკრეტულობა, სახიერება, პლაკატურობა, რომლებიც განსაზღვრავდნენ მოქმედი პირების ზუსტ განლაგებას ანუ, უფრო სწორად, ინცენერაციაში მოქმედი ჯგუფების განლაგებას. ამავე დროს კონკრეტულობა მოხმობილი იყო დამატარალურად საწინააღმდეგო, ერთმანეთს შეპირისპირებული, მებრძოლი ჯგუფების საზგასამქლადა. ბრძოლის ელემენტი ყოველთვის საგრძნობი იყო. დასაწყისშივე, მინაწილვე ჯგუფთა

* გაგრძელება. იხ. ქ. „სამქოთა ხელთენება“, № 8, 1966 წ.

თვით განაწილება კი ხაზს უსვამდა ამ ტენდენციას. ქვევით განლაგებულნი იყვნენ „მონები“, ზევით „ბატონები“. მათ შორის არსებული განსხვავება ვლინდებოდა არა მარტო ამ განლაგებით (ქვევით და მაღლა), არამედ მათი გარეგნული გამომეტყველებითაც. ფრაკებსა და ცილინდრებში, გრძელსა და მდიდრულ კაბებში (მონაწილეთა შორის ქალებიც იყვნენ) გამოწყობილი „ბატონები“ მთელი თავიანთი ზვიადი გამომეტყველებით და ამაყი თავდაპერით თითქოსდა ხაზს უსვამდნენ თავიანთ მატერიალურ უპირატესობას კიბის დაბალ საფეხურებზე მდგომ და სადად გამოწყობილ „მონებზე“. და, აი, ეს გარეგნული კონტრასტი უცებ ირღვეოდა „მონათა“ ქარიშხლისებური მოძრაობით კიბეზე. ისინი ორგანიზებული რიგებით უტევდნენ დაბნულსა და შიშით წამხდარ ბატონებს. „მონების“ დროებით გამარჯვებას აგვიგრავინებდა პარიზის კომუნის დღესასწაული. ჟღერდა კარმანიოლის საზეიმო ჰანგები. ეპიზოდი, ანუ კ. ხ. სტანისლავსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოქმედების“, „მონაკვეთი“ მთავრდებოდა. ამას მოსდევდა ახალი ეპიზოდი, ახალი ქმედითი მონაკვეთი. აი როგორ ავეიწურენ ამას ა. პოტროვსკი და ა. გვოსდვევი: „კიბის განყოფილებაზე და სივანეზე, სამი ვიწრო ლურჯი ლენტით გამოდლიდნენ „ვერსალის ჯარისკაცები... დახვრეტა... ბირჟის ფარდის გასწვრივ კვამლის სქელი ბოლქვების ფარდა იქნებოდა. ღია ცის ქვეშ საარტილერიო ქვეშეხების პიროტექნიკა გამოყენებული იყო თავისებური სამგლოვიარო ფარდის შესაქმნელად. შავ კვამლს ჰკვეთდა პროექტორების ელვარე სხივი და მის შუქზე ქალები ასრულებდნენ „დაკრძალვის ცეკვას“.

აქ ზოგიერთი განმარტებაა საჭირო.

საქმე იმაშია, რომ კ. მარჯანიშვილსა და პირველი ნაწილის რეჟისორს ნ. პეტროვს, ამ ნატვრულ ხელოვანს, შესანიშნავად ესმოდათ, რომ მხოლოდ მექანიკური მოქმედება, ხელების ქნევა, გუნდური წამოძახილები და მასობრივი სკენების სტატიური ორგანიზება ვერ წარმოქმნიდა სანახაობითი ეფექტის იმ ძალას, რომელიც ეგზომ აუცილებელია თეატრისათვის, თუნდაც ეს თეატრი ასე უცნაური სახითაც ყოფილიყო წარმოდგენილი. კ. მარჯანიშვილი ფიქრობდა არა მარტო სანახაობის მასობრიობასა და ორგანიზებულობაზე, არა მარტო მის იდეურ-პოლიტიკურ გამიზნულობაზე, არამედ მის მხატვრულ სახიერებაზე, მის თეატრალიზებულ და ამ მიზნით მოქმედებას ამ სახიერების ნიშნები მიაჩნდა. მან გასაქანი მისცა თავის რეჟისორულ ფანტაზიას, რომელიც შინაარსს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ მასთან მჭიდრო ურთიერთობითა და ლოგიკური თანამიმდევრობით ვითარდებოდა. ასე წარმოიშვა კვამლის ფარდა (ლოგიკურად იგი გაპირობებული იყო ამბოხებული „მონების“ დახვრეტით). ეს ფარდა ამავე დროს თავისებურად ამთავრებდა მონაკვეთ-ეპიზოდს და ხელს უწყობდა დატრიალებული ამბების ხატუნად აღქმას. ასე დიბადა ქალთა „დაკრძალვის ცეკვა“ და დახვრეტლი კომუნარების გაქაგებულები, ნაკვეთი ფიგურები — მონუმენტები. მათ გამოიწვევს იმ კრიტიკოსების თავდასხმები, რომლებიც ამას აღიქვამდნენ, როგორც სანახაობაში შეტრილ მოესთეგო განწყობილებებს. „ქალების ცეკვა ლურჯ ბინდ-ბუნდში — წერენ ა. გვოსდვევი



და ა. პოტიტოვსკი — მოგვაგონებდა მარჯანიშვილისეულ „სალომეასა“ და „ფუენტე ვეზუნას“¹⁷.

აქ ჩვენ ვერ ვხედავთ საწინააღმდეგო მტკიცების აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ მსგავსება ამ ხერხებში მართლაც იყო, ხოლო საკუთარი რეჟისორული მიღწეების განმეორებისა და გამოყენების თვით ეს ხერხი სასესებით დასაშვებია. საჭიროა მხოლოდ იმაზე ლაპარაკი თუ რამდენად გამარტოებულა მარჯანიშვილის ორივე სპექტაკლის მოხსენება ამ კონტექსტში. რომ არაფერი ვთქვათ იმ უსამართლობაზე, სადაც „ფუენტე ვეზუნა“ იმ სპექტაკლების რიგშია მოხსენებული, რომლებიც მოვსთეთრო განწყობილებების ბეჭედს ატარებენ, თვით თ. უაილდის „სალომეას“ (რომელიც მარჯანიშვილმა სამი წლით ადრე განახორციელა ტრიციკის თეატრში) რეჟისორის მიერ აღქმული იყო არა როგორც მისეზი რადიონირებულ ესთეტიკური გაწვავლობისათვის. ორი წლის შემდეგ, როცა მარჯანიშვილი უკვე საქართველოში იყო და რუსთაველის თეატრში მუშაობდა, მან ს. ახმეტელს მისწერა წერილი, სადაც განმარტებული იყო თუ როგორ უნდა გაგებულყოფიო ეს პიესა. ამ წერილში იცხ. სახმეტელს ურჩევს ძიების სიღრმე „ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ ი ს ტ რ ა გ ი კ უ ლ ი პ რ ო ტ ე ს ტ ი ს ა (ხაზგასმა ჩემბა — ე. გ.)“, რომელმაც ისურვა ბუნებრივბა მიწაზე ეპოვნა და არ ისურვა ელდნა ზეიერი წყალობისათვის იქ, მაღლა ცაში“, — შემდეგ იგი დაასკვნინდა: „...მაშ დეე ვეძიეთ ვ ა ქ ე ა ც უ რ ი თ ე ა მ რ ი, თ ე ა ტ რ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ი ც ო ც ლ ე ს ა მ რ ო ბ ე ბ ე ს მ ი წ ა ზ ე“ (ხაზგასმა ჩემბა — ე. გ. იხ. კ. მარჯანიშვილის დასახელებული კრებული).

ამ აზრებით ხომ არ ხელმძღვანელობდა რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, როცა გამოიყვანა ქალთა ფიგურები და მათი ცქცევა, რაშიც იგი ხედავდა ადამიანის სულის ტრაგიკულ პროტესტს, მიმართულს უსამართლობისა და განუკითხაობის, აჯანყებულთა სომნიული დასჯის წინააღმდეგ; ხომ არ ცდილობდა რეჟისორი ამ ცქცევით კიდევ ერთხელ გამოეხატა თეატრალური მოქმედების სინთეზის საკუთარი კონცეპცია? თუმაც კრიტიკოსის მკაცრ თვალს ეხამუშებოდა საცქეპლი ნახატის მოულოდნელი გამოჩენა იმ წაშმა, როცა თითქოსდა ეკანის გახსნის ტრაგიკული მოთხოვნა მოვლენების შემდგომ დაძაბვასა და ამაღლებას. ამ თავისებურ „განმუხტვაში“ რეჟისორი ხედავდა სასესებით დასაშვებ სახეობრივ კონტრასტს, რომელიც არა თუ არ არღვევდა სიტუაციის დაძაბულობას, არამედ თითქოსდა თემატურად აგრძელებდა მის განვითარებას. ქალების ცქცევა ღრუხ ბინდ-ბუნდში ჟღერდა როგორც ნაღვლიანი სიმღერა დაღუპულთა გამო, როგორც პირობული ნაწილის ტრაგიკული ფინალისა და სვედის სიმბოლო.

მეორე ნაწილი ინსცენირებისა „მსოფლიო კომუნისა-კეა“, როგორც ვიქვით, იმაზე მოგვითხრობდა. საყვირების ხმას ახლა დოლისა და ნაღარის ხმა ენაცვლებოდა. და ეს მუსიკალური თანხლება თითქოსდა ხაზს უსვამდა დამდგმულთა დამოკიდებულებას მომხდარი ამბების მიმართ. ხოლო ამბები ვითარდებოდნენ მძაფრ, გადაჭარბებულად გაზვიადებულ,

ბულ, კარიკატურულ (მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეებზე) ფორმებში. ფოტოსურათმა შემოგვინახა ინსცენირების მეორე ნაწილი დასაწყისი. საფორმდი ბირთვის კიბის საფეხურებზე — მარცხნივ განლაგებული იყო ორმოცდაათი თავმოტყეულილი ფიგურა. ხელთ ვეება წინგები ეპარათ, რომლებიც ზედა ტანსა და მუხლებს ფარავდნენ (ისინი ისხდნენ), მოსჩანდა მხოლოდ მელოტი თავები. ცენტრში — აქვე მელოტებია — წინგების ნაცვლად, გასუთები გაუსულიათ. ზემო კვარცხლბეკზე კვლავ „ბატონები“ — ჭრელი ხალხი დაეს. მათ ქვემოთ დროშები ფართილგენ. ქვევით, ისევე როგორც პირველ ნაწილში, „ბატონებისაგან“ განცალკევებით — „მონები“ა. აი, როგორ აგვიწერს მომხდარი მოქმედების თანამიმდევრულ განვითარებას: „...საყვირების ხმა და ნაციონალური აღმების პარადი გავუსყვებენ იმპერიალისტური ომის დასაწყისს. მუშათა მასიზი შეშფოთება იგრძნობა. გამონადა ერთი, დიდი წითელი დროშა, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და მაღლა კიბებზე მიცურავს. მეორე ინტერნაციონალის მელოტი ლაქები კომიკურად გარბიან სვავდასხვა მხარეს. ვეება, ტლანკი ჟანდარმერიები ნაკუწ-ნაკუწ აქცევენ წითელ დროშას და ჰაერში ნაგლეჯებს ისვრიან. ბრძოს ათასმინიანი საერთო შეყვირება, და შემდეგ, მოულოდნელად ჩამოწოდული სრულ სიჩუმეში ერთი კაციც ხმა: „როგორც ახლა ეს დროშა დაიფლიათ, ასე დაიფლითება იმით მუშათა და გლეხთა სხეულები. ძირს ომი!“¹⁸

ინსცენირების ამ მეორე ნაწილში ძნელი არ არის შევნიშნოთ გარკვეული გროტესკულობა და მოქმედი პირობისა და მოვლენების ხაზგასმულად სატირიკული გააზრება. ამგვარი გააზრება მეორე ნაწილის შინაარსით სასესებით გამართლებული იყო.

მესამე ნაწილი ყველაზე რთულია როგორც მოვლენათა მრავალფეროვნების, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ფორმონიან ჩამოშვებული შავი არწივის ქვეშ მფის უზარმაზარი თოჯინაა. მარჯნივ, დიაგონალურად, ქვევით საფეხურებზე, რუხი შინგების ქარავანი ქაჩიანლად ეშვება. მოედანს გადააქვევნი საბარგულები და ქვეშეები. მარცხნივ, დიაგონალურად, საპირისპირო ზიგზაგით კიბებებს დაჭრილები მიჰყვებიან. მისა გულისწყრომას მოუცავს. ყველა გაპყვირის. უქრავს გაპროლეტენ სიმტკიცისა და წითელი დროშებით აჭირილი ავტობიბილები. ძირს ემშობა ფორმონზე დაკიდებული არწივი. მის ადგილას აღიმართება პლაკატი — „რ ს უ რ“. საყვირები მტრის ახალ შემოტევას აუწყებენ ხალხს. როსტრალულ შეუქრებზე სასიგნალო ცეცხლი აგიზიზღება ბირვის პორტალზე წითელარმიელები მწკრივდებიან. ბელადი წითელ ვარსკვლავს დაანგნეს მათს დროშას. წითელი ვარსკვლავების წვიმა... წითელარმიელები ხიდებს გადააქვევნი და მტრის შესახვედრად გაემართებიან.

აქ სივრცის თავისებური გააზრება ხდება. ბირვის მთელი მოედანი ახლა ალყაშემორტყმულ ქვეყანას — რ ს უ რ-ს (ეს სამოქალაქო ომი — ე. გ.) განასახიერებს. მასურებლად ზურგს უკან, მდინარის ბიბმა მტერია განლაგებული. აღმის

¹⁷ История Советского театра, т. I. ГИХЛ, Л. 1933, стр. 272.

¹⁸ История Советского театра, т. I, стр. 273.

სინელები, კვამლის ფარდის მიღმა, ნევაზე მდგარი გემების სირენათა გადაძახილი სისიმ... ბირგის პარაპეტზე მდგარი მუშები და ქალები შემოფოთებით ელიან ომის შედეგს. და, აი, გამარჯვება. როსტრალურ შუქერებზე გამოჩნდებიან გოგონები, რომელთაც ოქროს საყვირები უპყრობია. გაიჭრის ლეზენ ალგორითული ავტომობილები და გზადაგზა ნადვალ გვერგვენებს მიმოფანტავენ. ხიფიდიდან მოედანზე წითელი ცაქალერისი, არტილერიის, ფუნქსანთა პრაადი შემოდის. ძველბაზისილი არმია ომიდან ბრუნდება. ბოლოა და მარტვეულია. კვამლის ფარად მდინარეზე იფანტება — ნევის ნახევარწირულ დაქანებაზე, ისევე, როგორც ზღვიდან შემოსული გემებიდან, საბირგო შენობისაკენ დაიძრება „მსოფლიო სხობთა“ მსვლელობა, პლაკატებზე გამოსახული ემბლემებით, ყურნის მტკვნებით, ყვავილებით, ფანტასტიკური ხილვებით, საერთო ფეიერვეკის ფორნტონის „გრემდელზე“ განლაგებულა. ვეიერვეკია¹⁹.

ინსცენირების ამ მესამე ნაწილში გამარჯვებით ზეიმის თვით ფაქტიც კი განზოგადებულ, სიმბოლურ აზრს იძინდა. ეს გააზრება გამომხატებოდა არა მხოლოდ ზევა ხალხის სა-ზეიმო წამოსახლებით, კოცონებით, პოროეტეკებითა და ფეიერვეკებით, არამედ ისეთი შენადა თეატრალური გამომსახველობის ხერხებით, როგორც იყო საყვირების გადაძახილი, ფორნტონზე დაკიდებული, შემდეგ ძირს დამოხრებილი არწივი (სამეფო ხელისუფლების სიმბოლო, რევოლუციისაკენ დანარცხებული), ყურნის მტკვნეტი, ქალთა ფეიერვა... ლეორიები („გამარჯვება“) ოქროს საყვირებით ხელში... ცენტრში, ფინალში, უზარმაზარი გრემდის და ურის გამოსახულება, რომელიც შრომისა და მშვიდობის ემბლემას წარმოადგენდა.

აღვლი მისახვედრია, თუ რა დიად გამომსახველობას, ორგანიზატორულ ნიჭს, შემოქმედებით ფანტაზიას და პოლიტიკურ აღღოს მოითხოვდა დამდგმელისაკენ ეს სანახაობა. მას უნდა გაეაზრებინა და წარმოესახა ბრძოლის, შეჯახების, წინააღმდეგობისა და მისი დაძლევის ეს ურთულესი სურათი, რათა, ჩამოქანა, ერთ განსაზღვრულ სისტემაში მოყვანა ხალხის მასები და მოქმედებისათვის ხატოანება მიეჩვენებინა. აქ საჭირო იყო რიტმის, სცენური კომპოზიციების და რაკურსების არაჩვეულებრივი გრძნობა, საკმარისია ყურადღება მივაქციოთ თუნდაც ნაცრისფერ ფარაჯებში გამოყოფილი ჯარისკაცების დიაგონალზე მოძრაობის კომპოზიციას და მის სპირისპიროდ (ასევე დიაგონალურად, მაგრამ ზოგჯერ) მიმართული დაჭირლებების მსვლელობას. აქ, ამავე დროს კომპოზიციური განლაგება მოქმედი პირების ჩაცმულობითაც იყო შეფერადებული. ჯარისკაცების პირქმუი ფარაჯები ერთ მთლიან ნაცრისფერ ფონს ქმნიდა, დაჭირლთა ფეიერვები გამოყოფდნენ მონაცრისფერი-მოთეთრო ფერის გამით, სადაც ყავარჯნებზე მომავალი ან საკაცებზე დასველებული დაჭირლების ტანისამოსის ჩამქრალ ნაცრისფერ საღებავებს ენაცვლებოდა მოწყალეების დათა სამოსის თეთრი ფერი. ყველაფერი, თვით უპირილბანეს დეტალებამდე იყო გაჭრული — რიტმების, ფერთა მონაცვლეობა, ხმების

სხვადასხვა რეგისტრები და მოქმედების მუსიკალური თანხლება.

როგორც ამ აღწერიდანაც ვხედავთ მასობრივი სანახაობის დადგმა სიმთვლი, და „მსოფლიო კომუნისაკენ“ განსაკუთრებით, მოთხოვდა სპეციალურად და ზედმეწიწით გულდასმით დამუშავებულ გემას, უფრო სწორად — სანახაობის პარტიტურას.

კ. მარჯანიშვილმა და მისმა ხელქვეითმა რეჟისორებმა დიდი ძალა და ენერჯია დახარჯეს, რათა ყოველი ეპიზოდი დაწერილებით განვლავებინათ, განესაზღვრათ ყოველი მონაკვეთის, ყოველი დეტალის, ცალკეული კოსტუმისა და მათი საერთო კომპლექსის დანიშნულება.

ცხადია ეს დაწერილებითი პარტიტურა, უფრო მეტად კი მისი კონკრეტულად განხორციელება მოითხოვდა არაჩვეულებრივ სერიოზულ მუშაობას, შემსრულებლებისა და მათი ხელომძვანელების, ძალების ზუსტ და გვეგამაზომიერ განაწილებას. დადგმის ზოგიერთი მონაწილისა და სანახაობის მომსწრეთა კარგად ცნობილი აღწერილობით დადგმის ურთულესი მექანიზმის ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა მართვის პულტებით. აი, ერთი აღწერილობა: „საფონდო ბირგის შენობასთან გამართული წარმოდგენის ხელმძღვანელები განლაგებულნი იყვნენ წინ გაშვებულ საკომანდო ხილვებზე და სავულე ტელეფონებით იყვნენ შეერთებულნი მონაწილეთა შორი-შორს გაფანტულ ჯგუფებთან. სცენარში ზუსტად იყო ფიქსირებული ცალკეული ეპიზოდები-გამოსვლები. საკომანდო ხილვები ხელმძღვანელები ყოველი გამოსვლისათვის სატელეფონო და ოპტიკურ ნიშნებს იძლეოდნენ (რიტმი ნომრების მიხედვით). ცალკეულ მონაწილეთა და ჯგუფთა ხელმძღვანელები ღებულობდნენ ნიშნს და გადასცემდნენ თავიანთ ჯგუფებს და ათეულებს (ასე იყო დაგეგმილი მონაწილეთა მთლიანი მასა). ამგვარად, სანახაობა მკაცრად ცენტრალიზებული იყო. ყოველი ეპიზოდის ტემპში, მისი სანაგრძობობა, პაუზები, სინათლისა და ხმის ფეფქტივი უშუალოდ „მმრძანებლის“ სახელმძღვანელო ნება-სურვლებზე იყო დამოკიდებული (ის. ო. ცენზორიერის დასახელებული წიგნი).

შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ რა გახელებული „მმრძანებელი“ იქნებოდა კ. მარჯანიშვილი, ეს დაუცხრომილი, ტემერამენტითა და შინაგანი ცვესლით აღსავსე კაცი. აი, სადა იყო მისი ფანტაზიის, ნებისყოფის, ენერჯიის, შემართების ჭეშმარიტად უფრესი არე!

* * *

„მსოფლიო კომუნისაკენ“ დადგმას ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. ის მონაწილენი, რომელნიც ამ სანახაობას აღწერენ, ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია უფრო გრანდიოზული და დიდებული სანახაობის წარმოდგენა, ვიდრე ეს იყო „მსოფლიო კომუნისაკენ“. შემომხატულია სამუშაო პარტიტურის სქემა, სადაც დაწერილობითა აღწერილი ყოველი ეპიზოდის მოქმედება, აღნიშნულია ყოველ მონაკვეთზე პასუხისმგებელი ადამიანების გვარები, მონაწილეთა რაოდენობა (ქალები, კაცები, ბავშვები, ჯარისკაცები და ა. შ.) და მათი მოძრაობის მიმართულება, კოსტუმები (ციფრებში),

¹⁹ История Советского театра, т. I, ГИХЛ. Л. 1933 г. стр. 273—274.

ბუტაფორია, სინათლის ეფექტები და ა. შ. ეს სამუშაო პარტურა დაბეჭდილია თ. ცხენოვიცის წიგნში „Демонстрация и карнавал“, М. 1927 г., стр. 48—49.

გრანდიოზულობა და მოქმედების გაშლა, სასცენო შენაძრავისებოდა იმ პოლიტიკურ სიფართოვებას და უსაზღვროებსა, რაც თვით ინსცენირების სათაურშივე იყო ნაკვალისხმები. აი აქ, ჭკუშპარიტად, შინაარსი და ფორმა განაპირობებდნენ ურთიერთს.

მ. ანდრეევას შესახებ დაწერილ წიგნში თეატრმოცდენი ა. გროგორევა და ს. შირინა აღწერენ ამ სანახაობას, განსაკუთრებით აღნიშნავენ მის პოლიტიკურ მიზანდასახულობას, ხელოვნებისა და პოლიტიკის უშუალო კავშირს მასში. ისინი ყურდობიან კონგრესის დელეგატის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ბოგუმირ შმერალის მოწინააღმდეგეობას, სადაც ნათქვამია, რომ „ამ დადგამა უზარმაზარი შოატბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს ყველა კუთხიდან რუსეთში ჩამოსული კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებზე“ (იხ. მ. ანდრეევასდმი მიძღვნილი კრებული. გვ. 572).

დღესაც შესანიშნავად ჟღერს თვით კოტე მარჯანიშვილის მონათხრობი ამ დადგამაზე და თავისი მუშაობის შესახებ: „მთლიან უკანასკნელი წლების მანძილზე მე მხოლოდ ერთხელ განვიცადე თანამედროვეობის შესავფერი თეატრალური აქტუაცება. მე დავალეხული მქონდა პიტერში, საფონდო ბირჟის ნოედანზე თეატრალური სანახაობის გამართვა. სექტაკული მონაწილე იყო ათეულ-ათასობით ადამიანი, არმია და ფლოტი. და რთვა ერთ რატს დაბორონილებული ეს მასა, ერთი იდებით გამსჭვალული, ერთიან ფორმაში ჩემს წინაშე წარმოსდგა, განვიცადე თეატრალური აღქმის დაუვიწყარი მომენტები“.

მაგრამ „მსოფლიო კომუნისაკენ“ შეფასებაში მძაფრი უარყოფითი გამოსვლებიც იყო. ერთობ მძაფრი კატეგორიულიობით გამოირჩევა მაგალითად: „რუსული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I) განვითარებული აზრი, რომელიც, კერძოდ, რეჟისორ-დამდგმელების როლს ეხება. ამ კრიტიკულ უარყოფაში რეჟისორ-დამდგმელები დაუარჩევლად არიან მიკუთვნებული ფორმალისტების კატეგორიას, რომლებმაც, ვითომცა, ჯერ კიდევ რევოლუციების პერიოდში, „მთლიანად ჩაკლეს შემსრულებელ-წითლარბიელთა ის ცოცხალი შემოქმედებითი გზებმა, რომლის გარეშე წარმოდგენილია ყოველგვარი ხელოვნება“²⁰.

ჩვენის ფიქრით მთლად სამართლიანი არ უნდა იყოს ის დასკვნა, თითქმის შემსრულებელთა შორის არ დევიოდა ცოცხალი შემოქმედებითი გზებმა. ენთუზიაზმი, აღფრთოვანება და აღტაცება, რომელსაც მოეცა ინსცენირების მონაწილენი, სრულ პარტიონიში იყო მასში ჩაქსოვილ თვით იდეის პათოსთან. მართლაც, ძნელი იყო, რომ ამ სანახაობის მიმართ ვინმე (მით უმეტეს მონაწილე) გულგრილი ყოფილიყო. აქ, თვით ყველაზე ფორმალურ ხერხებს, ყველაზე აშკარა სტეპანურობას და მოქმედების მექანიკურობას არ შეეძლო შეენელებინა ის შინაგანი აღფრთოვანება, რომელსაც წარმოქმნიდა საყოველ-

თაო აღტაცებისა და ენთუზიაზმის ატმოსფერო. ამ თვალსაზრისით, დამარწმუნებელია თვით კოტე მარჯანიშვილის მოგონება, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ. რაც შეეხება კატეგორიულ ბრალდებას — რეჟისორები ფორმალისტები არიან — გათვალისწინებით, რომ ეს კატეგორიულობა, რომელიც უკავშირდება ინსცენირების ქანრის რამდენიმე შუზღედული ბუნების სწორ და ობიექტურ კრიტიკას, ამ კონტექსტში არა მხოლოდ უმართებულა არსებითად, არამედ სასუფლიანად ამხიბრებს ჭკუშპარიტებს. ერთობ დასაბუთებლად ჟღერს თვით განსაზღვრებაც — „რეჟისორი-ფორმალისტები“. რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ თვით ქანრის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი ფორმალისტური ელემენტების მიკუთვნება კონკრეტულად რეჟისურისადმი სრულიადეც არ არის გამართლებული, მაინც შევნიშნავთ, რომ ამ დადგამში მონაწილე რეჟისორებისათვის ფორმალზმი სრულიადეც არ იყო განმსაზღვრელი და დამახასიათებელი მიმართულება მათს შემოქმედებითს პრაქტიკაში, შესაძლოა, ეს კრიტიკული შენიშვნა პირველ რიგში ეხებოდეც კ. მარჯანიშვილს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ფორმალისტი. მასობრივ სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობისას, მას სრულიადეც არ იტაცებდა პროლეტარული კულტურის ორანჟირების იდეა, არც რეჟისურის ფორმალისტური ხერხების დანერგვა სურდა, არამედ ეძიებდა რველუციურ თანამედროვეობასთან დაახლოვების საკუთარ გზებს.

* * *

ცნობილია, რომ კ. მარჯანიშვილი არასოდეს არ უარყოფდა დრამატურების საერთოდ და კერძოდ კლასიკური მეშკვიდრობის მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში იგი მუშაობდა კომიკური ოპერის თეატრში და იქ განახორციელა კლასიკური ოპერების დადგმები — დინიცტის „ღონ პასკაულ“, ჩიმბროზის „საიდუმლო ქორწინება“, მოცარტის „მოტაცება სორელიდან“, აქვე მუშაობდა იგი მუსორგსკის „სოროჩინსკის ბაზრობაზე“ (უვარგისი მხატვრული გაფორმების გამო სექტაკული გენერალური რეპეტიციიდან მოიხსნა). თეატრის რეპერტუარში იყო გილეკის, როსინის და სხვა კომპოზიტორების ოპერები.

ერთხელ კ. მარჯანიშვილმა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამო ასეთი აზრი გამოთქვა: „... შოთა რუსთაველის ქმნილება მთელ აკადემიკოსებს გუფრთის, ისევე, როგორც შექსპირის, მოლიერის, გოლდონის, ლოპე დე ვეგას, გოცის შემოქმედებითი მეშკვიდრობა. პროლეტარიატის ის კი არა აქვს განზრახული, რომ მათი სახელები არქივს ჩააბაროს, არამედ სურს მათი შემოქმედება საუფუძლად დაედოს მომავალი მსოფლიო კომუნისტური საზოგადოების დიად ხელოვნებას“.

მეშკვიდრობასთან დაკავშირებული ამ პრობლემების წინ წამოყვანის იგი უარევედა თავის ოპონენტებს ყურადღებით გადაეკვივებოდა სტატები ა. ლუნარსკისას, რომელიც, როგორც, ცნობილია, იმ წლებში წარსულის კულტურული მეშკვიდრობისათვისების ლინერული მოძღვრების პირველი პროპაგანდისტი იყო. სასებით ნათელია, რომ „მსოფლიო კომუნისაკენ“ დადგმის ხელმძღვანელის — კოტე მარჯანიშვილის პოზიცია სრულიად ვერ ეკუთვნა იმ ფორმულირებებს, რითაც კრიტიკამ გან-

²⁰ „Очерки по истории русского советского драматического театра“, т. I. АН СССР, М., 1954 г., стр. 51.

საზღვარ თავის უსრუფოფით დამოკიდებულმა ინსცენრების განის მიზარს.

* * *

რევოლუციურ პეტროგრადში ინსცენრებაში შემოაბამ უსარმაზარი როლი შესარულა კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მან ხელი შეუწყო ჩარდმაგვებულიყო ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების რთულ ატმოსფეროში, უფრო მჭიდროდ შეკავშირებოდა თანამედროვეობის იდეებს და უფრო განმტკიცებინა მაკროული, ამაღლებული, გმირული, მონუმენტური თეატრის ძიებანი.

სწორედ ეს ტენდენციები აღმოჩნდნენ განმასზღვრელი კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებაში, როცა იგი მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა და ქართული საბჭოთა თეატრის შექმნას მოჰკიდა ხელი. უკვე თავის პირველსავე სპექტაკლში, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს თეატრის ცხოვრებაში რეფორმად იქცა, მან განამტკიცა ხალხის დიდ-მნიშვნელოვანი თემა, ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გმირობის ამაღლებულობა და შექმნა გმირულ-რომანტიკული სპექტაკლი, რომელშიც რევოლუციის სული იგრძნობოდა.

საქართველოში იგი ცდილობს შექმნას მებრძოლი, სულისკვეთებით თანამედროვე თეატრი და თავისი ამ დიდებულ მისწავლებების დასადასტურებლად იგი საჯაროდ აცხადებს, რომ განზრახული აქვს ღია ცის ქვეშ, ფუნქიულიორის პლატოზე ვ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფის“ დადგმა²¹. სწორიად არ არის გასაკვირი, რომ კ. მარჯანიშვილმა თავისი არჩევანი სწორედ „მისტერია ბუფზე“ შეაჩერა. ამ არჩევანში გამოვლინდა არა მარტო მისწრაფება თანამედროვე თეატრისაკენ, არამედ მისი ჩაუმქრალი სურვილიც — კოტე ერთხელ განეჭვად მასობრივი თეატრალური სანახაობით მოგერილი სიხარული. მაიაკოვსკის ეს ნაწარმოები მას საშუალებას აძლევდა შეექმნა დიდი სანახაობა, მოვლენების ფართი, მისტერიალური ყოვლის-მომცველობით, რეალური სამყაროს სატირულ-ბუფონადური გამოხსაველობით²².

* * *

ამ წლებს კიდევ ერთი სიხარული მოაქვთ მისთვის — იგი ახორციელებს კინოფილმს „ქარიშხლის წინ“ დადგმას, სადაც შეაქვს მასობრივი სანახაობა — ყვენობა. სანახაობისადმი სიყვარულმა კვლავ შეახვედრა იგი ქართული ხალხური ხელოვნების იმ საწიხებს, რომლებმაც მის შეგნებაზე გარკვეულ ზეგავლენა იქონია.

ხალხური, მიწიანის თეატრის ტრადიციებით გატაცება არასოდეს არ სტოვებდა კ. მარჯანიშვილს. იგი ამ ტრადიციებს ყოველი მარჯვე შემთხვევის დროს იყენებდა, იღებდა კინოსურათს „ქარიშხლის წინ“ თუ ახორციელებდა თეატრში თავის ჭეშმარიტად ეროვნულ ქართულ სპექტაკლებს, იგი ყოველთვის ხალხური საწიხების სტიქიში, თანამედროვეების იდეებში და მაღალიდევრობის ერთგული იყო.

მასობრივი დღესასწაულებისადმი მისწრაფება კ. მარჯანიშვილმა კიდევ ერთხელ მაშინ გამოავლინა, როცა აღინთო

²¹ „მისტერია ბუფის“ დადგმის იდეა კ. მარჯანიშვილს კიევიზ ჩაესახება

²² „მისტერია ბუფის“ დადგმა არ განხორციელებულა.

ახალი იდეით: — მოსკოვში რევოლუციის გრანდიოზული დღესასწაულის გამართვის იდეით. ამ დღესასწაულისათვის მზადება უმეტესად გამოისატა კომისიის შექმნით (რომელშიც შევიდნენ მ. გორკი, ა. ლუნაჩარსკი, კ. მარჯანიშვილი), აგრეთვე დადგმის იმ რეალურ, ზუსტ გეგმაში, რომელიც თვით კ. მარჯანიშვილმა შეიმუშავა. კ. მარჯანიშვილის სიკვდილის შემდეგ ა. ლუნაჩარსკი ამბობდა ამ რეისორულ გეგმაზე: „ეს გეგმა მას სრულიად ბრწყინვალედ ჰქონდა მოფორმებული. განზრახული იყო, რომ მოსკოვის ქუჩებში უნდა გაეგვლო მთელ კაცობრიობას. ამ ზეიმზე მსვლელობა უნდა დაეწყო გამოქვამულის, პირველყოფილ ადამიანს (აქვე იქნებოდა ნაჩვენები მისი ტანჯავაც); შემდეგ დიდებულად იყო მოფორმებული ადამიანის, კულტურის ზრდა — ყველა ეტაპი ამ ადამიანისა, რომელიც ზრდასთან შეფარდებით უფრო დიდი და თავისუფალი ხდებოდა. და ყველაფერი ეს, ბოლოსამოლოს, მთავრდებოდა ადამიანის კულტურით. ეს ადამიანი შეიცნობდა საკუთარ თავს, საკუთარ ღირსებებს. იგი ხედავდა და გრძნობდა, რომ მას ათასობით მტერი ჰყავს გარს შემოჯარული და მიუხედავად ყოველმხრივი შემოტყვევისა, მაინც ბევრ რამეს მიღწედა და ახლა ისე დიდია, რომ თავისი მომავლისა არ ეშინია“.

მარჯანიშვილისეული ჩანაფიქრის ამ აღწერაში ძნელი არ არის დაინახოთ გრანდიოზულობა, მასშტაბურობა და გაქანება. აღვგორიოთ განყენებულობის გარკვეული ნაწილი, ცხადია, რეისორს არ აძლევდა სახეთა ღრმა ფსიქოლოგიური გახსნის საშუალებას, მაგრამ, როგორც ყოველი ალტერირულობა, განამტკიცებდა სანახაობას, მის სიმკვეთრეს და გარკვეულობას.

რეისორის ფანტაზიას თვალუწვდენელი სივრცე მიეცა. ჩანაფიქრის იდეურობა უმეტესად იყო.

მარჯანიშვილი პირდაპირ შეპყრობილი იყო ამ სანახაობის იდეით. დაქპროდა თავისი პროექტებით, ყველას არწმუნებდა მისი განხორციელების აუცილებლობაში. როგორც ლუნაჩარსკი იგონებს, ამ გრანდიოზული დადგმისათვის საჭირო თანხების უზოლობის გამო, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

* * *

მარჯანიშვილის მონაწილეობა მასობრივ დღესასწაულებში მოწმობდა მის მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას, რევოლუციური ქარიშხლების ვიკის მიერ შობილი დიდი ისტორიული პროცესებისადმი მის ერთგულებას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მასობრივ სახალხო წამოწყებებზე მუშაობასთან, სანახაობაში მონაწილე მასების ორგანიზების მის უნართან დაკავშირებულია კიდევ ერთი მოვლენა მის ბიოგრაფიაში. შეცდომა იქნებოდა ეს მოვლენა მიგვეკუთვნებინა დემონსტრაციების იმ კატეგორიისათვის, სადაც უმოვარესი ადგილი სანახაობით მომენტს უჭირავს, ანუ ისეთ მომენტს, რაც განსაზღვრავს სანახაობის ერთგუნებას თეატრალურ-დადგმით სუფოსადმი. აქამად ჩვეულებრივად არა თეატრზე, არა ალტეროვანებულ და მხნე დემონსტრაციაზე, რომელიც ადამიანებს სიხარულს ანიჭებს, ადაცებს სიხნით და ჯანსაღი განწყობილობა. საქმე ეტება ამ ზეაწეული, საზეიმო განწყობი-

ლების დამატრულად საწინააღმდეგო რაიმეს — პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაკრძალვის სამგლოვიარო დღეს. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ამ სამგლოვიარო დღის ორგანიზაცია სწორედ კოტე მარჯანიშვილს დაევალა. და კვლავ მოხდა მის ცხოვრებაში მოულოდნელი შემობრუნება გაუთვალისწინებელი რაკურსით. ასეთ მოულოდნელობას იგი მიერწვია, მაგრამ ასეთი რამე მას არ განუცდია — იგი პირველად მოეჩივრა მის გრძნობათა სამყაროში და სული აუფრიალა. აქ კვლავ უნდა გავისენთო მასებთან მუშაობის მისი უზარმაზარი გამოცდილება და ის უნარი, რომლითაც იგი თავის ნებას უმორჩილებდა აურაცხელ მოწაწვილეს. მაგრამ ახლა სხვა პირობები, სხვა გარემოცვა იყო.

კოტე მარჯანიშვილი თავისი მოწოდებით სადღესასწაულო რეჟისორი — ამ დღეებში თავს უყრის მთელ თავის ენერჯიას, ნებისყოფას, ხელმძღვანელობის უნარს და ხელს აკიდებს ამ საპატიო მისიის განხორციელებას, სადაც ერთხელ კიდევ გამოვლინდა მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობა, მისი პოლიტიკური ალღო და ორგანიზატორის ნიჭი. მაგრამ თუ იქ, რევოლუციური პეტროგრადის მოედნებზე, ზემისა და დღესასწაულის ატმოსფეროში იგი ქმნიდა თავის ტემპერამენტულ, პათეტურ და მასშტაბურ სანახაობას, აქ, ულრმესი სახალხო მწუხარების გასმ, იგი მოუხმობს თავის მწკფავარ აზრს ხალხის ვაჟკაცური და სვედიანი სულის საჩვენებლად და ამ მწუხარების ტრაგიკული პათოსის გამოსახატავად.

გაზეთებში ამეგარად წერდნენ: „აი დიდი სულის ადამიანი, რომელიც ჩვენს შორის ცხოვრობს, ჩვენ გვერდით დგას, შეუმჩნეველად მუშაობს და შესაძლოა, ბევრმაც კი არ იცოდეს მისი სახელი.“

დღეს უადგილოა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთის თქმა მაინც აუცილებელია. კოტე მარჯანიშვილი — ჩვენთვის უცხო როდია, იგი დღეს სულითა და გულითაა ჩვენთან.

იგი ჩვენთან ერთად იზიარებს ამ დანაკარგს. იგი ვერ შეაფასებს ლენინის პოლიტიკურ მოღვაწეობას — კ. მარჯანიშვილი პოლიტიკის კაცი არაა, მაგრამ მთელი თავისი არსებით, როგორც დიდი ნიჭის მხატვარი, იგი გრძნობს, რა გიგანტურ ძალას ფლობდა ის ადამიანი, რომელიც ჩვენ დღეს დაკარგეთ.“

ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწავია ამ დღეებში კ. მარჯანიშვილმა. ყველაფერის ხელმძღვანელობდა: — ქალაქის პეიზაჟის სამგლოვიარო მორთვას თუ პორციესის მუსიკალურ თანხლებას, განათებას თუ დემონსტრანტების განლაგებას. ფოტოსურათებმა შემოგვიანასეს ძველი თბილისის სასუიომონადელიანი და მკაცრი გამომეტყველება კ. მარჯანიშვილის თავისებური „რეჟისორული ჩანაფიქრის“ მიხედვით შექმნილი ცაკის- მთელი შენობა შესუდრული იყო სამგლოვიარო შავი

ფერებით. ფსალზე კვიდა ლენინის უზარმაზარი პორტრეტი. გვერდებზე საპატიო ყარაული იდგა. პორტრეტიდან კბრის საფეხურებამდე გამოვლილი ფარდავის ბილიკი სასახლეს აერთებდა ფართო პარაპეტთან, ქუჩასთან, რომელიც ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ მიემართებოდა. ეს გზა სამგლოვიარო თაღებითა და შავი ნაჭრებით იყო მორთული. მოედანზე, ქალაქის საბჭოსთან აღმართული ვეება თაღს აგვირგვინებდა ლენინის პორტრეტი და ხუთქიმიანი ვარკაკლავი. დემონსტრანტთა გზას სწორედ ამ თაღის ქვეშ უნდა გაეფლავა. „დროშა“ წერდა: „იქმნება შობაბედლივითა თითქოს ლენინს ასაფლავებენ არა მოსკოვში, არამედ აქ თბილისში“²³.

უფრო და უფრო ეძლეოდა გლოვას თბილისი. ყოველ საათს დღებულობდა იგი ყოვლისმომცველი შეძრწუნების რაღაც ახალ, მკვეთრ ნიშნებს. განსაზღვრულ ადგილებში განლაგებულ გუნდები და ორკესტრები სამგლოვიარო მელოდის განუწყვეტელი დინების შობაბედულებას ქმნიდა.

ლენინის პორტრეტის უძლიერესი შუქით განათება (ქვემოთ დან) ატარებდა არა იმდენად სახიფველ, რამდენადაც პოლიტიკურ აზრს. გახ. „მუშა“, თითქოს გამოიცილო რეჟისორის ჩანაფიქრი, იმ დღეებში წერდა: „არაჩვეულებრივადა მორთული ამხ. ლენინის პორტრეტი. იგი ისეა განათებული, თითქოს მზე დანათოს მას. იგი ხომ თვით იყო მზე, რომელიც ისე ანათებდა, როგორც არცერთი მზე“²⁴. ამ განათებას არაჩვეულებრივი პარმონიულობით ერწყმოდნა დემონსტრანტთა ღამის მსვლელობა ჩირადდებით. ხალხის მდუმარე, პირქუშ, მაგრამ საზეიმო სულვამ იგრძნობოდა დიდი სიმკაცრედ და ამაღლებულ-პათეტიკური ვიწყობილებად... ისეთივე ამაღლებული და მკაცრი, როგორც თვით ხალხის გლოვია...

ამ უპარტიო ადამიანს პარტიამ, იმ ღირსსახსვგარ დღეს, მინაღო ყველაზე საპასუხისმგებლო და ყველაზე ნათელი საქმე რეჟისორ კ. მარჯანიშვილს ამ საქმისათვის მოუხმეს არა მწუხარების „მოსართავად“, არამედ იმისათვის, რომ მას ამ მწუხარებისათვის ერთგვარი მხატვრული გამოსატყულება მიეცა. ასეთი რამ საჭირო იყო ქალაქში წესრიგის დასამყარებლად, ხალხის ერთიანობისა და ნებისყოფის ნათელი, გონივრული გამოსატყულებისათვის, მძიმე განსაცდელის გასმ ხალხის სულიერი ძალმოსილების და ვაჟკაცობის ატმოსფეროს შესაქმნელად. და მარჯანიშვილმა დირსულად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ არაჩვეულებრივსა და ესოდენ მნიშვნელოვან მისიას და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთიანობა ხალხის ფიქრებთან და მისწრაფებებთან, თანამედროვეობასთან, ეპოქის სულთან და მის იდეალებთან.

²³ „დროშა“ № 7, 1924 წ. გვ. 23.
²⁴ „მუშა“ 29 იანვარი, 1924 წ. გვ. 2.

ალექსანდრე
ყვინჩია



სასტანო მოღვაწეობის 40 წლისთავზე

აკაკი დვებიძე



ალექსანდრე ყვინჩია — რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი — დაიბადა სოფ. კონტუათში (წულუკიძის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლებაც იქვე მიიღო, შემდეგ კი კოოპერატიული ტექნიკუმი დაამთავრა და რამდენიმე ხანს სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა.

თეატრისადმი სიყვარული ორივე ძმას — ალექსანდრეს და იპოლიტის, უფროსმა ძმამ, აკაკიმ გაუღვივა, რო-

მელიც თავის სოფელში პატარა პიესებს დაეცა ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრემ თბილისს მიაშურა და პროლეტარული თეატრის სტუდიაში შევიდა. მართალია ეს სტუდია მალე დაიხურა, მაგრამ ალექსანდრეს, მაინც ბევრი რამ შესძინა. იგი მალე ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის და ჭიათურის სახელმწიფო თეატრებში დამდგმულ რეჟისორად, შემდეგ კი სამხატვრო ხელმძღვანელად ზუგდიდისა და წულუ-

კიძის სახელმწიფო თეატრებში. წარმატებით დადგა პიესები: „ხვეისბერი გონია“, „ქრისტინე“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „და-ძმა“, „სადგურის უფროსი“, „ხანუმა“, „სურამის ციხე“, „ფიჭვის გორა“ და სხვ. სპექტაკლები საინტერესო იყო რეჟისორული გადაწყვეტით, გამოშვებულობით, აქტიური შესრულების ოსტატობით. საკპარისა მივიყვანოთ ალ. ყვინჩიას მიერ დადგმულ სპექტაკლებზე დაწერილი რეცენზიების მხოლოდ სათაურები: „ჩინებულაია“, „კარგია — ამოზენ მაცურებლები“, „თეატრი ნაყოფიერად მუშაობს“, „სასუკეთესო სპექტაკლი“, „თეატრის ასალი გამარჯვება“. ამ რეცენზიების ავტორები არიან ჩვენი ცნობილი თეატრალური მოღვაწენი — კოტე ანდრონიკაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, გენო ქელბაქიანი.

ალ. ყვინჩიას მიერ დადგმული სპექტაკლები მრავალჯერ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო თეატრებისა და თეატრალური კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალერებულზე და მათ არა ერთი და ორი საპრიზო ადგილი დაუმსახურებიათ. აღსანიშნავია ალ. ყვინჩიას აქტიური შემოქმედებაც. მას ასამდე როლი აქვს განსახიერებელი. მათ შორის აღსანიშნავია კაკუტა („ყვარყვარე თუთაბერი“), ციგარო („ხვეისბერი გონია“), ოტია („და-ძმა“), სიმონი („გმირთა თაობა“) და სხვ.

საინტერესოა აგრეთვე ალ. ყვინჩია, როგორც დრამატურგი. მისი პიესები „საბედისწერო ნაბიჯი“, „მელა ზაფანგში“, „წითელი პარტიზანი“ და „ამბავი დიდიყო ასე“ ახლაც წარმატებით იდგმება სცენაზე.

ამჟამად ალ. ყვინჩია წულუკიძის სარაიონო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობს და მთელი რაიონის თეატრალურ ცხოვრებას უდგას სთავეში. ქართული სცენისათვის აწვადებს ახალგაზრდა კადრებს. მისი ვაზრდილები რ. ნობუა, ი. რატიანი, გ. ბახტაძე და სხვები ახლა დიდ პროფესიულ თეატრებში მუშაობენ.

წელს ალ. ყვინჩიას დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა. იგი კვლავ შემოქმედებითი ენერჯით აღსავსე ემსახურება საყვარელ საქმეს.



სცენა აკ. წერეთლის სახელობის ჰიათურის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ცხოვრება კაცისა“



პეპევი

მართალი

კაცისა

გურამ აბრამიძე



წერალ გიორგი ხუხაშვილის პიესამ „ცხოვრება კაცისა“ სამართლიანად დაინტერესა ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი. უფრო მეტიც — პირველ ხანებში რესპუბლიკის წამყვანი თეატრების მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ამ პიესის მომავალი ბედი ამ თითქოსდა პერიფერიული თეატრის სპექტაკლმაც განაპირობა. ჭიათურის თეატრში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რეჟისორ თორა ალექსიშვილის მიერ განხორციელებულმა სპექტაკლმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩვენ ზოგჯერ უყურადღებოდ ვვიკიდებით

დედაქალაქის მიღმა თეატრების სპექტაკლებს, მაშინ, როდესაც თურმე ეს თეატრები მეტად საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას ეწევიან. ამის დასტურია ჭიათურელთა ეს სპექტაკლი. მათ ნამდვილი (შეიძლება ითქვას — მოულოდნელი) ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს თბილისელებს.

მაინც რა არის ამის მიზეზი?

ჯერ, რასაკვირველია სპექტაკლის პირველწყარო — პიესა. გ. ხუხაშვილის ეს პიესა თამამად შეიძლება რომანტიკულ-პერიოდიკული ხასიათის ნაწარმოებად ჩაითვალოს. მასში დრამატურგი ერთგვარად აგრძელებს და აღრმავებს იმ ხაზს, რომელიც მის პირველ პიესაში — „ზღვის შვილებში“ იყო მინიშნებული. გ. ხუხაშვილმა პერიოდიკულ პლანში წარმოსახა ჩვენი ხალხის თითქმის ნახევარსაკუნოვანი გზა, ფართო პლანით გააანალიზა იგი და თავისებური ინტერპრეტაცია მისცა კეთილისა და ბოროტის, ავისა და კარგის ტრადიციულ თემას.

„ცხოვრება კაცისა“ თავისი მორალურ-ეთიკური პრობლემებით შორეულ ფოლკლორში პოეზებს სათავეს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მეტად აბსტრაქტული ავისა და კარგის, კეთილისა და ბოროტის მარადიულ ჭიდილსა და ბრძოლას დრამატურგმა კონკრეტული ფორმა მოუწახა, ფოლკლორის ელემენტები კი უკანა პლანზე გადაიტანა. ეს უკანა პლანი კი იმდენად შეუმჩნეველია, რომ მას ვერც პიესის მკითხველი და ვერც მასურებელი ვერ ამოიცნობს. ყოველივე ეს იმანაც გამოიწვია, რომ დრამატურგს სურდა საბჭოურ რეჟესზე შემდგარი ქართველი ხალხის ნახევარსაკუნოვანი გზა ფილოსოფიურ ასპექტშიც განეხილა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი სიხარული და ტკივილები (რაც გამოიხატება, ერთის მხრივ, ხალხის განთავისუფლებაში და, მეორეს მხრივ, ბასს მიერ მეგობრის დაკარგვაში), მეორე მსოფლიო ომამდე რამდენიმე წლით ადრე დატრიალებული ტრაგედია, დიდი სამამულო ომის ქართველი, ომის შემდეგდროინდელი ჭრილობების მოშუშება, ცხოვრების დიდ თუ პატარა წინააღმდეგობათა დაძლევა, აი ზოგადი სიუჟეტური საყრდენები ნაწარმოებისა. მაგრამ ისტორიული ძვრებისა და განვითარების ამ ზოგად ფონზე გ. ხუხაშვილმა კონკრეტულად წარმოგვიდგინა, ფართო რაკურსით დაგვანახა ცხოვრება, და ამ ცხოვრების შექმნელ ადამიანთა ვნებები, ტკივილები და

სიხარული. ყოველივე ამის ფონზე გ. ხუბაშვილი დაწვრილებით განიხილავს და აანალიზებს ადამიანის ფუნქციის დროისა და ხალხის წინაშე, დრამატურგი გვაწვდის თავის მრწამსს — ყოველი ადამიანი თავისი დროის პირშია, იგი ატარებს დაახლოებით იმ თვისებებს, რაც დროისთვისაა სიმპტომური, მაგრამ ამავე დროს ადამიანი იმტრია ადამიანი, რომ იგი საჭიროების შემთხვევაში დროის სიავეზე მაღლა დადგეს და მომავალს გაუწოდოს ხელი.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, დამაჯერებელ თხრობას საჭიროებდა. ამავე დროს ავტორი იდგა ერთი საფრთხის წინაშე — დედაქტიკას არ დაედოთა თეატრისათვის ესოდენ საჭირო მოქმედება, ადამიანები არ დამსავსებოდნენ ქემპარიტების მქადაგებელ მანქანებს. მაგრამ გ. ხუბაშვილმა წარმატებით გაიარა ეს „სახიფათო ზონა“ და ნაწარმოები არა მარტო თავისი ფილოსოფიური გააზრებით გამოვიდა საინტერესო, არამედ სცენური თვალსაზრისითაც.

ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ჭიათურის ა.ე. წერეთლის სახელობის თეატრმა და, უპირველეს ყოვლისა კი, სპექტაკლის დამდგმელმა ოთარ ალექსიშვილმა. თუ, მაგალითად, სპექტაკლის პირველ მოქმედებაში ეს საშიშროება განსაკუთრებით სახიფათოდ წარმოგიდგება (დუნეა რიტში, მსახიობები შემოტილად გრძნობენ თავს, ვერ აღწევენ უშუალობას), მეორე და მესამე მოქმედებაში „ყოველი ინსტრუმენტი“ ამ ჩინებული ორკესტრისა თავის სადღეს იკავებს, სპექტაკლი შეკრული ხდება და უაღრესად საინტერესო ხასიათს ღებულობს. მოუხედავად იმისა, რომ ორი საათის განმავლობაში ჩვენ ვეცნობით ადამიანთა თითქმის ნახევარ-საუკუნოვანი ცხოვრების გზას, არავც და არავც არ ღებულობს ფრაგმენტულობის ხასიათს, ყველაფერი მყარი კომპოზიციური სიზუსტითაა განლაგებული. ამაში კი რეჟისორის მთავარი როლის შემსრულებლები ნ. ჩაჩანიძე (საბა) და გამოცდილი ოსტატი მ. ვაშაძე (ბასა) დაეხმარნენ.

სპექტაკლის მხატვრობა ფ. ლაპიაშვილსა და ახალგაზრდა მხატვარს თ. სუმბათაშვილს ეკუთვნით. ძირითადი მხატვრობა კარგია და იგი დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრს ეთანხმება.

ნ. ჩაჩანიძე ახალგაზრდა მსახიობია, მაგრამ ამ მეტად რთულსა და ფსიქოლოგიურ სახეს კარგად გაართვა თავი. იგი თავის გმირს თანდათან მატებს საღებავებს. განსაკუთრებით ძლიერია და მომამეტედაც მსახიობი მეორე და მესამე მოქმედებაში. მაყურებელს ამასსოფრდება ომში გაცილებისა და შვილთან შეხვედრის სცენები.

ნ. ჩაჩანიძემ შექმნა კეთილი და პატიოსანი კაცის დამაჯერებელი სახე. მისი საბა ცხოვრებაში მართალი და რთული გზებით მოსიარულე კაცია, ამიტომაც მას ცოტა წინააღმდეგობები როდი შეხვდება ცხოვრების გზებზე. ნ. ჩაჩანიძის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დაღებული გმირი უინტერესო და ულაზათო კი არ გამოვიდა, როგორც ამას ხშირად ვხვდებით, არამედ უაღრესად ცხოვრებისეული.

საბას ხასიათის საწინააღმდეგო თვისებების მატარებელია ბასა გუჯაბიძე, იგი მუდამ სიავისა და ავკაცობისკენ უზიდებოდა საბას, მაგრამ ამაოდ. ბასა ავი სულივით დასატრიალებდა თავს საბას, ჩააგონებდა მრუდე გზებით სია-



საბა უბრნელი — ნ. ჩაჩანიძე (მარჯვნივ) და ლალო იაშვილი — თ. ელიავა

რულს, მართალია, ბასა გუჯაბიძის სიავე და ბოროტება ერთგვარი თეორიული ხასიათისაა და მას ამ მხრივ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია, მაგრამ იგი მაინც საზოგადოებისათვის საშიში პიროვნებაა. ამას კარგად გრძნობს მ. ვაშაძე და არაფერს იშურებს, რომ პერსონაჟი სრულყოფილად დახატოს. ბასა ცხოვრებისეული პერსონაჟია, ამას კარგად ვგრძნობთ მსახიობის თამაშით.

„ცხოვრება კაცისა“ მარტო ამ აქტიორული მიღწევებით როდი ხასიათდება, როლებს კარგად ასრულებენ ა. მოსაშვილი (რუსუდანი), ნ. ერიაშვილი (ცირა), თ. ელიავა (ლალო), ი. ჯიშკარიანი (ლამარა) და სხვ.

ჭიათურელთა „ცხოვრება კაცისა“ ჩვენნი თეატრალური ცხოვრების საინტერესო და სასიხარულო მოვლენად იქცა.

ცირა — ნ. ერიაშვილი, საბა — ნ. ჩაჩანიძე, ბასა გუჯაბიძე — მ. ვაშაძე



„მარიცა“ — სალილომე სემპტაკლი



სენა სემპტაკლიდან „მარიცა“

მარიცა — მ. ვანშექე,
ბასილი — გ. კინურაშვილი



ბენიჩიე — ვ. აბლითი
ბოკენა — გ. ბანქელეტი



სენა სემპტაკლიდან

საოპერეტო ფანრი თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ურთულესი სახეობაა. მისი სპეციფიკის თავისებურებათა დაძლევისათვის მსახიობში ორგანულად უნდა შეერწყას მუსიკალური-ფიკალური და აქტიური მონაცემები. იგი ტოლფასოვანად უნდა ფლობდეს სცენური ხელოვნების მრავალფეროვან გამომსახველობით სწრაფლებებს: სიმღერას, ქორეოგრაფიას აქტიურულ ტიპინიას, ოპერეტა მოთხოვნ გამახვილებულ მუსიკალობას, პლასტიკას, რიტმსა და დახვეწილ გემოვნებას. ყველა ამ კომპონენტის ერთობლივი ორგანიზაცია კი მხოლოდ მაღალი პროფესიული ოსტატობის შედეგად ხდება.

თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტში ფართო მუშაობა გახლიდა ქართული საოპერეტო ხელოვნების კადრების აღზრდისათვის. გახსნილია სპეციალური მუსიკალური განყოფილება, რომელშიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ გამოცდილი პედაგოგები და რეჟისორები, ისინი შეადი კონცერტოლითა და მომზადებლობით წარმართავენ საოპერეტო ხელოვნების მომავალი მსახიობების ზრდასა და დასტატებას.

ახლანდ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მუსიკალური განყოფილებაში V კურსის სტუდენტები (რეჟისორ-პედაგოგის ე. გედევანიშვილის კლასი) ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ სადილომე ნამუშევრით, ამისათვის შაი პირინეს საოპერეტო ხელოვნების კლასიკოსის იმრე კლამანის პოპულარული ოპერეტა „მარიცა“ (რეჟისორ-პედაგოგი ე. გედევანიშვილი, დირიჟორი — ხელ. დამს. მოლავაძე მ. ბორჩხიძე, ქორეოგრაფი — ხელ. დამს. მოლავაძე და მაქვარაინი, მხატვარი — გ. კიკიაშვილი, კონცერტმასიხერი — რ. ელიავაძე). მისაძღმებლია, სწორედ ამ ნაწარმოების არჩევანი, ვინაიდან „მარიცა“ საოპერეტო ხელოვნების ერთ-ერთი ტიპიური და ამსონიან მატალზატრული ნაწარმოებია. მასში ოსტატურად არის შეზავებული ლირიკული და დრამატული სიტუაციები, კომიკური და

სახასიათო ეპიზოდები. ოპერეტის მუსიკალური პარტიტურა გამორჩევა მომხიბვლელი მელოდირიობით, ხატოვანი საცქერო ფრაგმენტებით. ამასთან, ეს არის მჭიდვარე ელერესად თეატრალური ნაწარმოები, რომელშიც მუსიკალურ-სცენური მოქმედება მწარდი დინამიკიით ვითარდება. ოპერეტა „მარიცა“ ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი უნარიაონის მხატვრული მონაცემებისა და პროფესიული დონის გამოყენების წარვალ შესაძლებლობას იძლევა.

თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტების ნაშრომებთან კარგი შობებელილება დასტოვა. ჩანდა, რომ სცენაზე იყვნენ ნიჭირი ახალგაზრდები, რომლებსაც პედაგოგების ხელმძღვანელობით გულმოდგინე მუშაობა ჩაუტარებოდათ და ამიტომაც დაძმდეს სირაოლიდები.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ: მ. ვანშექე (მარიცა), გ. კინურაშვილი (ბასილი), ლ. რიჯაიკი (როსე), შაი უშუალობილია და გულწრფელობით გახსნეს მჭიდვართა ხასიათები, გვაგარძომიზნეს შაიი შინაწანი სამყარო, ეს ახალგაზრდები სერიოზული შემოქმედებითი განაცხადით წარმოსდგნენ.

ოპერეტის სახასიათო სახეები ნამატრეტოსოდ წარმოვადგინეს ე. ბანქელეტი (ქალბატონი ბოკენა) და გ. ვეიშვილი (პოპულენკუ), აგრეთვე მ. ქართველიშვილი (ჩეკოვი), ა. გიქიამ (ბოშა ქალი ზაა), ი. მებონიამ (ზუპანი), ვ. კონივარამა (კარლი), ვ. აბლითიამ (ბენიჩიე) და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ სპექტაკლში მონაწილეობდნენ დადუნტის ასს რესპუბლიკის ახალგაზრდები, რომელთაც თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური განყოფილების II კურსის სტუდენტები არიან: ა. ასელდეროვა, ლ. უსოვა, ვ. შერბოვა, მ. მაგვიდლოვი, მ. იშანულოვი, მ. კაივეგი.

სპექტაკლ „მარიცა“ დამსწრე საზოგადოების ენაყოფილება დაიმსახურა, მან ცხადეკო რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური განყოფილების ნაყოფიერი მუშაობის კარგი შედეგი.

მ. კვანდალიანი



ჩუბთაველი და ქართული მხატვრები

მისელო თოფურია



„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

სხვა საქართველო არსად არის, ეს მართალია, მაგრამ ისიც სწორია, რომ საქართველო მაღალნაციონალური შემოქმედთა ცხელი გულების აღმონახეობიანია. შოთას სამშობლოს სიღამაზე და სიდიადე ჩვენს ისტაბილს კალმით და ყალმითაც ამღერებულა. რუსთაველის სამშობლოს ხობტა ვაისმა ახალ ცხოველხატულ პეისავებშიც, რომლებიც ელენე ახვლედიანს, ზახისონ ხუნდაძეს, ელენე კალანდაძეს, გვი თოთიძეს, ლეოპოლდ მაძამიძეს, მიხეილ ხვიტიას, პეტრე დათეაშვილს, მამია ახობაძეს და სხვებს მშობლიური კუთხის ცოდნითა და სიყვარულით შეუქმნიათ.

დახა, სად არის კიდევ სხვა ასეთი კუთხე, ესოდენ უტურფუსი, ქვეყნის ელენე დიდებული მოსახნათ მიერ.

ასე იტყვიან და იტყვიან გზისანი, რომელთაც უნახავთ საქართველოში მეფური ზეიმით მზის მობრძანება: „აჰ, ამ მხარეში დაუდგამს ბუნების ძალას ცხოველი მზის სამეფო ტახტზე“.

— „ეს ჭეშმარიტად ასეთი“ — გემოტიკებენ ჩვენი მხატვრები: საღვრად თვითმყოფად, ფაქიზი და ძლიერი ხელოვანი ნათელა იანქოშვილი, დახვეწილი მხატვრული გემოვნებით და ისტაბილთა გამორჩეული კონსტანტინე ჭანკვეტაძე, დიდი შემოქმედებით გამოცდილი სვერიანი მისაშვილი, პეტრე მტკვრელით გამორჩეული ლევან ეკუტერიძე, ქართული მხატვრობის ახალი ყლორტი თეიმურაზ გოცამე და სხვებიც.

იანქოშვილის დიდებული „ოინათინი“ გვაგონებს აისს, მზის ამოსვლას წინ რომ მიუძღვის.

კონსტანტინე ჭანკვეტაძის ფუნჯით ნაძერწი „როსტევიან მეფე“ საქართველოში ზეიმით მობრძანებულ მზეს ჰგავს უუუოდ.

მისაშვილმა „ოინათინის გაუმეება“ მზის სხივების უხვ ფრქვევასაც მიუძღვნა ალბათ.

„დიდების მიწში“ ახალგაზრდა თეიმურაზი გულწრფელად უმღერს ქართული მზის სიდიადეს და უკვდავებას.

მის უმძლავრობა მძლავრობა საქართველო მრეკვარეობა. მზის ტახტი, ცამდე ატანილი, ლაშაში, ბრწყინვალე ტახტი საქართველოს ზვიად მათა მწვერვალებითა.

ვის არ მოხიბლავს დიდებულება ამ დარბაისელი გოლიათისა, რომლებსაც დიდამიწის ანთებულ გულში ფეხევი გაუდგამთ და თავისი მარადიული თეთრი სარკველით ზეცას სწვდებიან.

საქართველოს მაღალი ზეცა გვირგვინია ამ საოცარ გოლიათთა მიწიერების, იგი არის მათი სულის, კეთილი სულის მიწიერი ძლიერების გამომსახველი, ძლიერებისა, რომელიც—

„მხოლოდ კარგსა მოავლენებს და ბოროტსა არ დაბადებს, აესა წამერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად

გააკვლადებს, ზეცისა და მიწიერის თანაბარ და განურჩეველ ძალათა ურდევ კავშირშია ძალა კეთილის: „

„ლეკვი ღობისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

რობერტ სტურუას კარგად ესმის ეს აზრთა აზრი შოთას პოემისა. ამ აზრიდან გამომდინარე მისთვის ჩვეული საოცარი სინატიფით, და ეპიკურობით დახატა სახე „მეფისა მზის თამა-

რისა, დაწე-ბადანხ, თმა-გიშერისა“, დახატა შოთაც, რომელიც გავიხსენებ:

„მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის მობრძინებს ჯარი სპათა, მისთვის ვეყოლო, მისთვის მკვდიარი“

თამარს დიდებულს, თამარს ძლიერს, ხვადი ღობის თანასწორ ღობს „ვის მორჩილობს ჯარი სპათა“ ვხედავთ ფრიად ნიჭიერ იოსებ ჭიაბავს, ჭედურბობის ამ მძლავრი მოსტატის ღრმად შთამბეჭდავ ჭედურფლოშიც.

შოთას მიწერი და ციერ ძალას შესტატყვისი ძლიერებით გამოსხავს დადგარ ბოროტების მერე ფილაც.

ზეცისა და მიწიერის დაუთრგუნავ კავშირშია ძალა კეთილის, მათი ლტოლვა ბოროტების შესამუსარავად ერთია და გადუყოფელი.

ამას მტკვრელებს თეიმურაზ გოცამის ჭეშმარიტად ღამათი და შოთას აზრის ნათელ სხეუმი ნახანი ფერწერული სურათი „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“.

დაუწოდებელი და დაუცნობელი ბოროტი უტევს სიყვარულს „ადამიანს რომ აღამაღლებს“, უტევს და გზას უღობავს მას გამარჯვებისაკენ. სიყვარული მოითხოვს და ბრძანებს პირისპირ დადგარ ბოროტების განადგურებას. თეიმურაზის ყალმით ნესტანი განრისხებული სიყვარულის ჭალღმერთად იქცევა და ტარიელს, კეთილის ძალთა შემცველს აგზავნის თათბირ ბრძანების აღასრულებლად.

დახა, ზეცისა და მიწიერის გაუთიშვად და გადულობავ კავშირშია ძალა კეთილისა.

და ამ აზრის მავალ და უბადლო პოეტურ სახეს უთუოდ საქართველოს ბუნებაში ხედავდა შოთა: „შავმა ღრუბელმა გადაფარეს საქართველოს მავალი ზეცის წინა და ლაყვარდი. განრისხებულმა ზეცამ ღრუბლებს შემზარავი ელვა სტყორცნა და ელვას გრჯიერება მიაღწევა ტარიელის საფის მავარი.“

არბილდენ ბოროტების დასალხვარებად.

აწე მტერი იყო ჯაბანი და ძალუქონელი, კეთილს შეება გულკლდანიანი შავი მღვივით:

„ღვეთა ყვირილი, ძახილი ზეცამდის აიწყოდა; მათის ლახტის ცემითა ქვეყანა შიერყილია; მუე დაანბნულს მტვერითა, ალვის მტო შიერხილია“.

და განა არ შიერს ალვის მტელები ცუცხლოვანი გრძობით დამუხტულ დიმიტრი ყიფშიდის მძლავრ ქართულ ძარღვიან ჭედურფლოში „კართი დალუწილი ზეცა“? აჰ! ცის ძახილის იმისი და მიწის ყვირილი. აჰ ბუნების ლახტის მოქნევა ჩანს და მიწის შერყვანაც.

მეფეთა და ქაჯთა ჯანყის საშინელება ჩანს ახალგაზრდა გივი ვაჟაშვილის მხატვრულსახოვან და მეტად შთამბეჭდავ მინიატურაშიც.

მაგრამ კეთილმა მანაც სძლია ბოროტს.

„ასი ერთ კერობთ მომიხსნეს, დავგრიწე, დაიხეოდა“.

ამასვე ამბობენ და მერე როგორ ძალით, ჭედურბობის ჯადოქარის, დიმიტრი ყიფშიდის ხელით გამოსაჭედი „ბოროტის დამორყვოლში კართი დალუწილი ზეცა“? აჰ! ცის ძახილის ტარიელიც, რომელიც მათრახით მიაპობს ღრუბლებს და „ზეცით ანაფერისა“ აავს.

და, აი, ანგარად. შვე ღრუბელთა დაშლილი ჭარავანი ღმირით ხევი ქარს გაკავდა და ჩქარა გააქრა მზის სხივების სიმურყალოში.

მზემ არით მისცა შუასა ღრუბლებს თავშესაფარი: „რადა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.

გამობილად და კეთილის მშვიდი ნათელი გარდაეფინა საქართველოს ლამაზ ბუნებას, და ეს ნათელი, ეს სიმშვიდე აქ იმდენადაა უხვი და დიდი, რომ ბნელ გრძობითა, მზაკვეულ ახრთა აღმოსთხვავ არ ძალუბს ბოროტს.

და რომ ბოროტს არ ძალუბს ჭეშმარიტი ადამიანის სულის დათრგუნვა განა ეს არ ჩანს ნ. იანჭოშვილის ფორმით ნატიფსა და შინაგანად საოცრად ენერგიულ, კოლორისტულად მკაცრ, მაგრამ ყოვლის კარგისა გამომწვინებელ გრაფიკულ ქმნილებებში შოთას პოემის თემაზე.

კეთილის ძალა განა არ ჩანს ლევან ცუცქერიძისეულ, თავისებურ და უდავოდ მაღალნიჭიერ ილუსტრაციათა კრებულში, ს. შინაშვილის დახვეწილ ფუნჯით და ფორმის სიცხადით დასურათებულ „ვეფხისტყაოსანში“, თეიმურაზ გოცაძის უაღრესად კოლორისტულ და ღრმასროვან ფერწერულ ქმნილებათა სურათში?

და საერთოდ, განა არ ჩანს კეთილის ძალთა უხვი ნამოქმედარი შოთასადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა იმ დიდ კრებულში, რომელთა შემქმნელნი არიან უნა ჯაფარიძე, ლადო გულაშვილი, გრიგოლ ჩიჩინაშვილი, ემირ ბურჯანაძე, ანთიმოზ გიორგაძე, კობა გურული, გურამ გაბაშვილი, თამაზ დედეღარიანი, ალექსანდრე ვეფხვაძე, ივანე ვეფხვაძე, რევაზ კეჭელაძე, შოთა ნარიშკიაშვილი, ზუღუ სიბირიაძე, დიმიტრი კობალია, არსენ ფოჩხუა, ლევან ქურციკიძე, ნუკრი შავგულიძე, ვლადიმერ კანდელაკი და სხვ.

დაიხაც სჩანს, და მერე როგორი ძალით! აჰ და, შოთას მზის ნათელი საქართველოში კვლავაც მეფობს, კვლავ თინათინებს:

„აქედან ისე სამეფო შენი არს მართ მონდობილი, ხარცა ბრძანად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!“, „ვართდა და ნესეთა ვინადგან მზე სწორად მოუფინების, დიდთა და წყრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების! უხვად გასცემი, ზღვათაცა შესიანს და გაედინების“, „რასაცა გასაცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ჭეშმარიტად, არ არის დაკარგული სიყვარულის ელვარე გრძობა და მაღალი ნიჭი, რაც საქმის ბრძანად მქმნელებს ლადო გულაშვილს, ნათელა იანჭოშვილს, კონსტანტინე ჭანკვეტაძეს, ლევან ცუცქერიძეს, თამაზ დედეღარიანს და გივი ვაშაყიძეს „თინათინის გამეფებაში“ ასე უხვად ჩაუქოვიათ.

ო, რა ტურფთა საქართველო და რა მდიდარი მისი ბუნებით, შრომითა და შემოქმედებით.

აქ, ამ მხარეში დღესაც დგას შოთა მითინათინე მზის სიდიადით მოზიბული, დგას ჯადოქმინელი, როგორც ადამი მიწვიერ სამოთხის სიტურფეთა წინაშე.

აღმათ აქ, მხოლოდ აქ პირველად იხილა შოთამ „გაგის“ და მთავრებული კეთილი, რომელიც „თავსა მისსა უკეთესსა უნაღად-კჳსოვს, არ ახადებს“: აღმათ აქ, მხოლოდ აქ პირველად მოივლინა დიდ ქართველ მესიანს იგი კეთილი სრული სისავსით და ბრწყინვალეობით შრავალ სახეთა „მის მიერი-თა“.

უთუოდ აქ, აქ სთხოვა შოთამ კეთილს: „შენ დამიჯერე ძლივ მეც დარგუნვად მე სატანისა, მომეც მიჯურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა“.

ასე ფიქრითომ ჩვენ ყოფიშობისეულ შოთას იერსახით აღტაცებულნი, დიდებულნი იერსახით, ქართულ მიწაზე და ქართულ ზეცამდე რომ ამბობთულა ვითარცა სვეტიცხოველი.

ასე გვჯერა ჩვენ ამ ჭეშმარიტად ეროვნულ და დარბაისულ ნაქანდაკარისა, რომელიც თამარისეულ დიდუბის მიწაზე, შოთასადმი მიძღვნილ ქართველ მზაკვართა გამოფინის კარიბჭესთან თავის შვილებს და მათ სტუმრებს გულთან წვიმნიხუნებულნი მზიური ლექსით, სიბრძნით და სიყვარულით ეგებება.

ო, დიდი შოთავ, შენ თვით ხარ იგი კეთილი, ქართველთა და ყველა ხალხთა გულთა მხილველი, რომელსაც შენვე სთხოვ ადამიანთა სასიკეთოდ ძალასა და შეწევნას, შთაგონებასა და აღმაფრენას:

„აქ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება, — ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქმს, მივსცე გონება მით შეგეწინეთ ტარელს, ტურფადცა უნდა სხენება, მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“.


ო, დიდი შოთავ, ყოველივე კარგის მშობელი, შენ შთაგონე და აღმაფრენის მიეც შეწევნა ქართველ მზაკვრებსაც, ფუნჯით, სატურლით შენს სამთა გმირთა ძლიერებას რომ უზალობენ.

და მართლაც, ნათელა იანჭოშვილის მთითოვარე გული და მაღალი ხელოვნება კარვად შეერწყა, ბედნიერად შეუხმეტებლდა „მათ სამთა გმირთა მნათობთა“ შოთასეულ გაგებას.

ამიტომაც არიან იანჭოშვილისეული გმირები ასე ფაქიზნი და ამავე დროს ასე მძლავრნი და ეპიკურნი, ამიტომ ჰკვანან ისინი ქართულ ლამაზ და ზვიად მთებს, რომლებიც მიწაზე მკვიდრად დგანან და მაღლა ზეცას სწვდებიან.

უდავოდ კარცა თამაზ დედეღარიანის ქართული სულით გამოხატედი და რაინის ძარღვეკუნებში გამოასხული, კომპოზიციურად ერთმანეთთან შედუღებული „სამთა გმირთა“ მონუმენტური და ამაღლებული იერსახე.

დედგარიანისეულ შოთას გმირებს მართლაც რომ სჭირთ ჩვენთვის გასახარი „ერთმანეთის მონება“.



დიდა ძალა შოთას გმირებისა, ძალა მზესავით ცხოველ-
მყოფელი.

ალბთ მხოლოდ ასეთ ბუმბერაზთა სულის წილში მე-
ფოს კეთილი, შოთას გმირებს ჭემშარტიკი ერთგულების ურ-
ღვევ დავაბიბთ რომ ავაგშირებს და უსაქტაკეს სიყვარულით
რომ ადამალღებს:

„ხაშ მოყვარე მოყვინსათვის თავი ჭირს არ დამირბოდი,
გული მიცხეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად,
კვლავ მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უნდეს ჭირად დიდათ“.

შოთასეული ღირისის სურნელება და ადრია ძილის
მერთობურსოვანი, რადც სასიყვარულო და რბილი ჰაირი
ერთმანეთს შერწყმანს თ. გოცაძის მიერ დასურათებულ „ტარ-
იელის სიყვარულით დახედის“ ეპიზოდში.

უკურბთ ამ სურათს და გესმის სიყვარულის წმინდა საგა-
ლობელი.

წმინდა სიყვარულმა აღამალდა და შოთასეული ხმით ამ-
ღრა ნათელა ინაქოშვილის „ნესტანი და ტარიელიც“.

უკურბთ ამ სურათს და ჰმინჯილი გესმის შოთას სტრო-
ფები:

„ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგად მუშარ, ზულა შეიყარანს,
მზე რა ვარდა შეზოადგეს, დამწვინდეს და შუქი აჩნეს,
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხმანეს“.

შოთასეული ერთგულების ძალითა და სიღამაზით გამო-
სახა ამავე მზატვარმა ერთმანეთთან კვლავ შეყრილი „ტარიე-
ლი და ავთანდილი“.

მართლაც დიდა, ზღვასავით დიდი, ამ წარმეუხერელ
ზვიად მითა ბობოქარი სულის წვა და გულის დღელი.

შოთას გმირები საქართველოს მთებს გვაგონებენ, რომელთა
წვილა და დუცხბრუნვები დღელიის ძალას სამყაროს გახუდმე-
ნით ამგნობს მათი პირმშო, მათი მოსაძლას გამოძინარენი

„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“.

მთების შვილი ღრლითი ებრძვის გულჭკა კლდეთა სი-
წირველს, ვით ყიფშიძის ხედი ვეფხი გაზეხებულ.

იგი ლაღობს, როგორც „სმელი ტარიელის“, კლდეთა გამ-
პობი, იმავე ყიფშიძის გამოჭედილი. სიბრის და ანგრევის, მი-
ქართული ესტრადის დონე, რომელიც მიღწეულია ძირითადად ახალგაზრდა შემოქმედთა ენერგიით, ინიციატივითა და მონდომებით, შეიძლება სადღისოდ საგანგაოსი არ წარმოადგინდეს, მაგრამ უნდა გაევიფასოწინით ესტრადის განვითარების პერსპექტივები და ტემპები. საჭიროა ვიზრუნოთ ესტრადის სვალონდელ დღეზე. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისთან უნდა შეიქმნას სპეციალური სასწავლებელი. თუ დროულად არ ვიფიქრებთ მსახიობთა ახალი კადრების აღზრდაზე, შეიძლება ქართული ესტრადა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

რ თ ვ ლ ი პ რ ო ბ რ ა ე ი ი



ანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველი მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა სიმფონიური კონცერტი შედგა. ნიჭიერი ნორჩი მუსიკოსები რთული პროგრამით წარადგინენ აუდიტორიის წინაშე. შესრულებული

იქნა ბერკოვიჩის, მოცარტის, კაბალევის, ბახისა და დ. ჩხვიდის ნაწარმოებები. მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს: II კლასელმა და დავლიანძემ, III კლასელმა მ. მახარაბიანიშვილმა (რესპ. დამს. პედაგ. ხალათოვას კლასი), IV კლასელმა ნ. კაკელიამ (ბიბი-ლურის კლასი), V კლასელმა ქ. გაგინ-

ძემ (კორტინევესკაიას კლასი), VI კლასელმა გ. წერეთელმა (არონიშვიტის კლასი) და VII კლასელმა თ. ჩიქობავამ (ე. ფიცხელაურის კლასი).

კარგმა საშემსრულებლო ტექნიკამ, ნაწარმოებთა გააზრებულმა შესრულებამ ცხადყო, რომ I მუსიკალურ სკოლაში გამოცემული პედაგოგების ხელმძღვანელობით ქართული მუსიკალური ხელოვნების საინფეო მომავალი კადრები იზრდებიან.


სასტუმროები

პრეზიდენტურა

ჩეხოსლოვაკიაში

ნინო ლორთქიფანიძე

სასტუმრო „კონტინენტი“
ტალინ ბრნოსი



ამხრეთ მორავიის მომხიბლავი ბუნება, დაბურული ტყეებითა და განთქმული ნაკრძალებით, ბაროკოს და რენესანსის სტილში აგებული სასახლეებით, მონასტრებით და ციხე-სიმაგრეებით, შუასაუკუნეების ქალაქებით და საიდუმლოებით მოცული მაცხოხის სტალიქტიდური გამოქვაბულებით ათასობით ტურისტს იზიდავს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ყოველწლიურად იზრდება სტუმრების რიცხვი საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე, რომელიც ეწყობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში, სამხრეთ მორავიის მთავარ ქალაქ ბრნოსში. ამიტომაც აქ ოტელების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა ჩამოსულთა მოთხოვნილებას და სტუმრებს ზშირად სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში, ზოგჯერ კი ოჯახებშიც ათავსებდნენ. ბუნებრივია, წამოიჭრა საკითხი თანამედროვე დიდი სასტუმროების მშენებლობის შესახებ, რის შედეგად 1958—64 წლებში აშენდარი კომფორტაბელური საერთაშორისო ოტელი — „ინტერნაციონალი“ და „კონტინენტალი“.

თექვსმეტი შესაძლებელი ვარიანტიდან სასტუმრო „კონტინენტალისათვის“ ამორჩეული იქნა ადგილი ქალაქის ცენტრში, სადაც მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. ამ რაიონის თავისუფალი გეგმარება საშუალებას იძლევა მომავალში სასტუმროს მიდამოებში შეიქმნას პარკი. 1958 წელს პირველად დაიწყო სამშენებლო ადგილის გრუნტის გამოკვლევა. მშენებლობის პროექტშიც კი ავტორი—არქიტექტორი ზღუენე ჟიპაკი და თანაავტორები სემელა და კოვარჟიკი განაგრძობდნენ პროექტზე მუშაობას მისი სრულყოფისათვის.

ოტელი თხუთმეტსართულიანია, აქედან პირველი ორი სართული განკუთვნილია საზოგადოებრივ საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოებისათვის, თორმეტი წარმოადგენს

საცხოვრებელ სართულებს, ხოლო მეხუთმეტეზე მოწყობილია ვერტმფრენების ბაქანი.

სასტუმროს გეგმა სამფრთიანია, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ოტელისათვის განკუთვნილი მცირე ფართი და ყველა სათავსო განათდეს პირველადი სინათლით.


სასტუმროს შესასვლელთან მოწყობილია ავტომანქანების დია სადგომი. პირველი სართული, ისევე, როგორც საერთოდ საცხოვრებელი სართულები, სამფრთიანია. ამ დონეზე მთავარი ევსტიბიული, ბარი, რესტორანი სამზარეულოს ბლოკით, მომსახურე პერსონალის სათავსოები.

მეორე სართულზეა აღმინისტრაცია, საწყობები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტადიაში ამით ამოიწურება მომსახურების კვანი. თუ მხედველობაში მივიღებთ სასტუმროს საერთო მოცულობას და ტევადობას, რა თქმა უნდა, მომსახურების სისტემა უფრო ფართო უნდა იყოს. პროექტით ეს იყო გათვალისწინებული და მომავალში აპირებენ რესტორნის გაფართოებას, კაფეს და მთელი რიგი დამხმარე სათავსოების მიშენებას.

ვერტიკალური კომუნიკაციები თავმოყრილია შენობის ცენტრში. სართულები ერთმანეთს უკავშირდება სამი სწრაფ-მავალი ლიფტითა და საპარალელ კიბეებით, არის სახანძრო კიბეებიც.

საცხოვრებელ სართულზე ცხრაამეტი ნომერია, აქედან ათი ერთსაწოლიანი, ცხრა ორსაწოლიანი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ბრნოს სახლ ოტელეებში პროცენტულად სჭარბობს ერთსაწოლიანი ნომრების რიცხვი. ნომრების ტრანსფორმაცია საშუალებას იძლევა გასაშვლად საწოლების ხარჯზე გაიზარდოს სასტუმროს ტევადობა.

სამფრთიანი გეგმის გამო ყველა ნომერს არა აქვს კარგი



სასტუმრო „ინტერნაციონალი“ ბრანსო

ორინტაცია, თუმცა სასტუმროს ეს შეიძლება არც თამაშობს გადამწყვეტ როლს.

შიდი კედლების კონსტრუქცია განივია, მალი მთელ შენობაში ერთია. ნომრები მოთავსებულია განივ მზიდ კედლებს შორის. ერთსაწოლიანი ნომრების ფართი მექანიკურად შემცირებულია ლოჯიის ხარჯზე.

ორივე ტიპის ნომრებში დამხმარე სათავსოები ანალოგიურია.

გემოვნებით არის შესრულებული სასტუმროს საზოგადოებრივი ნაწილისა და ნომრების ინტერიერი. მთავარი ეესტიბიული დიდი არ არის, მაგრამ მინის კედლები სივრცის შიდაგვიდობას ქმნის. ფლეთილი ქვის იატაკი, ალვა-ალვაგ რბილი ნოხებით მოფენილი, კედლებიდან ჩამოშვებული ტროპიკული მცენარეების ტოტები, სუვენირებიცა და ჩუხური მინის ტრადიციული გამოფენა, რბილი, გაზნული სინათლე ვესტიბიულში მყუდრო, ეგზოტიკურ განწყობილებას წარმოშობს.

საინტერესოა ბარის ინტერიერი, შესრულებული ნაცრის-ფერ-თეთრ-შავ ტონებში. საერთოდ ეს კოლორიტი დამახასიათებელია მთელი შენობისათვის.

ხორკლიანი, უხეში ზედაპირის კედლებში დატანებულია ნიშები თეთრი ბეტონის თაროებით. ნიშებში მოთავსებულია განათება სასამოწონო ელფერს აძლევს გამოფენილ კერამიკას. ისევე როგორც ვესტიბიულში, აქაც ფლეთილი ქვის იატაკია. ავეჯი თანამედროვეა, მსუბუქი.

რესტორანი რამდენიმე საფეხურით დაბლაა, ვიდრე ვესტიბიული, შენობის საერთო მასისაგან წინ წამოწეულია თექვსმეტი მეტრით. გადახურულია ათი სანტიმეტრის სისქის გოფირებული ბეტონით, კედლები მინისაა და ლითონების ჩარჩოები ექვემდებარება გადახურვის საერთო რითმს.

ინტერიერები არ არის გადატვირთული. ნომრებში თვალს არ ღლის ავეჯის სიმრავლე. აქ არის ის მინიმუმი, რაც აუცილებელია სტუმრისათვის, ავეჯი თანამედროვეა, მსუბუქი, დაბალი. მასალად გამოყენებულია აფრიკის მსხლის ხე, ან შედური არყი. იატაკი დეფარულია მილიანად სინთეტიკური ნოხით.

სასამიწონოა განათება, არის მხოლოდ კედლის ბრა და მაგიდის რამდენიმე ნათურა.

ვესტიბიულს, საართულის კოლმება და ოთახებს ამშვენებს მორავიის მხატვართა ტილოები.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი სასტუმროს მოცულობა. სამფთიანი შენობის ყველა სიბრტეე ორიენტაციის გამო სხვადასხვა სიძლიერით ნათდება. ნეიტრალური ტონების საერთო გამა ხელს უწყობს შენობის მთლიანობას. ფასადში იკაფოდ ჩანს შენობის ვერტიკალური და პორიზოტალური კონსტრუქციები. საამშენებლო მასალები გამოყენებულია მათი ბუნებრივი სახით. სასტუმროს მთავარ შესასვლელთან აუზია, სკულპტორ ზ. ზოუბეკის ათმეტრიანი აბსტრაქტული ქანდაკებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესტორანი წინ წამოწეულია საერთო მასიდან, მაგრამ ეს მეტად სუსტი ლაქაა მთელი შენობის მოცულობასთან შედარებით. შეიძლება, მომავალში, მომსახურების კვანძის მიწეგების შედეგად ეს ნაკლი შეუმჩნეველი გახდეს.

როგორც აღვნიშნეთ ოტელი „კონტინენტალი“ და „ინტერნაციონალი“ შენდებოდა ერთდროულად.

„ინტერნაციონალის“ პროექტის კონსტრუქცია კრიზა და კრამილივი. თანავეტორები — კოპეცკაია, კაშპარი, ბრაბეტი და პოლუჟი.

სასტუმრო მდებარეობს ქალაქის შუაგულში, ძველი ციხის შიპობერნის მახლობლად ვესიოლაიას და ჰუსის ქუჩებს შორის. შენობის პორიზოტალური კომპოზიცია ხაზს უსვამს შიპობერნისა და პეტრე-პალეს ტაძრის ვერტიკალურ სილუეტებს, არ არღვევს ახლომდებარე გუთური არქიტექტურის საერთო ანსამბლს.

საერთოდ, ჩემოსლოვაკიის არქიტექტურისათვის დამახასიათებელია შესაბამისობა ძველსა და ახალ არქიტექტურას შორის.

ოტელი მოხერხებულად უკავშირდება ქალაქის მნიშვნელოვან პუნქტებს. ვესიოლაიასა და ჰუსის ქუჩების სილუეტთა თავისებურ ელფერს აძლევს სამ საართულს, სადაც მოთავსებულია ძირითადი მომსახურების კვანძები და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსოები. შექმნილია ტერასები და შიდა ეზოები, რომლებიც უკუროდებიან ინტერიერს მექანიკურად გასასწვლი კედლების საშუალებით.

რელიეფის გამო სასტუმროს პირველ და მესამე სართულზე შეიძლება მოხვედრა უშუალოდ ქუჩიდან. რელიეფი გამოყენებულია აგრეთვე გადახურული გარაკის მოსაწყობად. „კონტინენტალისაგან“ განსხვავებით — „ინტერნაციონალს“ მომსახურების ძლიერი კვანძი აქვს. თერთმეტი საართულიდან სამი ეიობა ამ დანიშნულების სათავსოებს.

მთავარი ვესტიბიული მოხერხებულადაა დაკავშირებული კავესთან, ატრიუუმთან და საბანკეტო დარბაზებთან. კაფე და შიდა ეზო გასსწალი კედლების საშუალებით ერთდება. ქვედა საართულში მოთავსებულია რესტორანი სამზარეულოს ბლოკით, დღნთვა სხვაობა საშუალებას გვაძლევს რესტორანში და დამის კლუბში მოვხვდეთ სასტუმროს ბლოკისაგან დამოუკიდებლად, პირდაპირ ქუჩიდან. საწყობები მოთავსებულია

სარდაფის სართულზე. აქედან პროექტები ნაწილდება ლიფტების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი სათავსოების სიმრავლე გარკვეულ სირთულეს ქმნიდა, ავტორებმა შესძლეს მიეტანათ გვერდისათვის მკაცრი ორგანიზაცია. მაკალითად, მომსახურე პერსონალის სათავსოები სრულიად იზოლირებულია სასტუმროს სხვა ჯგუფებისაგან და აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი. ამგვარად, ისინი სტუმრებს ხედებიან მხოლოდ მომსახურების პროცესში.

ოტელი 160 ერთსაწოლიანი და 133 ორსაწოლიანი ნომერია, აგრეთვე 8 ლუქაი. ნომრების უმრავლესობა გააკურებს შპილბერნს.

სართულები დაკავშირებულია სამი სწრაფმავალი ლიფტითა და კიბეებით, არის აგრეთვე ხუთი სატვირთო და ერთი სპეციალური ლიფტი თეთრეულისათვის. მეტად საინტერესო არის გადაწყვეტილი რესტორნის და მის წინ მდებარე ვესტიბული, ღამის კლუბი და კაფე შოკა უსოთი. რესტორნის დარბაზი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სინათლით და სისადვიტო. დარბაზს ორ ნაწილად ჰყოფს მოხდენილი მინის პანო, რომლის ავტორია სკულპტორი კლიპერი, ავტორმა შესძლო შეექმნა ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები. იგი ათი წელი მუშაობდა პანოზე, რადგანაც მინა მოითხოვს ფაქიზ და ფრთხილ დამუშავებას.

ღამის ბარის ინტერიერი შესრულებულია მუქ ფერებში და ქნის სრულ კონტრასტს რესტორნის ინტერიერთან. აქ სინათლის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ მოზაიკური კედე-

ლი და ქვემოდან განათებული საცეკვაო მოედანი, რომლის გარშემო მაგიდებია განლაგებული.

კედლების მოზაიკის, სკულპტურული ჯგუფებისა და შიდა ეზოების შექმნაზე მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები, არქიტექტორები, კრამიოსები, მოქანდაკეები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ინტერიერს აკლია სიმარტივე — გადატივრთულია ფერებითა და მასალებით.

ფასადები შესრულებულია ბეტონის, ალუმიინისა და მინისაგან. კომპოზიცია პორიზონტალურია. შენობას ფერწერულ ელემენტს ანიჭებს სამი პირველი სართული თავისი დონითა სხვაობითა და ტერასებით. პლასტიკისა და არქიტექტურის შერწყმამ „ინტერნაციონალს“ მისცა სრულყოფილი, დამთავრებული სახე. ოტელის მომსახურება ითვისწინებს სტუმრების ყველა მოთხოვნილებას. აქ მოწყობილია მუდრო კაფეები, კინო, კონერტის დარბაზი, რესტორანი და ღამის კლუბები, ხდება მოდელების დემონსტრაცია. თარჯიმნები, სტენოგრაფისტები და გიდები მზად არიან სტუმრების სამსახურისათვის.

მომსახურება ითვალისწინებს უამრავ წვრილმანსაც კი, მაგალითად აქ სწრაფად კეირვენ შაგვეთი ტანსაცმელს. ნომრის ღირებულებაში შედის დილის საუზმე, რომელიც შეიძლება მოთხოვო ნომერში. ხდება აგრეთვე ავტომანქანებისა და საბეჭდო მანქანების გაქირავება. ტურისტული ფირმა აწყობს ექსკურსიებს ქალაქში და ქალაქგარეთ, ძეგლებისა და ადგილების დათვალიერების მიზნით.

„ინტერნაციონალს“ ეკუთვნის „ა“ კლასის ოტელებს და სამართლიანად ითვლება ყველაზე უფრო კომფორტაბელურ ოტელად შუა ევროპაში.

ქართული თეატრის ღილი მოკაგა

ავთანდილ თელია



ართული თეატრის ორგანიზატორის გიორგი ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შექმნილი მუდმივი თეატრალური დასი დაიშალა. გავიდა წლები და სცენისმოყვარეების მიერ თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც იმართებოდა ქართული წარმოდგენები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში შინაურ ხასიათს ატარებდა.

ამ დროისათვის ქართული წარმოდგენების გამართვა დიდ სიხდრებას იყო დაკავშირებული. 1865—1875 წლებში, თათქმის 9 წლის მანძილზე გაიმართა სულ რაღაც 30-მდე წარმოდგენა, რაც სცენისმოყვარეებს 1570 მანეთი დაუშავაო.

მიუხედავად არსებული ეკონომიური სიხდრეებისა, თბილისის ქართველ საზოგადოებას შორის მწიფდებოდა მუდმივი ქართული თეატრალური დასის შექმნის საკითხი.

1878 წლის დასაწყისში თბილისში შეიქმნა პირველი

ქართული სცენისმოყვარეთა წრე. ერთი წლის შემდეგ, 1879 წლის დასაწყისში, ამ წრემ მუდმივი თეატრალური დასის შექმნისათვის აირჩია თეატრალური კომიტეტი დიმიტრი ვიფიანის, გ. თუმანიშვილის, ა. სარაჯიშვილისა და ი. ბაქრაძის შემადგენლობით.

კომიტეტის გაანგარიშებით მუდმივი თეატრალური დასის შექმნასა და მისი საჭირო ინვენტარის მომსახურებისათვის დასაწყისში დასჭირდებოდა სულ ცოტა 5000 მანეთი, ასეთი დიდი თანხის შოვნა საკმაოდ ძნელი იყო. ამიტომ კომიტეტმა ურჩია სცენისმოყვარეთა წრეს, შეექმნათ ამხანაგობა, რომელიც იკისრებდა მუდმივი თეატრალური დასის შენახვას და გასამრჯელოდ თეატრის შემოსავლის გარკვეულ პროცენტს მიიღებდა. ამავე წლის 11 აპრილს შეიკრება სცენისმოყვარეთა წრის 14 წევრი და კომიტეტი ამხანაგობად გარდაქმნა. ამხანაგობაში დამატებით შეიყვანეს ი. ჭავჭავაძე, ი. მარაბელი და დ. ერისთავი.

ამხანაგობას იმედი ჰქონდა მუდმივი დასის შექმნისა და მათ უზრუნველყოფის საქმეში დიდ დახმარებას გაუწევდა

თბილისის გუბერნიის თავადანაწართა საადგილმამულო ბანკი, რომელსაც წესდების 90 პარაგრაფით, უფლება ჰქონდა სასოფადლოებრივი საკურორების დასამკაყოფილებლად გაეცა გარკვეული ნაწილი. თბილისის საადგილმამულო ბანკის სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ ამხანაგობის წევრიც იყო, ამდენად თეატრალურ ამხანაგობას ბანკიდან ფულით მიეზდა არ გაუძღვებდებოდა.

1879 წლის 23 აპრილს, თეატრალური ამხანაგობის წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი თუმანიშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის მმართველობას: „იმის გამო, რომ ცოტა ხნის წინად, შეიქმნა თეატრალური ამხანაგობა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მოძრავი თეატრალური დასის შექმნის საშუალებით ახლო მომავალში დააარსოს მუდმივი ქართული თეატრი, უშუალო მას თეატრალური ნივთები და დაცემარის რეპერტუარის შექმნაში, არ გააჩნია სახსრები თავისი სასოფადლოებრივი მიზნების განხორციელებისათვის, ამიტომ რადან თბილისის გუბერნიის თავადანაწართა საადგილმამულო ბანკს თავისი წესდების 90 პარაგრაფით აქვს უფლება დაამკაყოფილოს გუბერნიის მოსახლეობის სასოფადლოებრივი მოთხოვნილება თავისი დივიდენდიდან, (წმინდა მოგებინდა ა. თ.) გიხოვრე, ბანკის წესდების 83 პარაგრაფის საფუძველზე, რომ მოიწვიოთ ბანკის წევრთა საერთო კრება და მისცეთ ბანკის ზედამხედველ კომიტეტს უფლება, სუბსიდიის სახით მოგვეცეს 3000 მანეთი უჩემოსნებულ თეატრალურ ამხანაგობას, რითაც იგი ეწინააღმდეგება თავისი მიზნის განხორციელებას. ზედამხედველი კომიტეტი მიიღოს რა ამის უფლებას, შეუძლია გაატაროს შემდეგი დივიდენდის მიზნით: შეიყვანოს თეატრალურ ამხანაგობაში თავისი რომელიმე წევრი ბანკის მიერ გაცემული თანხის სჯორად ხარჯვის კონტროლისათვის. ამხანაგობის წევრები კისრულობენ შევცალონ უჩემოსნებულ სუბსიდიას გრძელვადიანი კრედიტით, მასთან ერთად ნასესხი თანხის გადახდებიანებისათვის პასუხისმგებელი გახადოს მთელი ამხანაგობა“¹.

ამავე წლის 30 აპრილს ბანკის მორიგმა კრებამ თავის სხდომაზე განიხილა გ. თუმანიშვილის განცხადება და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. ნათხოვნი თანხა გადაეცეს ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ქართულ თეატრალურ ამხანაგობაზე გადასაცემად, მხოლოდ მაშინ, როცა უზრუნველყოფილი იქნება დარწმუნდება იმაში, რომ თუ ეს ამხანაგობა გახდება თავდები თეატრალური საქმის სწორი ორგანიზაცია;
2. ფული გაიცეს უადლო და უპროცენტო. მაგრამ ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში ფული მთლიანად ისევ დაბრუნდეს ზედამხედველ კომიტეტს საერთო სასარგებლო დანიშნულების თანხის გასაძლიერებლად, ზედამხედველმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფულის დაბრუნება უნდა უზრუნველყოს ამხანაგობაში მის მიერ შეყვანილ პირის პირადი პასუხისმგებლობით.
3. თეატრის ამხანაგობას მიეცა განკარგულება წელიწადში სამჯერ ჩაუტარონ წიგნმოღვენა „თბილისის გუბერ-

ნიის თავადანაწართა სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა კომიტეტს“ სკოლის სასარგებლოდ².

ამრიგად ქართული თეატრის შექმნის საქმე ადგილიდან დაიძარა, თეატრს უკვე ყავდა საუკეთესო მოთავეები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, გააჩნდა აუცილებელი ფული და საშუალებანი, ამწვენიდა შესანიშნავი სცენის ვარსკვლავები — ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, კოტე მესხი, კოტე ყუფიანი და მრავალი სხვანი. ყავდა ამხანაგობა, რომელიც კისრულობდა მთელ მატერიალურ და ფინანსურ პასუხისმგებლობას, მოზღვადა როგორც ორიენტილური, ისე გადმოთარგმნილი პიესები. გამოჩნდა თეატრის შენობაც, რომელიც ამ პერიოდში დაამთავრეს ძმებმა არწრუნებმა და ქართულ გადასცეს ქართულ თეატრს. 1879 წლის 8 მაისს სცენისმოყვარეთა წრესა და თეატრალურ ამხანაგობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის შესაბამისად აირჩიეს კომისია ი. ჭავჭავაძის, დ. ერისთავის და ვ. თულაშვილის შემადგენლობით. მათ ევალებოდათ საუკეთესო პიესების შერჩევა და მათი ავტორების დაჯილდოება.

ი. ჭავჭავაძე, თბილისის გუბერნიის თავადანაწართა საადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარე და ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი, სხვა სასოფადლოებრივ საწყისებზე წყნობით მრავალი სასოფადლოების მუდმივი წევრი და მათი სულის ჩამდგმელი იყო. 1881 წლიდან იგი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, „თბილისის გუბერნიის თავადანაწართა სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა კომიტეტის“ წევრი, და სხვა მრავალ მუდმივ თუ დროებით სასოფადლოებაში დებულებად აქტიურ მონაწილეობას. ილია მიუხედავად მოუცულობისა, სიამოვნებით დათანხმდა ქართული თეატრალური სასოფადოების თავმჯდომარედ მის არჩევას, მას ჭეშმარიტად სწამდა, რომ ქართულ თეატრს შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა მისი ერისათვის იმ მიმდებარეს, როდესაც საქართველო სასტიკ ეროვნულ-სოციალურ ჩაგრვას განიცდიდა, ხოლო ჩვენი სასოფადოების ერთ ნაწილს ქართულ ენაზე ლაპარაკიც კი სირცხვილად მიაჩნდა.

ილია ამბობდა: „დიდი რამ არის სცენა, ძლიეს ერთი საჯარო ადგილი მინც გვექნება, საცა ჩვენი ერთი ვილხენთ, ჩვენი ერთი ვილხვლებთ. ამას გარდა სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, იგი ამ თავის თვისებებით კაცის გუნებაზე უფრო მედგრად მოქმედობს ვიდრე სხვა საქმე“... „...ჩვენი ჩვენს სცენას ორ დღავალს ვიხვობთ: პირველი, რომ მართლა გამწვანდელი იყუ ცხოველები, ჩვენი ჭკუასა და გულის განმანათლებელი. და მეორეც, იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფუნქცია უნდა წამოიდგეს მთელი თავისი მშვენივითა და სიმდიდრით“³.

ილიას დიდი საზრუნავი ქართული თეატრისათვის საკუთარი შენობის აშენება ან შექმნა იყო.

1880 წელს თეატრალური ამხანაგობის წარდგენით მთავ-

² ივერე, ³ ჟურნალი ივერია № 2, გვ. 133—135, 1870.

¹ ცსა ფონდი 394 საქმე, 11530 გვ. 2.

რობის მიერ დამტკიცებული იქნა ქართული დრამატული სა-
ზოგადოების წესდება, რომლის საფუძველზე 1881 წელს
არჩეული იქნა ქართული და დრამატული საზოგადოება ილია
ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. საზოგადოების გამგეობაში
შედიოდა: ა. წერეთელი, გ. თუმანიშვილი, ნ. ქანანოვი,
რ. ერისთავი, წ. ყიფიანი, კ. ყიფიანი. კანდიდატებად —
ეკ. გაბაშვილი, დ. ავალიშვილი. წესდებით დრამატულ სა-
ზოგადოებას დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. მას
შეუძლო შედგენა დასის, შეეძვნა თეატრის მსახიობთათვის
მოსამზადებელი სკოლები, აეშენებინა თეატრი, შეერჩია რე-
ჟისერტური და ა. შ. დრამატული საზოგადოების შექმნის
შემდეგ ძალა დაკარგა თეატრალურმა ამხანაგობამ და მთელი
ქონება, დარჩენილი ფული, ანგარიშები, არქივი და საერ-
ოთდ რაც გააჩნდა ამხანაგობას აქტიურ დრამატულ საზოგა-
დოებას გადაეცა.

1883 წლის მარტში ილიას მიანდევს თეატრის მმართვე-
ლობა, ქართული დასის შედგენა, წარმოდგენების ორგანიზა-
ცია, რეპერტუარის შერჩევა. ილია კიდევ უფრო მეტად ზრუ-
ნავს თეატრის შენობისათვის. მალე არწრუნების ქარვასლა
თეატრითა და კულუბა, ახვევ ბაღითა და ყველა დამხმარე
ოთახებით თბილისის გუბერნიის თავადანაურთა საადგილ-
მამულო ბანკის საკუთრებად გადაიტყა. ესლა უკვე ქართულ
თეატრს სასულიერა ემეოდა ფრთები გაეშალა, დაურეკო-
ლებლივ ემუშავა. მაგრამ აკაკის თქმით, ეს თეატრი ორჯერ
პატარა იყო, პალმის დიდ თეატრზე, სადაც რუსული და
იტალიური წარმოდგენები, ოპერები და ბალეტები იმართე-
ბოდა. თეატრს არ გააჩნდა ბანკებში, ორკესტრი, თეატრალ-
ური ნივთები და სხვა ინვენტარი, მაშინ, როდესაც პალმის
თეატრს ამ მხრივ ყველაფერი უზრუნველყოფილი იყო. ამ-
დენად, დღის წესრიგში დაიწვა საკითხი თეატრის შენობის
რეკონსტრუქციისა და რემონტის შესახებ. ილია ბანკის სა-
ზოგადო კრებაზე აყენებს საკითხს და აღდგენ პროექტს თე-
ატრის საფუძლიანი გადაკეთების შესახებ. მიუხედავად
მსხვილი ფეოდალური არისტოკრატის სასტიკი გამოლაშ-
ქრებისა, ილიამ შეძლო კრებას მიეღო გადაწყვეტილება
თეატრის გადაკეთებისათვის 30 ათასი მანეთის გადადების
შესახებ. 1887—1888 წლებში დამთავრდა ყველა სამუშაო
და ქართულ თეატრს უკვე კეთილმოწყობილი შენობა ჰქონ-
და. მაგრამ 1889 წლის ბანკის საზოგადო კრებაზე ილიას
მოწინააღმდეგეების აღშფოთება უკიდურეს საზღვრამდე
მივიდა, როდესაც მათთვის ნათელი გახდა, რომ ილიამ ნაც-
ვლად 30 ათასი მანეთისა, თეატრის რეკონსტრუქციისათვის
ბანკის წევრთა თანხმობის გარეშე 144.254 მანეთი დახარჯა.
საკმე იქამდე მივიდა, რომ ბანკის წევრთა დიდი ნაწილი,
განსაკუთრებით მდიდარი მემამულეები, ილაშქრებდნენ ბან-
კის ანგარიშის დამტკიცების წინააღმდეგ, მაგრამ ილიამ
თავისი გაიტანა. 1891 წელს თეატრმა მთლიანად აანაზღაუ-
რა ბანკის საკალმებულო ვალდებულებები და წინადა მოგება
დარჩა 137 მან.⁴ გამგეობის ანგარიშით ქარვასლის შემო-
სავალი რამდენიმე წელში დაფარავდა მთლიანად ვალებს
და შედეგ ბანკის საკუთრებაში დარჩებოდა ნახევარი მილი-

ონი მანეთის ქონება, რომლის ყოველწლიური შემოსავლი
40 — 50 ათასი მან. იქნებოდა, რაც ერს მოხმარებდა.

როდესაც ილია თავადანაურთა საადგილმამულო ბან-
კის კრებას სთხოვდა არწრუნისეულ ქარვასლის შექმნას და
მის გადაკეთებაზე სასტრუქტურის გაღებას, მთა ჯერ ერთი სურდა
თავადანაურთა სკოლისათვის (სადაც უსთავრებად გლეხე-
ბის, ხელოსნების და მუშების შვილები სწავლობდნენ) მტკი-
ცე ფინანსური საფუძველი შეექმნა, მეორეც — შექმნა და
გადაკეთებინა არწრუნისეული თეატრის შენობა და ამით
მატარებულად განმტკიცებინა ქართული თეატრული თეატ-
რის მუშაობა.

ორიოდე წელს ვანსო და მრავალი გავლენიანი მემ-
ამუღე დარწმუნდა ერის უწინამძღოლის შორსმჭვრეტელობაში.
ერთერთი მათგანი მოხიბლული ილიას ჭკუით, მსურველედ
იცავს ილიას საფინანსო პოლიტიკას საბანკო ოპოზიციის
შემოტყევისაგან და ბანკის წევრთა კრებაზე 1891 წელს
აღიარებს თავის დაშვებულ შეცდომებს: იგი ამბობს: „ბოლის
აღმორნად, რომ მე ვცდებოდი და შორს მჭვრეტელ ილია
ჭავჭავაძეს კი სთხოვ საქმისა აქვე ადრევე ჰქონდა დანა-
ხული.“⁵

არწრუნისეული მამულის შექმნა ბანკს სხვა მხრივაც
გამოადა, მას არ გააჩნდა საკუთარი ადმინისტრაციული
შენობა და ქირით იყო შეიზნული სოლოლაკის ქუჩაზე თავ-
და ყორანობის სახლში, ბანკის ოპერაციების გაფართოე-
ბის გამო ეს შენობა ვიწრო აღმოჩნდა.

1886 წელს საკუთარი მიწაზე, ფრინების ქუჩის მხრივ
ბანკმა ააშენა ერთსართულიანი შენობა. აქ ჰქონდათ საკმაოდ
ვრცელი დარბაზი გამგეობის სხდომებისა თუ საზოგადოებ-
რივ დაწესებულებათა წევრების შეკრებისათვის. ეს შენობა
მჭიდროდ არის დაკავშირებული ილიას თითქმის მთელ მოლ-
ვაწარმობასთან. აქ ბანკისა თუ სხვა საზოგადო დაწესებულებე-
თა კრებებზე გააფთრებული ბიძოლების ვითარებაში იტყუე-
ბოდა ახალი როზრესული იდეები, ცარიზმის სასტიკი კო-
ლონიური რეჟიმის ვითარებაში აქ წყვეტოდა ერის კულტუ-
რის, გეონომიკისა და მეურნეობის განვითარების საკითხები
და იტყუებოდა გზები მათი განვითარებისათვის. ამდენად
კარგი იქნება თუ ამ ისტორიულ სახლს გაუკეთდება მემორ-
იალური დავა და აქვე მიეწყობა ქართულ მესამოციანელ-
თა მუზეუმი ან მსგავსი სამეცნიერო დაწესებულება, რომე-
ლიც ასახავს გასული საუკუნის მესამოციანელთა ცხოვრებას
და მოღვაწეობას. მიზანშეუბონილი იქნება ამ ახალ დაწესე-
ბულებას გადაეცეს თბილისის გუბერნიის თავადანაურთა
საადგილმამულო ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამაყვრელებული საზოგადოების, თბილისის გუბერნიის თავ-
ადანაურთა სკოლების შეუღლებელ მოსწავლეთა კომიტეტ-
ტის, თბილისის გუბერნიის თავადანაურთა წინამძღოლის,
თბილისის გუბერნიის სასესხო სამშენსახველო ბანკების და
ყველა სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა არქივი, რომე-
ლიც დაკავშირებულია თერგდალულთა მოღვაწეობასთან.

იმ ვრცელ დარბაზში კი, სადაც ილიას დროს ტარდებოდა
საზოგადო დაწესებულებათა კრებები მოეწყოს სამკითხველო.

⁴ სსსა ფონდ 394 საქმე 224, გვ. 138—139.

⁵ გაზეთი „იერიია“, 104, 1891 წ.



საქართველოს ახალი გაზეთი

გაზეთი ჩინალაძე



იდი ქართველი კომპოზიტორი ჯ. ფალიაშვილი გ. ნატარაძისა და ჯ. ჩხიკვაძისთან, ა. ურავლიანთან, ი. კარგარეთიანთან, ნ. ქართველიშვილთან და სხვებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების საქმიანობაში (1905 წელს). ეს იყო პირველი საზოგადოება, რომელიც წლების განმავლობაში საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწეოდა. მის მთავარ მიზანს შეადგენდა ქართული სიმღერების შეგროვება, შესწავლა და პრეპარაცია, ეროვნული კადრების აღზრდა.

„საქარია ფალიაშვილის დღემდე უცნობი ხელნაწერებიდან ჩანს, რომ თბილისის ქართული „ფილარმონიული საზოგადოების“ გამგეობის დავალებით მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფონოგრაფით ჩაუწერია და ნოტებზე გადაუტანია 40 ხალხური სიმღერა, რომელთა ნაწილი 1909 წელს მოსკოვში, ვ. გრიგის დილოგრაფიაში დაიბეჭდა.

ამჟამად ხელთა გვაქვს ქართული (გურული, იმერული, მეგრული, სვანური და ქართლ-კახური) ხალხური სიმღერები — ფონოგრაფით ჩაწერილი და ნოტებზე გადაღებული ჯ. ფალიაშვილის მიერ. მასზე წარწერილია დიდი კომპოზიტორის ხელით: „ი. თბილისი, ნოემბრის 24, 1907 წ.“

ცნობილია, საქართველოში მოგზაურობისას ჯ. ფალიაშვილმა 300-მდე სიმღერა ჩაწერა (ამ სიმღერების ავტორი იქნებოდა ხელნაწერების მიერ ჩაწერილი დაუღებელი ჯ. ფალიაშვილის სახლ-მეურნეობის ხელნაწერია ფონდში). იქსავარება, რომ დიდი შემოქმედის უცნობი ხელნაწერები იმდენებს გამოიწვევს ქართული ხალხური მუსიკისა და სიმღერების მკვლევარა შორის, მედლიანისთან ერთად ჯ. ფალიაშვილს ჩაუწერია სიმღერის ტექსტები, ამხთანა აღწერილია ამა თუ იმ სიმღერის შესრულების მანერა, დასახელებულია შემსრულებელთა გვარებიც.

დღემდე ცნობილი იყო, რომ საქარია ფალიაშვილს უმოგზაურია გურაში, მაგრამ არ იყო ცნობილი სოფლები, ახლა უკვე ნათელია, რომ სიმღერები: „ვადლო“, „აღიფაშა“, „მგზავრული“ (გურული), „ხელხვაკი“, „ინდი-მინდი“, „ინდი-მინდის“ მეორე ვარიანტი, „მჩადაუაშიერი“, „ხელხვაკი“ (გურული) ადვილად მეორე ვარიანტი). „საბარა საყვარელი“ ჩაუწერია სოფლებში: შემოქმედისა და აკეთში.

დიდი კომპოზიტორის დავალება პირნათლად შეუსრულებია და შედგენილი მასალა „მეცირე შენიშვნაში“ 1909 წლის 2 აპრილისათვის თბილისის ქართული „ფილარმონიული საზოგადოების“ გამგეობისათვის წარუდგინა. ამ შრომას კომპოზიტორმა 4 წელი მოაწოდა.

„თუ რამდენად სწორედ და დანამდვილებით შევასრულე ეს გამგეობისაგან ჩემდამი მონდობითი საქმე, ამის შესახებ უნდა მოვახსენო, რომ რაც ძალი და ღონი და გამოცდილება შემეწედა ბრატერი არ დამიზოგავს, რომ ეს ზემოხსენებული სიმღერები გუადრულყოფილი ნოტებზე შეუსრულდა ისე, როგორც დღეს თვით ხალხი მღერის სოფლებში. — შენიშვნას კომპოზიტორი, — თუ რამდენად პირნათლად არის შესრულებული ეს შრომა და დაცულია დანა პირნათლად არის შესრულებული ეს შრომა და დაცულია სახალხო კილო, ამაზე მკაცრობა მიმინდვია ქართული მუსიკის მცოდნე პირთათვის, რომელთაც უკვლავ, მეცირე, მხოლოდ სა-

ფუძველზედ დამუშავებულ შენიშვნებისათვის დიდ მადლობას გადავუხადო.“

დიდი კომპოზიტორი აღწერს ფონოგრაფზე ჩაწერით გამოწვეული ტექნიკური სიმღერების და გაწერების: „თუ თვით მანის ნაწილი ანუ სიტყვები არ იყო ნათლად გამოსული, ან არა და ზოგიერთად კიდევ სრულებით არა იმყოფა რა, შენიშვნებში იქვე ამოუწერე, ასე, რომ ამ საზოგადო და ჩვეულებრივ მოვლენასაც კი, — სახალხო სიმღერების ნოტებზედ გადაღების საქმეში აქ ქორეგანი უსრულდება აქვს მიქცეული, იმ სიმღერებს, რომელთაც სრულებით ლექსით არა აქვთ მიწერილი, ადვილად შევსებდით. მაგალითად, შესაძლოა, რომ მათ მოეწოთ რომელიმე სახალხო ლექსით, ეს დიდ ცოდვად არ ჩაითვლება, რადგან როგორც შენიშვნაშია საზოგადო სახალხო სიმღერები (მარტო ჩვენივე კი არა, არამედ რუსეთისავე კი) არა უფაიალად შეგვხვდები, რომ ერთ და იგივე სიმღერებსა მღერის სხვადასხვა ლექსებით. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ, რომ განსაკუთრებით უსრულდება მიქცულ ლექსების შენარჩუნ, რომ ისინი ამ მხარე შესაფერად უდგებოდნენ ამა თუ იმ სასილერო მანერს შენარჩუნს. ამით რომ საქმე არ გაუფუძვლება, მე ამაში სრულად დარწმუნებული ვარ. თუმცა ამასთანად დაესმენ, რომ მე ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვამბობ, როცა რომელიმე სიმღერას, თავისი ლექსები დაქარაგვია და ხალხიც არა მღერის იმ ლექსებით.“

— უკანასკნელად ნების მიცემე ჩემს თავს ვადავიბოლო გამგეობა „ფილარმონიული საზოგადოებისა“, რომ რადგანაც ამ ზემოხსენებული სიმღერების დანაშნულდა წარმოადგენს მათ გამოცენას და ხალხში გავრცელებას. ამისათვის გამოცემის უფლები სპირად ვხედავ, რომ ერთი უსრულდებინა რედაქცია კიდევ გაუკეთდეს მათ, რომ ის ზემოაღნიშნული, ანუ კიდევ სხვა უნებლობის ნათლ სახალხო სიმღერები იყოს. ეს უფრო მით საუფრადებელია, რომ ჩვენ ავიტყულებთ, ჩვენი შოამომავლობის წინაშე იმ პასუხისგებას, რომელთაც მამა-პაპათაგან დატოვებული ვართ უნდა გადავიტყუო მათ, დიდვად მხოლოდ ნოტებზე გადაღებული და რომლისათვისაც დიდი სიფრთხილთ ვგვართებს უნდას.“

წერილზე მიწერებში საქარია სიხოს საზოგადოებისა, „რომ როგორც ეს ხელნაწერები, ის სხვა თუ რამ მოგვაპოვებდა, ბრავის ტაქტულურად არ ჩაუღებს ხელში, რომ ხელნაწერი არ გაიხადოს და გამგეობის შრომა და ხარკი ტყუილად არ დაქარაგოს.“

უნებლობე ვახსენებდა დიდი კომპოზიტორის სიტყვები: „... ამ დარგში მუშაობის დროს დიდი სიფრთხილთ ვეცდილობდი ქართული სიმღერების მარმონარჩუნის, უცვლელად და ხელშეუხებლად ვტყუებდ და ხალხურ სიმღერებში ხალხის მიერ დადგენილ ყველა ეროვნულ თვისებასა და ტრადიციას, ვცდილობდი მტაცილდ შემეცავებინებინა უცვლელი წყარო ნაწილი და ცოცხალი ხელმოწენისა ხალხურობისათა.“

მდლიერებით მივინებებთ საქარია უმცროს მას კომპოზიტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლევან ფალიაშვილს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს სათაოდ შემოგვანება ეს ძვირფასი განძი და საზოგადო გადასცა საქარია ფალიაშვილის სახლ-მეურნეობს.

გიორგი თევზაძე

ნამეხარი.



САБЧОТА ХЕЛОВნება

СОДЕРЖАНИЕ

Носиф Мегрелидзе — ОБ ОДНОМ ИЗДАНИИ «ВИТЯЗЯ В ТИГРОВОЙ ШКУ- РЕ»	4	Акакий Девидзе — СОРОКАЛЕТНИЕ СЦЕНИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ	45
Давид Мелуха — БАЛЕТ «ШОТА РУСТАВЕЛИ» ЗА РУБЕЖОМ	8	Гурам Абрамидзе — ПОВЕСТЬ О ПРАВДИВОМ ЧЕЛОВЕКЕ	46
Важа Гвахария — «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ» И ЭПОХА РАСЦВЕ- ТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ МУЗЫКИ	10	Т. Кванталиани — ДИПЛОМНЫЙ СПЕКТАКЛЬ «МАРИЦА»	48
Гиви Барамидзе — ИНСЦЕНИРОВКА «ВИТЯЗЯ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ» АКАКИА ПАГАВА	16	Микаэл Товридзе — РУСТАВЕЛИ И ГРУЗИНСКИЕ ХУДОЖНИКИ	49
Валим Леквинадзе — ПАМЯТНИКИ ЧЕКАННОГО ИСКУССТВА ЭПОХИ РУСТАВЕЛИ	18	Галина Добровольская — ТАЛАНТЛИВЫЙ ДЕБЮТ БАЛЕТМЕСТЕРА ФЕСТИВАЛЬ САМОДЕЯТЕЛЬНОГО ИСКУССТВА ГРУ- ЗИИ	54
Екатерина Привалова — САМОБИТНОСТЬ ХУДОЖНИКА	21	Отар Эгадзе — МОСКОВСКАЯ ПРЕССА О ТБИЛИССКИХ ТЕАТРАХ	55
Шота Цуцкваридзе — ТРАМАТУРГИЯ КУКОЛЬНОГО ТЕАТРА	24	Лиана Микадзе — 1.200 ФОТОДОКУМЕНТОВ О ШОТА РУСТАВЕЛИ	62
НЕИЗВЕСТНЫЙ РОМАНС АЛОИЗА МИЗАНДАРИ	28	Тениз Георгадзе — ПОКЛОННИКИ ШАХМАТ	63
Теимураз Курдовадзе — ТАЛАНТЛИВАЯ БАЛЕРИНА	29	Василий Кикадзе — ИЛЛЮЗИЯ «БЫТЬ ИЛИ НЕ БЫТЬ» ТЕАТРУ	65
Теимураз Беридзе — БОГАТЯЩАЯ КОЛЛЕКЦИЯ ИЗДАНИИ «ВИТЯЗЯ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»	32	Додо Зурабашвили — ВРАЧ-ХУДОЖНИК	70
Давид Ломидзе — ГОЛОС С ЭКРАНА	33	Гайоз Картевелишвили, Вахтанг Гоголашвили — В ПОИСКАХ СОБСТВЕННОГО ЛИЦА СЛОЖНОЙ ПРОГРАММОЙ	72 74
Ираклий Аракишвили — ТАКИМ Я ЕГО ПОМНЮ (воспоминания о Д. Араки- швили)	36	Нино Лорткваниадзе — АРХИТЕКТУРА ГОСТИНИЦ В ЧЕХОСЛОВАКИИ	75
Этери Гугушвили — КОТЭ МАРДЖАНИШВИЛИ И МАССОВЫЕ ЗРЕЛИЩА	39	Автадий Телия — БОЛЬШОЙ ТРУЖЕНИК ГРУЗИНСКОГО ТЕАТРА	77
		Важа Чичавадзе — ЕЩЕ ОДНА НЕИЗВЕСТНАЯ РУКОПИСЬ З. ПАЛИА- ШВИЛИ	80

На 2—3 стр. Л. Гуднашвили — «Отъезд в Иерусалим», «Посвящение»; на 4 стр. И. Вепхвадзе — «Шота Руставели в монастыре»; на 6 стр. Михай Зичи — «Иллюстрация к поэме «Витязь в тигровой шкуре»; на 7 стр. С. Кобуладзе — «Иллюстрация к поэме «Витязь в тигровой шкуре»; на 8 стр. З. Гоголашвили — «Прощай, Родина моя»; на 18—20 стр. образцы грузинского чеканного искусства эпохи Руставели; на 21—23 стр. работы армянского художника Э. Исабекяна: «Портрет писателя К. Гамсахурдзя», «Давид Сасун в горах», «Свят-Нова», «Еле вернулись», «Стекло из Хидзореска»; на 29—31 стр. солдаты балета Тбилисского оперного театра Ирине Джандиери в ролях Мирты («Жизель»), Сильфиды, Одетты («Лебединое озеро»); на 32 стр. Д. Кишшидзе «Встреча тигра со львом»; на 40 стр. вечер, посвященный памяти народного артиста Грузинской ССР Георгия Шагулидзе; на 41 стр. Б. Сахвадзе, Д. Джанаридзе «Проект памятника погибшим героям»; на 45 стр. Художественный руководитель Цулукидзецкого Дома культуры Ал. Квинчиа; на 46—47 стр. сцены из спектакля Читурусского государственного театра им. А. Церетели «Жизнь человека»; на 48 стр. сцены из дипломного спектакля студентов V курса Театрального института «Марш»; на 50 стр. керамическое панно-монумент; на 52 стр. сцены из балетных постановок (балетмейстер Г. Алексидзе, Ленинград); на 63 стр. И. Николадзе у шахматной доски (худ. Т. Конопа-люк); на 64 стр. В антракте. И. Трипольский и П. Кобахидзе играют у шахмат; на 70 стр. работы врача-художника Г. Тва-ладзе: «Братья», «Зима», «Огневашини», «Старина», «Зима», «Поздняя осень», «Море бушует»; на 75 стр. гостиница «Континенталь» в Брюно; на 76 стр. гостиница «Интернационал» в Брюно.

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ, ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, ТЕОРЕТИЧЕСКИЙ ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ
ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

Гл. Редактор — Отар Эгадзе. Редакционная коллегия: Шалва Амيرانшвили, Гела Бандзеладзе, Карло Гоголазе, Дмитрий Джанелидзе, Алексей Мачавариани, Григорий Попхадзе, Натела Урушадзе, Ваню Шуаукидзе.

Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, тел. 5-10-24.

Издательство «Сабчота Сакартвело».

Тбилиси, 1966



SABCHOTA KHELOVNEBA

SOVIET ART

Joseph Megrelidze ABOUT ONE EDITION OF „THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN“	4	Akaki Devidze FORTY YEARS ANNIVERSARY OF CREATION	45
David Melukha BALLET „SHOTA RUSTAVELI“ ABROAD	8	Guram Abramidze THE STORY OF A TRUE MAN	46
Vazha Gvakharia „THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN“ AND GOLDEN AGE OF GEORGIAN NATIONAL MUSIC	10	T. Kvantaliani „MARITSA“—DIPLOMA PERFORMANCE	48
Givi Baramidze DRAMATIZATION OF „THE KNIGHT IN THE TI- GER'S SKIN“ MADE BY AKAKI PAGAVA	16	Mikheil Topuria RUSTAVELI AND GEORGIAN PAINTERS	49
Vadim Lekvinadze MONUMENTS OF GEORGIAN REPOUSSE-WORK OF THE RUSTAVELI EPOCH	18	Galina Dobrovolskaia TALENTED DEBUT OF BALLET-MASTER	52
Ekaterine Privalova ORIGINAL FACE OF PAINTER	21	FESTIVAL OF GEORGIAN AMATEUR ART	54
Shota Tsutskiridze FOR DRAMATURGY OF PUPPET-SHOW	24	Otar Egadze THE MOSCOW PRESS ABOUT THEATRES OF TBILISI	55
Zinaida Kolkhidashvili ALIOZ MIZANDARI'S UNKNOWN ROMANCE	28	Tengiz Giorgadze CHESS LOVERS	63
Teimuraz Kurdovanidze TALENTED BALLET-DANCER	29	Vasil Kiknadze ILLUSION OF „TO BE OR NOT TO BE“ OF THE- ATRE	65
Teimuraz Beridze THE RICHEST COLLECTION OF „THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN“	32	Dodo Zurabashvili A DOCTOR-A PAINTER	70
David Lomidze VOICE FROM SCREEN	33	Gaioz Kartvelishvili, Vakhtang Gogolashvili IN SEARCHING OF HIS OWN FACE	72
Irakli Arakishvili RECOLLECTION ABOUT MY UNCLE	36	WITH A COMPLEX PROGRAMME	74
Eter Gugushvili KOTE MARJANISHVILI AND MASS PERFORMACES	39	Nino Lordkipanidze THE ARCHITECTURE OF HOTELS IN CZECHOSLO- VAKIA	75
		Avtandil Telia A GREAT WORKER OF GEORGIAN THEATRE	77
		Vazha Chinchaladze Z. PALIASHVILI'S UNKNOWN MANUSCRIPT	80

On p. p. 2-3 „Leaving for Jerusalem“ and „Dedication“ by L. Gudiashvili; on p. 4 „Shota Rustaveli in Monastery“ by I. Vepkhvadze; on p. p. 6-7 Illustrations for „The Knight in the Tiger's Skin“ by M. Zichi and Sergo Kobuladze; on p. 8 „Farewell, My Mother Land“ by Z. Gogolashvili; on p. p. 18-20 models of georgian architecture of the Rustaveli epoch; on p. p. 21-23 „Portrait of K. Gamsakhurdia“, „David Sasunli in Mountains“, „Salat-nova“, „They Did Not Return“, „Glass from Khndzoresk“ by arminian painter Edward Isabekian; on p. p. 29-31 Irina Jandieri, soloist of the Tbilisi Opera House, as Mirta, Sifid and Odetta; on p. 32 „Meeting of Lion and Tiger“ by D. Kipshidze; On p. 37 memorial meeting of G. Shavgulidze, the people's artist of Georgian SSR, in the Marjanishvili Theatre; on p. 38 project for the monument to the Soldiers fallen in the war by B. Sakhvadze and D. Japaridze; on p. 45 A. Kvinchia, art leader of the Tsulukidze Palace of Culture; on p. p. 46-47 Scenes from the performance of the Chiatura Theatre „A Life of A Man“; on p. 48 scenes from the diploma performance of the students of the Tbilisi theatrical Institute „Maritsa“, on p. 50. ceramicus pano-monument p. 52 scenes from ballets performed by G. Aleksidze (Leningrad); on p. 63 „I. Nikoladze Plaivig Chess“ by T. Konovaluk; on p. 64 I. Tripolski and P. Kobakhidze, people's artists of Georgian SSR, playing chess while interval; On p. 70 „Brothers“, „Winter“, „Old men“, „Late Autumn“, „Sea is Storming“ by G. Tevzadze; on p. 75 hotel „Continental“ in Brno; on p. 76 hotel „International“ in Brno.

SOCIAL-POLITICAL, LITERARY-ARTISTIC AND THEORETICAL MONTHLY ORGAN
OF THE MINISTRY OF CULTURE OF GEORGIAN SSR

Editor-in-Chief: Otar Egadze. Editorial staff: Shaiva Amiranashvili, Gela Bandzeladze, Karlo Gogodze, Aleks Machavariani, Natela Urushadze, Grigol Popkhadze, Dimitri Janelidze, Vano Tsulukidze.

Marjanishvili Street 5, Tbilisi, Georgian SSR.

T. 5-10-24



SABTSCHOTHA CHELOWNEBA SOWJETKUNST

Josef Megrelidse	Akaki Dewidse
ZU EINER AUSGABE „DES RECKEN IM TIGERFELL“	ZUM JAHRSTAG DER BÜHNENTÄTIGKEIT
4	45
David Melucha	Guram Abramidse
DAS BALLETT „SCHOTHA RUSTHAWELI „IN DER FREMDE“	GESCHICHTE VON EINEM GERECHTEN MENSCHEN
8	46
Washa Gwacharia	Th. Kwantaliani
„DER RECKE IM TIGERFELL“ UND DIE BLÜTHEZEIT DER GEORGISCHEN VOLKSMUSIK	„MARIZA“ ALS DIPLOMAUFFÜHRUNG DER MEISTERIN
10	48
Giwi Baramidse	Micheli Thophuria
DIE BÜHNENDARSTELLUNG „DES RECKEN IM TIGERFELL“ (VON AKAKI PHAGAWA)	SCHOTHA RUSTAWELI UND GEORGISCHE MALER
16	49
Wadim Lekwinadse	Galina Dobrowolskaia
EDNKMÄLER DER GEORGISCHEN GOLDSCHMIEDKUNST IN DER RUSTHWELISCHEN EPOCHE	EIN TALENTVOLLES DEBÜT DER BALLETTMEISTERIN
18	52
Ekaterina Privalowa	FESTIVAL VON LAIENKUNSTGRUPPEN IN GEORGIEN
DAS ECHE ANTLITZ DES KÜNSTLERS	54
21	Othar Egadse
Schotha Zuzirkidse	MASKAUER PRESSE ÜBER TBLISSER THEATER
ZUR DRAMATURGIE DES PUPPENTHEATERS	55
24	Thengis Giorgadse
Sinaide Kolchidaschwili	EIFRIGE SCHACHSPIELER
EIN UNBEKANNTER ROMANS VON ALOIS MISANDARI	60
28	Wasi Kiknadse
Theimuras Kurdowanidse	ILLUSION „VON SEIN UND NICHTSEIN“ DES THEATERS
EINE BEGABTE BALLETTANZERIN	63
29	Dodo Surabaschwili
Theimuras Beridse	ARTZ UND MALER
DIE REICHSTE KOLLEKTION „DES RECKEN IM TIGERFELL“	70
32	Gaios Kartwelischwili, Wachtang Gogolashwili
Dawith Lomidse	AUF DER SUCHE DES EIGENEN „ICH“
DIE STIMME VON DER LEINWAND	72
33	MIT EINEM KOMPLIZIERTEN PROGRAMM
Irakli Arakischwili	74
ERINNERUNGEN AN MEINEN ONKEL	Nino Lordkipanidse
36	ARCHITEKTUR VON GASI HÄUSERN IN DER TSCHOSLOWAKEI
Ether Guguschwili	75
KOTE MARDSHANISCHWILI UND DIE MASSENVERANSTALTUNGEN	Awthandil Thelia
39	EIN GROSSER BEISTEHER DES GEORGISCHEN THEATERS
	77
	Washa Tschintschaladse
	NOCH EIN UNBEKANNTES MANUSKRIFT VON SACHARIA PHALIASHWILI
	88

Auf den 2-3 Seiten: Lado Gudiaschwili—„die Fahrt nach Jerusalem“, „die Widmung“, S. 4 Johann Wepchawadse—„Schotha Rusthaweli in der Kirche“, S. 6 Michai Stisch—Illustration für den „Recken im Tigerfell“, S. 7 Sergei Kobuladse—Illustration für „den Recken im Tigerfell“, S. 8 Selimchan Gogolashwili—„Leb wohl, liebe Heimat“, S. 18—20 Muster der Goldschmiedkunst aus der Epoche von Rusthaweli“, S. 21-23 Erzeugnisse des armenischen Malers Eduard Isabekian; „Bildnis von Konstantin Gamsachurdia“, „Dawid Sasunz“ in den Bergen“, „Sajath-Nowa“, Sie sind nicht mehr zurück“, „Mina aus Chndsoresk“, S. 29—31 Ballettanzerin des Tbilisser Operntheaters Irina Dshandieri in der Rolle Mirtas“ („Jise-ili“), als Odetta im „Schwanensee“, S. Dimitri Kipschidse—„Zweikampf von Tiger und Löwe“, S. 37 Gedächtnisabend zu Ehren des verdienten Volkskünstlers im Mardshanischwili-theater, S. 38 B. Sachwadse, D. Dshapharidse „Entwurf zu einem Denkmal für die im Kriege gefallenen Krieger“, S. 43 Choreographischer Leiter der Laienkunstgruppe im Kulturhaus von Zulukidse Alexander Kwintschia, S. 46—47 Szenen aus dem Zereteltheater in Tschilathura: „das Menschenleben“, S. 43 Szenen aus dem Diplomstausstück von Studenten des fünften Kursus des Theatralischen Instituts, S. 50 Keramisches Paneau—Monument S. 52 Szenen aus den Ballettaufführungen (Ballettmeister G. Aleksidse, Leningrad), S. 63 I. Nikofadse während des Schauspielers (von Maler Konowaljow), S. 64 Der Antrakt, I. Tropoliski und Kobachidse spielen Schach, S. 70 Erzeugnisse des Arztes und des Malers Georg Thewsadse: „Gebrüder“, „der Winter“, „der Krieger“, „Alte Männer“, „der Winter“, „der Späte Herbst“, „das Meer growlt“, S. 75 Hotel „Kontinental“ in Brno: S. 76 Hotel „International“ in Brno (Tschechoslowakei).

POLITISCH—GESELLSCHAFTLICHE, BELLETRISTISCHE UND THEORETISCHE MONATSSCHRIFT
DES KULTURMINISTERIUMS DER GEORGISCHEN SSR.

Chefredakteur — Othar Egadse. Redaktionskollegium: Sch. Amiranschwili, G. Bandseladse, K. Gogodse, A. Matschawariani, N. Uruschwadse, G. Popchadse, D. Dshanelidse, W. Zulukidse

В 257222

ИНДЕКС
76178

